

# חברת המסע השנייה

29

974



1974

6

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# გოგამია

№ 6 (82)

ნოემბერი—დეკემბერი

05581

19 — თბილისი 74 —

ქ. შარტავაძის სახ. საქ. სსრ  
სახ. კომუნალური რესპუბლიკა  
ბი. ლიტონიძე

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

14 იანვარი ქართული თეატრის დღე . . . . .	3
ნადია შალუტაშვილი — მოსკოვის მცირე თეატრი და საქართველო მცირე თეატრის საიუბილეო საღამოზე . . . . .	7
	10

**რამსპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან**

გიორგი ხუხუშვილი — სცენაზეა კვაჭი კვაჭანტირაძე . . . . .	11
ალექსანდრე ჩხაიძე — ნუ გადათვლავთ ყვავილებს!	15
პაატა ფანცულაია — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“	17
ნათელა ლაშხია — „გემგეჭკორი“ ცხაყაიას სახალხო თეატრში	20
მსახიობის სახლში . . . . .	21
ვლადიმერ ჭიბუტი — მიხეილ ჭავჭავაძის და 900-ანი წლების ქართული თეატრი	22
აკაკი ვასაძე — მოგონებები და ფიქრები	24
შოთა რევიშვილი — რიხარდ ფოსი, ანუ ვისია „ვისი ბრალია?“	26
რუსთავეის თეატრის გასტროლები უნგრეთში	29
ახალგაზრდა მსახიობი მოზარდთა თეატრში	32
„ბებერი მეზურნეების“ ტრუპიფი ერევანში	35

**გამოსვლები**

მიხეილ ჭიაურელი . . . . .	37
ელენე კვიციანი — გრიგოლ მიქელაძე . . . . .	39
თეატრალურ საზოგადოებაში . . . . .	40

**ჩვენი იუბილარები**

ნაიკო კვეციანი — პაპუნა წერეთელი . . . . .	43
--	----

**ღვანულადი ბავშვები**


კოტე ნინიაშვილი — ალექსანდრე ომიადე . . . . .	44
მწერლის მშობლიურ რაიონში . . . . .	46

**რედაქტორი — მარია ქარელიშვილი**  
**პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი**

**სარედაქციო  
კოლეგია:**

ნოდარ გურაბანიძე, ოთარ შაპაძე, ვანო კიკნაძე,  
 ბადრი კობახიძე, ლილი ლომთათიძე, გენდრიონ თლახიძე,  
 მახტან შარტავაშვილი, ნინო შვანდრიძე,  
 ვიოლეტი ციციშვილი, დიმიტრი ჯანაშია.

გიორგი  
ერისთავი



## 14 იანვარი —

### ქართული თეატრის ღვა

ქართული თეატრის ისტორიის სათავეები შორეულ წარსულში იკარგება. ბევრი რამ შეიძლება ჯერ კიდევ ბუნდოვანებითაა მოცული და ფაქტების შემდგომ ღრმა შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვდეს, მაგრამ მეცნიერული კვლევა-ძიებით უკვე მიკვლეული მონაცემები ნათლად გვიდასტურებს იმ გარემოებას, რომ ქართული პროფესიული თეატრი საქართველოს კულტურული აღორძინების ხანას უკავშირდება, და რომ მას ისევე დიდი ტრადიციები აქვს, როგორც ეროვნული ხელოვნების სხვა დარგებს.

მაგრამ ჩვენი ხალხის ბედის უკუღმართობამ, ომებმა და გარეშე დამპყრობელთა ხანგრძლივმა რბევამ არა მარტო ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის მატერიალურ

ძლიერებას, არამედ სულიერ კულტურასაც დიდი ზიანი მიაყენა და თეატრალური ხელოვნების ცხოველი მაჯისცემაც ხანგრძლივად შეანელა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისამდე არ გვეჩინა ქართული თეატრის განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, ვიდრე ეს ისტორიულმა პირობებმა არ შეამზადა. ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა ფეოდალიზმის კრიზისმა და კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებამ გამოიწვია. ახალმა ისტორიულმა პირობებმა შეამზადა და მოითხოვა ახალი შემოქმედებითი პრინციპებით შეიარაღებული თეატრი, რომელიც ხალხის ცხოვრებასთან იქნებოდა დაკავშირებული და მის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში უშუალოდ



ჩაებმებოდა, ხელს შეუწყობდა მაყურებლის გონებრივსა და სწეობრივ აღზრდას, საზოგადოებრივი ცხოვრების დაწყებული გარდაქმნის პროცესის დაჩქარებას.

სწორედ ეს დიდი მისია იკისრა გიორგი ერისთავის თეატრმა, რომლის პირველი სპექტაკლის ფარდა აიხადა 125 წლის წინათ, 1850 წლის 2 (14) იანვარს. ამ თეატრმა სულ მოკლე ხანში ღრმად გაიღვა ფესვები და ჩვენი სასცენო ხელოვნების ახალ თავფურცელად გადაიქცა. სრულიადივე მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თვით-მაყურობელობამ მისი არსებობა ადმინისტრატულად შეწყვიტა. გიორგი ერისთავის თეატრის მიერ ხალხში გადაგდებული თესლი მუდმივად ღვიოდა და რამდენიმე ხნის შემდეგ დიდი ილიასა და აკაკის მეთაურობით ისე მძლავრად კვლავ აღმოცენდა, რომ ვერავითარმა ბოროტმა ძალამ და სიძნელეებმა ვიღარ დათრგუნეს. ამ განახლებული თეატრის შემოქმედებით ბურჯებად იქცნენ დიდი ინტელექტუალური ენერჯისა და ბუნებით მომადლებული, გასაოცარი პროფესიული ნიჭის ადამიანები — ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ელისაბედ ჩერქიზიშვილი... შემდეგ თანდათან შემატეხული ალექსანდრე იმედაშვილი, ნუცა ჩხეიძე, გიორგი არადელი-იშხნელი და სხვანი, რომლებმაც ძველი თეატრის ეშხი ჩვენ დრომდე მოიტანეს და ესტაფეტა დიდ კოტე მარჯანიშვილს, ალექსანდრე ახმეტელსა და მათ მოწაფეებს — უშანგი ჩხეიძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, აკაკი ხორავას, შალვა ღამბაშიძეს, აკაკი ვასაძეს, ვასო გოძიშვილს, თამარ ჭავჭავაძეს, ზენილია თაყაიშვილს, სერგო ზაქარიაძეს, გიორგი შავგულიძეს, სანდრო ყორყორიანს, გიორგი დავითაშვილს, პიერ კობახიძესა და სხვებს გადასცეს.

გიორგი ერისთავის, ილიასა და აკაკის თეატრები საბჭოთა თეატრის წინაპრები არიან, საბჭოთა თაობა არის ნამდვილი მიმკვიდრე ყოველივე საუკეთესოსი, რაც კი წარსულში ქართველი ხალხის ნიჭსა და ენერჯისა შეუქმნია. შემთხვევითი როლია, რომ ამ თაობამ ქართული თეატრის დღედ 14 იანვარი აირჩია. ძველი თეატრის საუკეთესო ტრადიციები დღესაც ცოცხლობს და გრძელდება, თვისობრივად ვითარდება და ახალი პრინციპებით ივსება. საბჭოთა თეატრი განუხრელად იცავს კრიტიკული რეალიზმის თეატრის

მონაპოვარს — ხალხის ცხოვრებასთან სიახლოვეს, დემოკრატიზმს, მხატვრულ სისადავესა და თემატურ აქტუალობას.

წლებიანდელი თეატრის დღე საქმიანთან საზეიმო ხასიათსაც ატარებს, რადგან იმ პირველ წარმოდგენას, რომელიც ჩვენი თეატრალური მემორიალის სიმბოლოდ იქცა, 125 წელი ვგაშორება. ქართულმა საბჭოთა თეატრმა, რომელიც ყოველივე პროგრესული წარსულის შემმარატი მიმკვიდრეა, ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა, კლასიკური შემკვიდრების მეცნიერული ათვისებით ახალი გზები გაკვალა, სწორუპოვანი ნოვატორის სახელი დაიმკვიდრა. სიახლისათვის გაბედული შემოქმედებითი ბრძოლით უმეაგალითო გამარჯვებები მოიპოვა და ახალი მომხიბლავი ჰორიზონტები დასახა. ქართულმა თეატრალურმა კულტურამ ევალსაჩინო პროფესიულ მწვერვალებს მიაღწია და შექმნა არა ერთი შედეგრი, რომელთაც საბჭოთა კულტურის საგანძურში მუდამ სააპათიო ადგილი ეჭირება.

ქართული საბჭოთა თეატრის ამ დიდ წარმატებებში, კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დოდო ანთაძეს, ვასო ყუმიშაშვილს, შოთა ახსაბაძეს, გიორგი ყურთელს, ვახტანგ გარაკს, არჩილ ჩხარტიშვილს, დიმიტრი ალექსიძეს, მიხეილ თუმანიშვილს, გიორგი ლორთქიფანიძეს, მომდევნო თაობის ნიჭიერ არქისორებს, საშუალო და უმცროსი თაობის აქტიორებს — მედეა ნახაპასა და მარინე თბილელს, მერი დავითაშვილსა და ელენე ყიფშიძეს, ზინა კვერენჩილაძესა და სოფიკო ჭიაურელს, სალომე ყანჩელსა და მედეა ჯაფარიძეს. ერთ სი მანჯადაძესა და გიორგი გვეგუკორს, რამაზ ჩხიკვაძესა და ედიშერ მაღალაშვილს, ზადრი კობახიძესა და გურამ საღარაძეს, ბუხუტი ზაქარიაძესა და კარლო საკანდელიძეს, კოტე მახარაძესა და გრიგოლ კოსტავას, იაკობ ტრიპოლსკისა და ტარიელ საყვარელიძეს, თენგიზ არჩვაძესა და ირაკლი უჩანეიშვილს, ოთარ მეღვინეთუხუცესსა და ლეო ანთაძეს, იუსუფ კობალაძესა და მერაბ ხინიკაძეს, ნუნუ თეთრაძესა და ნათელა წერეთელს, შოთა პირველსა და ვახტანგ მეგრელიშვილს, მარი გელაშვილსა და თინა ღვინიაშვილს, ქეთევან კოლხიძელსა და ერემია სვანიძეს, თინა ბურბუთაშვილსა და ვახტანგ ჩელთისპირელს, პლატონ ახვლედიანსა და ალექსანდრე კუ-

პატაძეს, შალვა ხერხეულიძესა და ერვანდ არაქელოვს, მიხეილ ჩუბინიძესა და თინა ბოლქვაძეს, ლამარა თურმანიძესა და ვალერიან დოლიძეს, რაისა პლიევასა და ირაკლი შერაზადაშვილს, გოგუცა კუპრაშვილსა და თამარ თვალთაშვილს, გიორგი დარისპანაშვილსა და ვახტანგ არეშიძეს, ეთერ ცქიტიშვილსა და შოთა ცუცქერიძეს და სხვებს.


გამორჩენილ თეატრალურ მხატვრებსა და კომპოზიტორებს — დავით კაკაბაძესა და ლადო გუდიაშვილს, ელენე ახვლედიანსა და თამარ აბაკელიას, ირაკლი გამრეკელსა და პეტრე ოცხელს, კოტე მეღვინეთუხუცესსა და იონა ტუსუკიას, ოთარ თაქთაქიშვილსა და შალვა მშველიძეს...

ჩვენ გვყავს გარდასახვის უტყუარი ნიჭით დაჯილდოებული, დიდი მომავლის მქონე მრავალი ახალგაზრდა მსახიობი, რომელთაც უკვე მოიპოვეს მაყურებლის აღიარება და სიყვარული.

საერთოდ და კერძოდ უკანასკნელი წლების მანძილზე თბილისისა და პერიფერიების თეატრებმა შექმნეს არა ერთი საუკეთესო სპექტაკლი, რომლებიც გვიზიდავენ და გვაფართოვანებენ მხატვრული ჩანაფიქრისა და შესრულების თავის-

თავადობით, აზრის სიღრმითა და ფორმის მშვენიერებით. ჩვენი თეატრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაჩაღებულ ბრძოლაში წარსულის გადმონაშთებთან, თეატრების შემოქმედებაში ძალუმაღ იგრძნობა ჯანსაღი კრიტიკული პათოსი.

ეს ძალაღან კარგია, მისასაღმებელი და მხარდასაჭერია. მაგრამ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ამ მიღწევებით თვითკმაყოფილება შეუძლებელია და წარმატებების გვერდით არსებულ ნაკლოვანებებსაც კარგად უნდა ვგრძნობდეთ. ჯერ ერთი, კრიტიკული პათოსის გვერდით ჩვენ ვერ ვხედავთ, ან ძალიან სუსტად მოჩანს პოზიტიური მხარეები ჩვენ ცხოვრებისა და ჩვენი ადამიანებისა. თეატრი არ არის მხოლოდ კრიტიკის ტრიბუნა, თეატრი არის აღზრდის, საუკეთესო იდეალების შთაგონების სკოლაც და იგი ამ ამოცანას მხოლოდ ნეგატიურის განზოგადების გზით ვერ შეასრულებს. ადამიანის აღზრდაში განსაკუთრებით დიდია მაგალითის ძალა, რასაკვირველია, პოზიტიური მაგალითის ძალა. სცენიდან ჩვენ უნდა ვიხილოთ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანი,



ვლადიმერ მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია



გმირი პატრიოტი. ზნეობრივად სპეტაკი, საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებული, რომლის ხასიათიც ქვეყანაში, მოქმედებაში ყალიბდება. ჩვენი საზოგადოების დადებითი გმირი უნდა ჩუოს ცოცხალი ადამიანი, სისხლიანი და ხორციის სავსე, რომლისათვისაც ადამიანური არაფერი უცხო არ არის. უნდა ვებრძოლოთ უსიცოცხლო სქემებს, რომლებიც თავისი მინაგანი ცხოვრებით არავის სიყვარულს არ იმსახურებენ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკულის აზრით აქა-იქ სცენაზე ფეხი მოაკიდეს წვრილმანმა. მატერული განზოგადების მნიშვნელობას მოკლებულმა თემებმა, უღიმამო ნაწარმოებებმა, რომლებიც არც მსახიობს აძლევენ რამეს და არც მაყურებელს. ასეთ პიესებზე იხარჯება დრო, რესურსები, რეჟისორისა და მსახიობის ენერჯია, შემდეგ კი არაფერს ვიღებთ, არც მსახიობის კმაყოფილი და არც მაყურებელი.

ჯერ კიდევ საგრძნობია რეპერტუარის ერთფეროვნება, სათანადო ყურადღება არ ექცევა ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკას, მოძმე რესპუბლიკების ხალხთა და საზღვარგარეთული პროგრესული

დრამატურგიის ნიმუშებს, რეპერტუარის ჟანრობრივ სიმდიდრეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმმა ღრმა ანალიზი გაუკეთა რესპუბლიკის სახალხო მეთრენობისა და კულტურის მდგომარეობას. პლენუმზე სამართლიანად გამოხატული იქნა ყურადღება ნაკლოვანებებზე და დასახულ იქნა კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებს რესპუბლიკის სახალხო მეთრენობისა და კულტურის შემდგომ გაუმჯობესებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგისადმი. ეს მზრუნველობა ამაღლება ჩვენს პასუხისმგებლობას. არ უნდა დავზოგოთ ძალა და შესაძლებლობა, რათა გავამართლოთ პარტიის ნდობა, მისი ასეთი ყურადღება და მზრუნველობა.

ექვე არ გვეპარება, რომ ჩვენი რესპუბლიკის თეატრები 1975 წელს — ხუთწლეულის დამამთავრებელ წელს, ხარისხისათვის ბრძოლის წელს დასაძლევენ არსებულ ნაკლოვანებებს და ახალ წარმატებებს მოიპოვებენ.

## რით აღინიშნება თეატრის დღე

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს. — ვარდა იმისა რომ 14 იანვარს რესპუბლიკის თეატრები ადგილებზე წარმოადგენენ თავთავიანთ საუკეთესო სპექტაკლებს, ეს დღე სხვა ღონისძიებებითაც აღინიშნება — პარასკევს, 17 იანვარს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება ქართველ თეატრალურ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სწორედ ის ნიმუშები თეატრალური მხატვრობისა, რომელიც 1973-74 წლების სეზონში განხორციელებული სპექტაკლებისათვის შეიქმნა.

თბილისის თეატრების ხშირად შესვლებით ქალს, რომელიც სპექტაკლების დროს მოუსვენრობს, იღებს ფოტოსურათებს. ეს ქალა — მედია ოქიტაშვილი პროფესიით ინჟინერია, მაგრამ იმდენად უყვარს თეატრი, რომ წლების განმავლობაში შექმნა ჩინებული ფოტოკოლექცია თბილისის თეატრების სპექტაკლებსა. თეატრის დღესთან დაკავშირებით 17 იანვარს მსახიობის სახლის მაყურებელთა ფოიეში გაიხსნება მედია ოქიტაშვილის თეატრალური ფოტო-გამოფენა.

მიმდინარე წელს თეატრის დღეს ემთხვევა ერთი შესანიშნავი ფაქტი — მესხეთის თეატრი მიიღებს ახალ შენობას. ამიტომ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტეს ქართული თეატრის დღე მესხეთის მიწაზე საუნივერსიტეტო ვითარებაში აღნიშნოს. 14 იანვარს ქართული თეატრის მოღვაწეთა წარმომადგენლება მესხეთში იკრიბებიან, აქ შედგება თეატრის საუნივერსიტეტო სახლის, შემდეგ კი გაიმართება სამეცნიერო სესია, რომელზეც მოხსენებებით გამოვლენ საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ალიქსიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი დ. ჭანელიძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვ. კიკნაძე.

დასასრულს გაიმართება საღამო, მიძღვნილი გიორგი ერისთავის მიერ ქართული თეატრის აღდგენის 125 წლისთავისადმი. საღამოში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და სხვა თეატრების წარმომადგენლები და ანსამბლი „გორდელა“.

# მოსკოვის გვირა თეატრი და საქართველო ნადია შალუბაშვილი

ამ ერთ-ერთ უძველეს თეატრს უდიდესი ადგილი უკავია რუსეთის კულტურის ისტორიაში. მის საუკეთესო წარმოდგენებზე აღიზარდნენ მოღვაწეთა თაობები. ეს მეორე უნივერსიტეტი, როგორც მას სიუვარულით უწოდებდნენ თანამედროვენი, იყო მოწინავე იდეების, პროგრესული აზროვნების მქადაგებელი კათედრა. მის კედლებში აღიზარდნენ სასცენო ხელოვნებას უდიდესი ვარსკვლავები, მ. შჩეპკინის, პ. მორჩლოვის, ა. ლენსკის, გ. ფედოტოვის, სადოვსკების, მ. ერმოლოვას გვერდით რუსი ხალხი პატრივისციემით იხსენიებს ჩვენს დიდ თანამემამულეს ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინს...

მცირე თეატრის მოღვაწენი გვერდში უდგნენ თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს, შეგობრობდნენ უკრაინელებს, ბელორუსებს, ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებსა და სხვ. როდესაც 1845 წელს თბილისში დაიწყო რუსულ-უკრაინული დასის ჩამოყალიბება, ამ დასის დეკლარირებული დიდი დახმარება აღმოუჩინა ბრწყინვალე მსახიობმა მიხაილ შჩეპკინმა.

სწორედ მცირე თეატრის სცენაზე პირველად რუსეთში აისახა ქართველი ხალხის ცხოვრების ეპიზოდები და ბეღლემშეშვის პიესაში „მაიკო“ გენიალურმა რუსმა ტრაგიკოსმა პავლე მორჩლოვმა ისე ითამაშა ქართველი თავადის ლევანის როლი, რომ მნახველნი აღტაცებაში მოიყვანა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში, თავიანთი პირველი სცენური ნაბიჯები გადასდგეს ი. ნემოვმა, ო. პრავდინმა, ალ. ლენსკიმ. ალექსანდრა იაბლოჩინამ. თბილისში შეიყვარა თეატრი და თავის შეგობრებთან ა. ი. ნემროვიჩ-დანჩენკოსთან და ვ. აბაშიძესთან ერთად მისი ერთგული ქურუმი გახდა მცირე თეატრის სცენის რაინდი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-იუჟინი.

1883 წლის ზაფხულში მცირე თეატრმა თავისი პირველი გასტროლიტა საქართველოში, თბილისში ჩატარა.

თბილისელმა მაყურებლებმა ნახეს თეატრის საუკეთესო დადგმები — ჯ. ავერკიევის „კაშირის სიძველენი“, ალ. დიუმას „მარკარიტა გოტიე“. უ. შექსპირის „ქირვეულის მორჩულები“, ა. ოსტროვსკის „ტყე“, „ვასილისა მე-

ლენტიევა“, „ქექა-ქუხილი“, გოგოლის „შეშლილის წერილები“. ე. გუცოვის „ურიელ აკისტი“ და სხვა, რომლებშიაც ბრწყინვალედ გ. ფედოტოვა, მ. პრავდინი, კ. რიბაკოვი, ო. პრავდინი, ე. სუმბათაშვილი-იუჟინი და სხვანი.

1885 წელს თბილისის რუსული დრამატული დასის წარმოდგენებში მონაწილეობდნენ მცირე თეატრის გამოჩენილი ოსტატები — ა. სუმბათაშვილი-იუჟინი და ო. პრავდინი. მაყურებელს განსაკუთრებით მოსწონდა ა. სუმბათაშვილი-იუჟინის ჰამლეტი, ჩაცკი, კარლ მოორი, პეტრუჩიო. ამ უკანასკნელს თბილისში იგი დაადრუს მსახიობთან მ. სავინსთან ერთად თამაშობდა.

მცირე თეატრის მსახიობთა ჯგუფი, გ. ფედოტოვას მეთაურობით, რომელიც ა. სუმბათაშვილი-იუჟინი, კ. რიბაკოვი, ე. ლეშკოვსკაია, ო. პრავდინი და სხვანი შედიოდნენ, 1888 წელს კვლავ ესტუმრა თბილისს. ამ გასტროლებმა დადი წარმატება მოუტანეს ფედოტოვას კატერინას („ქექა-ქუხილი“), არკაზანოვას („არკაზანოვები“), კრუჩინინას („უდანაშაულო დამნაშავენი“) და სხვა.

ა. სუმბათაშვილის კომედიის „არკაზანოვებისადმი“ ინტერესს განსაკუთრებულ ხაზს უსვამდა გაზეთი „დრობა“. (1888 წ. № 144). იგი წერდა ფედოტოვასა და იუჟინის განსაკუთრებული ნიჭიერების შესახებ.

1891 წელს თბილისს ეწვია რუსული სცენის „გმირული სიმფონია“ — მ. ნ. ერმოლოვა, რომელმაც თბილისელებს უჩვენა თავისი საუკეთესო ქმნილებანი — კატერინა („ქექა-ქუხილი“), მარიამ სტიუარტი, ფედრა, ნეგინა („ტალანტები და თავყანისმცემლები“), შანა დ'არკი („ორღენელი ქალწული“) და სხვა.

თბილისის გაზეთები ერთხმად ასხამდნენ ხობტას „შეუდარებელ მსახიობს. გაზეთი „ტიულისკი ლისტოკი“ (1891 წ. № 142) თავის შემაჯამებელ რეცენზიაში ერმოლოვას შესახებ წერდა: „ვამთავრებთ რა ა. ნ. ერმოლოვას ნიჭის დახასიათებას, გვსურს მივთითოთ ამ ნიჭის კოლოსალურობაზე, ინტენსიურობასა და უსაზღვრო ფართო გაქანებაზე. არ არსებობს როლი, ხასიათი, რომელიც მას არ ჰქონდეს წარმომქმნილი თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით, ყოველივე იმას, რაც ენება ამ ხასია-



თის გარეგნულ თვისებებს, მთელის ცხოვრებისეულ სიმართლით, რაც მის შინაარსს შეეხება. არ გვეპარება ეჭვი, რომ ქ-ნი ერმოლოვა, როგორც შეუღარებელი მხატვარი-შემოქმედი ფლობს ისეთ მონაცემებს, რაც მას ხდის სცენური ხელოვნების ახალი სკოლის შემქმნელად.<sup>1</sup> შემდგომ წლებში (1900 წ., 1901 წ., 1908 წ.) მცირე თეატრის ოსტატები სისტემატურად ჩამოდიოდნენ საქართველოში, თამაშობდნენ ა. გრიბოედოვის, ა. ოსტროვსკის, თ. დოსტოევსკის, ა. სუხოვო-კობილინის, უ. შესპირის, ფ. შილერის, ა. სუმბათაშვილის პიესებში.

თბილისის პრესა ერთხმად აღნიშნავდა გატროლორთა თამაშის ანსამბლურობას, მეტყველების მაღალ კულტურას, ნიჭიერებას. გაზეთი „თეფლისკი ლისტოკი“ (1900 წ. № 134) წერდა: „სულით და გულით უსურვებთ მათ სხვაგანაც ისეთსავე წარმატებას, როგორც თბილისში, მასურებლის სიმპათია, მათ დაიმსახურეს თავიანთი შესანიშნავი ანსამბლით და ნიჭიერებით“.

განსაკუთრებული სიყვარულით საქართველოში ხვდებოდნენ ა. სუმბათაშვილის ჩამოსვლას და ეს გასაგებაც იყო. ქართველები ამყობდნენ თავიანთი თანამემამულეთ, უწყობდნენ ოვაციებს, შეხვედრებს, ბანკეტებს.

ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ქართველ მსახიობთა დანსა ნ. გაბუნაის ხელით სასახელო თანამემამულეს მიართვა დაფინის გვირგვინი...

ვასო აბაშიძემ მიმართა შემდეგი სიტყვით: „კვირფასი აღქმანდო ივანეს ძე! თქვენი თანამემამულენი, ქართველი დასის მსახიობები, გამოხატავენ რა თავის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, გულითად მადლობას გახდიან იმ შრომისათვის, რომელსაც თქვენ თეატრის აუჯავებისათვის ეწვიეთ. ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს თეატრში... დღეს ქართული თეატრი და თქვენი მშობლიური ხალხი ზეიმობს და გისურვებთ მომავალშიაც ვიხილოთ ჩვენს წრეში“...

მსახიობსადა მძიმედ ერთ-ერთ ბანკეტზე სუმბათაშვილს შეხვდნენ ი. ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

წერილებში, სიტყვებში ხაზი ჰქონდა ვასილ-ლი არა მარტო დიდი მსახიობის ნიჭსა და სცენურ დამსახურებას, არამედ იმასაც, რომ იგი შემაკავშირებელი ხიდი იყო ქართული და რუსული კულტურის მოღვაწეთა შორის, რომ მან, როგორც ეს კოტე მესხმა მის იუბილეზე აღნიშნა, „თავისი ნიჭი, სულიერი ავლადიდება რუსეთის უფლს — მოსკოვის მიუღვნა“...

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1916 წელს (№ 573) აღტაცებით წერდა, რომ ა. სუმბათაშვილს როგორც დიდ მსახიობს და მწერალ-დრამატურგს ცნობს არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი განათლებული სამყარო, რომ

მისი პიესები მრავალ უცხო ენაზეა ნათარგმანი, იგი მოცილებულია მშობლიურ კერაში ოცდათხუთმეტი წელი მცირე თეატრის ემსახურება, მაგრამ ფიზიკლად სდარაჯობს საქართველოს ინტერესებს.

ქართველ მსახიობებთან მრავალი წლის მეგობრება აკავშირებდათ მცირე თეატრის სხვა ოსტატებსაც. როდესაც 1922 წელს ქართული სცენის დიდოსტატს ვ. აბაშიძეს სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს, მოსკოვის მცირე თეატრმა ადრესი გამოუგზავნა. რომელშიაც ეწერა: „ძვირფასო მეგობარო, თქვენ, მცირე თეატრის ახლობელი ხართ, ჩვენი თანამომქმე ხელოვნებანი... ახლობელი ხართ, როგორც ადამიანი მადლმოსილი უზარმაზარი ნიჭით, რამაც თავი იჩინა, როგორც კი ფიზიკური შედეგის სცენაზე: მცირე თეატრის ძველ მსახიობებს ახსოვთ და იგონებენ ახლავარდობის წლებში თქვენს ბრწყინვალე გამოსვლებს თბილისის სცენაზე რუსულ რეპერტუარში“...

... გადიოდა წლები, და მცირე თეატრის კავშირი საქართველოსთან სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა.

ა. სუმბათაშვილი რუსეთში ქართული კულტურის დიდი პროპაგანდისტი იყო და ამ კეთილშობილ საქმეში მას მუდამ გვერდში ედგნენ მცირე თეატრის წამყვანი ოსტატები — მ. ერმოლოვა, ა. იაბლოჩკინა, ე. გოგოლევა, ვ. პაშენაია და სხვანი, რომელნიც რუსული სცენიდან კითხულობდნენ ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს.

1924 წელს თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა პო. სადოვსკი, რომელმაც ადგილობრივ რუსულ დასის წარმოდგენაში, „ვაი ქუყისა-გან“-ში მიიღო მონაწილეობა.

1928 წელს კი მოსკოვის მცირე თეატრი სრული შემადგენლობით ეწვია თბილისს. საგასტროლო რეპერტუარში იყო ა. გრიბოედოვის, ა. ოსტროვსკის, ა. სუხოვო-კობილინის, ლ. ტოლსტოის, თ. დოსტოევსკის, კ. ტრენევის, ე. სკრიბინის და სხვათა ნაწარმოებები. სტუმრებმა ა. იაბლოჩკინას, ე. გოგოლევას, ვ. აქსინოვისა და სხვათა თაოსნობით მოაწყვეს ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის ხსოვნის საღამო.

ქართული თეატრის მცირე თეატრთან კავშირი შემდგომ წლებშიაც არ შეწყვეტილა. ქართული სცენის რეფორმატორმა კ. მარჯანიშვილმა, რომელსაც ამ თეატრში ბევრი მეგობარი და თანამოაზრე ჰყავდა, 1938 წელს განახორციელა თავისი უკანასკნელი დედგმა — ფ. შილერის „ღონ-კარლოსი“, რომელშიაც ე. გოგო-

<sup>1</sup> ვასო აბაშიძე, ქართული სცენის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ, წ. I., თბ., 1951 წ., გვ. 137.

ლევა, ვ. აქსიონოვი და სხვანი მონაწილეობდნენ. მოულოდნელად გარდაიცვალა რუბისორი, მცირე თეატრის ფოიეში დაასვენეს. კ. მარჯანიშვილის ცხედარს უკანასკნელად სიყვარულითა და უღრმესი მწუხარებით სახეს სიტყვებით მიმართეს ამ თეატრის დიდმა მოღვაწეებმა...

კ. მარჯანიშვილის გარდა, სხვა ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას მცირე თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში — 1933—1935 წწ. ამ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო დრამატურგი და ხელოვნებათმცოდნე ს. ამაღლობელი, ამ დანაშაუნი რუბისორობდა ვ. აბაშიძე, თანამშრომლობდა მხატვარი ს. ოცხელი.

დიდი სამამულო ომის წლებში, როდესაც რუსეთის ხელოვნების „ოქროს ფონდი“ საქართველოში იყო ევაკუირებული, მათ შორის მცირე თეატრის ოსტატებიც იყვნენ. თბილისში გარდაიცვალა ამ თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი — მ. კლიმოვი, მისი ნეშტი საქართველოს მიწამ მიიბარა...

1949 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნა მცირე თეატრის დაარსების 125 წლის იუბილე. მოეწყო საღამოები, ლექცია-საუბრები. ამ თარიღს ფართოდ გამოეხმაურა პრესა.

უკანასკნელად, მოსკოვის მცირე თეატრის კოლექტივი თბილისს 1964 წელს ეწვია. გასტროლებზე ნაჩვენები იყო ლ. ტოლსტოის წყევლიადის მეუფება“, ა. ოსტროვსკის „მგლები და ცხვრები“, ჯ. სტეინბეკის „მთვარე ჩავიდა“, ო. უაილდის „ლდი უინდერმირის მარაო“ და სხვა.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა რუბისორ რავენსკის მიერ დადგმულმა წარმოდგენამ „მეუფება წყევლიადის“, რომელიც ანსამბლურობით გამოირჩეოდა, ამ ანსამბლში ბრწყინვადდნენ ი. ილინსკის, მ. უაროვსკის, ე. შატროვას, კ. ბლოხინას და სხვათა მიერ შექმნილი სახეები.

მცირე თეატრის ოსტატები ხვდებოდნენ თბილისის მშრომელებს, ინტელიგენციას. დიდი, სინტერესო შემოქმედებითი საუბარი გაიმართა

დასის წარმომადგენელთა და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მუშაკთა შეხვედრაზე, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ ელ. გოგოლევა, მ. ცარიოვი, დ. ჯანელიძე, გ. ბუნეიკაშვილი და სხვანი.

მცირე თეატრმა მრავალმილიონიანი აუდიტორიის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი მართალი, მაღალიდუური ხელოვნება ახლობელი და გასაგებია ყველა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებისათვის, ეს თეატრი მუდამ იცავდა და იცავს რეალიზმს, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იგი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს და ხალხთან არის. ეს თეატრი რუსი ხალხის ერთ-ერთ სიმდიდრეს და მისი სულიერი ცხოვრების საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს. მცირე თეატრი სათუთად იცავს თავის კეთილშობილ ტრადიციებს, მაგრამ აწასთან ახლის ძიებაშიცაა, სათუთად ზრდის ახალგაზრდობას. მისი ხელოვნება უადრესად ეროვნულია, რუსული, მაგრამ ახლობელი და გასაგები ყველასათვის. ამ ხელოვნებაში ორგანულადაა შერწყმული ეროვნულისა და ინტერნაციონალურის საწყისები...

თავისი მისწრაფებებით, შემოქმედებითა პრინციპებით იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ რეალისტურ სცენურ ხელოვნებასთან. ამიტომაცაა, რომ ამ თეატრის შემოქმედთ უყვარდათ და უყვართ საქართველო, ქართველი მსახიობები. ა. იაბლოჩინა ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ მას უნახავს ოტელოს როლში ტომაშო საღვინი, მაგრამ მისმა თამაშმა ვერ დაჩრდილა აკ. ხორავას ბრწყინვალე ნიჭი.

„მცირე თეატრი, — წერდა ა. იაბლოჩინა, — მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან და მე ბედნიერი ვარ იმით, რომ საქართველოში ასე გიყვართ ჩვენი თეატრი. მისი ბრწყინვალე კორიფეები... მცირე თეატრი ქართული თეატრის ღვიძლი ძმია“...

მცირე თეატრის უკვდავი ხელოვნება კიდევ ბევრჯერ გაახარებს ქართველ მაყურებელს. რადგანაც იგი მუდამ იცოცხლებს, ისევე როგორც ის მეგობრობა, რომელმაც დროის დილა გამოცდა გამოიარა.

## მხიკა თეატრის საიუბილეო საღამოზე

1974 წლის 9 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა სსრკ მცირე თეატრის საიუბილეო საღამო. საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა თეატრების სახელით იუბილეზე მისასალმებელი სატყუვა წარმოსთქვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ.

— ძვირფასო მეგობრებო, — თქვა დ. ალექსიძემ, — ნება მომეცით მოგვლოცოთ თქვენ, უძველეს მცირე თეატრს ეს დიდებული იუბილე მთელი საბჭოეთის რესპუბლიკების თეატრების, მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრების სახელით.

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბებით ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხიდან, რათა დაბლა დავხაროთ თავი ამ დიდებული სახლის, დიდი რუსი მსახიობის შჩეპკინისა და დიდი რუსი დრამატურგის ოსტროვსკის საბლის წინაშე, — თეატრის წინაშე, რომელიც არის ეროვნული კულტურის სიამაყე. მცირე თეატრის იუბილე — ეს არის მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის დიდი დღესასწაული.

მცირე თეატრი თავისი არსებობის პირველავე დღეებიდან გახდა რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ყველაზე პროგრესული ტენდენციების გამომხატველი. ტყუილად როდი ეძახდნენ ამ თეატრს მცირე უნივერსიტეტს.

შჩეპკინის მცირე ჩამოყალიბებული რეალისტური თეატრის კანონები, შეხედულებათა მწყობრი სისტემა მსახიობის შემოქმედებაზე და ტიტან მსახიობთა უბრწყინვალესი თანავარსკვლავედის — შჩეპკინის, მოჩალოვის, პროვ სადოვსკის, უდიდესი ტრაგიკული მსახიობის ერმოლოვას, ლენსკის, იუჟინის და სხვათა ნათელი აქტიორული ხელოვნება გახდა საფუძველი კ. ს. სტანისლავსკის შესანიშნავი, ღრმა და ბრძნული სისტემისა, რომელიც გადაიქცა მთელი მრავალეროვნუ-

ლი საბჭოთა თეატრის მსახიობთა კოლექტივების აღზრდის სკოლად, და არ მარტო ჩვენი საბჭოთა თეატრისა, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესული თეატრალური ხელოვნების სკოლად.

ძვირფასო იუბილარნო! ემსახურებათ რა ჩვენი თანამედროვეობის უდიდეს იდეებს, თქვენ წარმოადგენთ თქვენი წინაპრების საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლებს. საბჭოთა პერიოდის მცირე თეატრი — ეს არის თეატრი უბრწყინვალესი აქტიორული ნიჭიერებისა, შესანიშნავი რეჟისურისა. მცირე თეატრის კედლებში გაისმა პირველად სახელები იმ დრამატურგებისა, რომლებიც დღეს საბჭოთა კლასიკის წარმომადგენლებად ითვლებიან და რომლებმაც შექმნეს საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრისათვის მნიშვნელოვანი საეტაპო ნაწარმოებები.

სრულიად ახლებურად აყვარდა რუსული და საზღვარგარეთული კლასიკა. არ შემოძლია არ დავასახელო ბორის რავენსკის მიერ დადგმული ლევ ტოლსტოის „წყვილიანის მეუფება“ იგორ ილინსკის მონაწილეობით.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ ზრდით ახალ თაობას, გადასცემთ მათ ესტაფეტას. ისინი არიან ჩვენი სამშობლოს უძველესი თეატრის ხვალისდელი დღე.

გილოცავთ მთავრობის უმაღლეს ჯილდოს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენს და ძველი თაობის მსახიობებს — ელენე ნიკოლოზის ასულ გოგოლევას, მიხეილ ივანეს ძე ყაროვს და იგორ ვლადიმერის ძე ილინსკის — საბჭოთა თეატრის ბრწყინვალე ოსტატებს ვულოცავთ სოციალისტური შრომის გმირის წოდების მიანიჭებას. ყველას გისურვებთ ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს, აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდაში. გისურვებთ შეგქმნათ ჩვენი დიადი საბჭოთა ეპოქის დიდი სცენური ნაწარმოებები.



# სენაზა კვაჭი კვაჭანგირაძე

## გიორგი ხუსხუშვილი

დღი უნადური საქმეა პოპულარული ლიტერატურული ქმნილებების ინსცენირება. ყოველ მკითხველს წარმოსახვაში ნაწარმოების საკუთარი „ვარიანტი“ გაჩნდა, თავისებურად წარმოუდგენია ესა თუ ის გმირი თუ პერსონაჟი. მოდი და, შეედავე ადამიანის წარმოსახვას! ამაო გაჯიბრება გამოვა, რადგან იდეალურ შემთხვევაშიც ძნელია გახმაურებული ნაწარმოების „საერთო მნიშვნელამდე“ დაყვანა. ეს თეატრის ყველა შესვეურს კარგად მოეხსენება. ამჯერად ნუ ვიკამათებთ, იმაზე, თუ სანამ უნდა იკვებოს თეატრმა გაცენიურებული ნიმუშებით. ეს წყლის ტუთული ნაუვა გამოვა. ეს პროცესი იქამდე მივიდა, არამც თუ რომანს, მოთხრობას ან პოემას, თვით აღიარებული დრამატული ნაწარმოების ახლებურად გაცენიურებასაც კი ვახდენთ („ყვარყვარე“). მითუმეტეს, თუ ამგვარი ცდები კეთილად მთავრდება, საყვედურებს და წუწუნს ნუ მოვყვებით, ისე მივიღოთ ყველაფერი. როგორც წინდვილად არის, რადგან გამარჯვებულებს არ სჯიან.

ამჯერად რომანიდან სცენაზე ფეხი შედგა „კვაჭი კვაჭანტირაძე“, როგორც ყოველი ახალი თეატრალური მოვლენა. „კვაჭის“ თეატრალური ცნობრება იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, კამათს. ზოგი აპარბებს თავის სკეპტიციზმში, ზოგს აღტაცების გამოხატვაში ღაღატობს ზომიერების გრძნობა, ზოგიც მრავალმნიშვნელოვნად დღუმს, თავს იკავებს, სხვებს უცდის, რას იტყვიანო. მაგრამ არა მგონია რომელიმე ამაოთაგანი მიდიოდეს მარჯანიშვილეთა ახალი დღდგმის უკიდურეს უარყოფამდე. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს! თავისთავად კვაჭის, ამ თითქმის გახალსურებული ტიპის, მოსვლა დღევანდელი თეატრის სცენაზე შემთხვევითი არ უნდა იყოს. როდესაც ხალხი შეურიგებლად ებრძვის წლიბით მოძალებულ მანიკერებას, უნებურად მოუსმობს წარსულის წიაღებიდან თავის უბადრუკ „წინაპრებსაც“ იქნებ ამიტომ თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ მტკვარდამა „კვაჭი“ და გამოდმა „ყვარყვარე“? იქნებ შემთხვევით არ ყოფილა ამ ორი საოცრად ხელშესახები მხატვრული ტიპის გაცოცხლება, ან ღტოლვა მათი კონკრეტული გარემოდან გამოყვანისა და განზოგადებისა, ამ ორ მოვლენას შინაგანად რაღაც ანათესავებს კიდევ. უფრო მეტიც: ზოგ-

ჯერ შეგნებული თუ უნებური სტილური დღბლიორების მომენტებიც კი შეიმჩნევა, ასეა თუ ისე ყვარყვარეც და კვაჭიც თანამედროვე თეატრალური ცხოვრების საგულსხმომ ფქტად იქცა. ამისი უგულვებელყოფა ძალად სიბრძავე იქნებოდა. შეიძლება ჩემთვის შინაგანად სადავოკ იყოს „ყვარყვარეს“ და ნაწილობრივ „კვაჭის“ „რაციონალიზმი“, თეატრალურ პირობითობაა სიჭარბე, სადაც ძნელად შესაგუებელიც და რამდენადმე უჩვეულო გამოგონებლობაც, რაშიც გამოსკვივის თანამედროვე ევროპული თეატრის გამოცდილებანი. ამგვარ „ნახსენობას“ თან ახლავს დღევანდელი მსოფლიოს ლიტერატურულ თუ თეატრალურ დონესთან გათანაბრების კანონზომიერი სწრაფვაც. თუმცა, ამგვარ მომენტებს თან სდევს წამბატელობის პროვინციულობაც. და მინც ჩვენ შინაგანად თანაუგრძნობთ ამგვარ ძიებებს, რადგან მან უნდა დასძრას თეატრის დღევანდელი ხელოვნება კონსერვატორული მდგომარეობის „გაყინული წერტილიდან“. ესაა ერთ-ერთი და არა ერთადერთი გზა.

მიხეილ ჭავჭავაძის ამ რომანის დაბდება საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ ატმოსფეროში მოხდა. ამ მწერლის თითქმის ყოველი ახალი ნაწარმოები მტკივნეულად ეხებოდა ეროვნულ თავმოყვარეობას. ეს ტკივილი იყო გამოჩანსაღების იმპულსი, მაგრამ იგივე ტკივილი იძლეოდა საკვებს დემაგოგათვის, შეხედეთ, სათაყვანო ეროვნულ გრძნობებს როგორ უტიფრად თელავნო. ისიც ყველამ კარგად იცის: ერი, რომელსაც შეუძლია თავის ტკივილზე თუ მანკიერებაზე გულახდლად ღაპარაკი, არ დაიღუპება. ქართველ კაცს ერთი მშვენიერი ანდაზაც შეუქმნია საამისოდ. კაცმა ჰირი მალა, მაგრამ ჰირმა თავი ვერ დამალაო. ამ შინაგანი შეურიგებლობის იმპულსებმა დაბადეს რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ნათელი, ძლიერი ტალღები ანათებს ამ ნაწარმოების ბელეტრისტულ სამყაროს. მოდი თ და იოლად სცადეთ მისი თეატრალური ვარიანტის შექმნა, განჭვრიტეთ როგორ იგრძნობს თავს ამოდენა მასალა ორსათნახვევით განსაზღვრული სცენური ცხოვრების „პროკურუსტეს სარეტელზე“. დიდი რისკია, თანაც ამას დაუშატეო საოცარი პოპულარობა ამ რომანისა. იგი არამარტო ქრისთობატული ნაწარმოებია, არამედ



მომხიბლავად საკითხავი წიგნი, რომელსაც ვინ იცის მომავალშიც რამდენი თაობა დაეწიება. იმასაც დაბეჭდობენ ამბობენ: კვაკვი კვაკანტირაძე ისტორიულად არსებობდაო. ასეც არ იყოს, თვით კვაკის პიროვნების სტელშესახები ნამდვილობა უკუმოქმედებს და მისი ისტორიულად არსებობის არგუმენტების აძლიერებს. თვით წიგნი ამტიკცებს გმირის არსებობას. ეს ტალანტის უტყუარი ძალაა. თითქოს რომანის შემდეგ ვაჩნდნენ, სიტყვებით „კვაკვი კაცი“, „საქმის ვაკვაკა“, „კვაკუარი ოინა“. ეს ნამდვი-ლი ლიტერატურის თვისებია. ვახალხრება აღიარების ქეშმარიტი გამოხატულება ვახლ-დათ მუდამ. რაც შეეხება წიგნის ცენტრალურ გმირს, კვაკვი კვაკანტირაძეს, არც ის ეტყვა უბრალოდ უარყოფითი ტიპის ჩარჩოვში. კვა-კვიმ ტყუილი კეთილ ნიღბად კი არა, ძალად ირწმუნა და თავის გზაზე ტყუილადვე შემწეო-ბით სასწაულები მოახდინა, ძირმომპალი, უბად-რუკი საზოგადოება თავის ნიჭის ბორბალზე საქანელასვით დაატრიალა და თვითონვე დას-ცინა უღიაჯო მარიონეტების კარნავალს. ამ რო-მანის პალოსი უარყოფაა, მაგრამ უარყოფა ზომ მტიკცებასაც ნიშნავს.

მარტინაშვილის თეატრში „კვაკვი“ გასცე-ნაურებზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, მე პი-რადღა ექვით შევხედე ამ წამოწყებას. რომანი საგანგებოდ გადავიკითხე და ექვი კიდევ უფრო გამიძლიერდა. რომანის ღირსებაც და ნაკლიც მკაფიოდ შევიგრძენი და ველოდი როგორ მოეფლებოდა ამოდენა ზღვა მასალას. კოტე მახარაძის ინსცენირების პირვანდელმა ვარაანტ-მა სხვებთან ერთად მეც დამარწმუნა ამ იდეის ოპტიმალურობაში. გავცოდი. როგორ მოხდა ოთხმოცდევრდიან ინსცენირებაში ჩატევა გმი-რის ცხოვრებისა, რომელიც, სხვა რომ არ იყოს რა, თავისი გეოგრაფიული მასშტაბით უსასრუ-ლოდ მოჩანს, ქუთაისის ბულვარიდან ეიფელის კოშკამდე აღწევს, ათსფეროვან სოციალურ რუ ფსიქოლოგიურ წიაღებში ვაღარ, ნიღბების სიქ-რელებში ტრიალებს და განუწყვეტელი მოძ-რაობს. სად უნდა დატეულყო, რომელ სცე-ნაზე ამდენი გიმნაზისტები, მოქიფვე დარღმანდი, მემჩანნი დასახლისები, გაბღენძილი ვაქრები, ავანტურისტები, ბედისმაძიებლები, ფულადანი ყუყუნები, ღამაში კოცატები თუ ამძუებული ვნებას აულოილი დედაკაცები, გემის მგზავრე-ბი, მატარებლები, ბოლოს მეფის სასახლის დარ-ბაზები, რასპუტინის ორგები, სამეფო კარის ინტრიგები, მერე წიკაზე მდგარი მსოფლიო, ქრისტეს მამიებლები და ანტიქრისტენი, სულ ბოლოს საყუაროს მერვე საოცრება მუშვადე საოცრების ფერხითი გართხმული — ეიფელის კოშკიდან დანახული პარიზი? თურმე რამდენი რამის კონანესირება შეუძლია თეატრს. იგი უთვალავ რამეზე იტყვის უარს, მაგრამ ისეთ

ფორმებს შემოგვთავაზებს, რომელიც კვაკვი სიცოცხლით დასძრავს ჩვენს ფანტაზიას. ვაკვი ქუთაისის ბულვარი იქნება სცენაზე, არც ოდე-სის ნახვადგური, არც პეტერბურგში მეფის სასახლე. იქნება მხოლოდ სამად სამი კედელი. რომელზეც შალერის ნაცვლად ფულუბი, მე-ფის დარინდელი ასინგაციბია ვაქრული. ცო-ტა არ იყოს პირდაპირი, ნაცნობი სიმბოლოა: (მხატვრები ი. ქოჩიაძე, ი. ჩიკვაძე, ალ. სლა-ვინსკი). წინასწარ გვეუბნებიან: ეს იქნება ამავე იმ საზოგადოებისა, სადაც ფული იყო მიჩნეუ-ლი უპირველეს და უძლიერეს კერპად. ფულის სატანური ძალა დაატრიალებს ჩვენს წინაშე ამ, მართლაც, უჩვეულო საგნებს. მის ცენტრში დადგება კვაკვი, რომელიც აქუნებს ამ ეტლებს, ცხენებს, სირაქლეტებს თუ მანეკენებს. ასეა ჩა-ფიქრებული სექტივები ღღოლ ალექსიძისა და ნუგზარ გაჩავას მიერ. ამიტომ სცენაზე გამოტა-ნილი ყოველი საგანი ამ საქანელას ორგანულ ნაწილად უნდა იქცეს. კლნიციის საკაცეები უნ-და იქცენ ბანკის ჭიხურებად, მაღლა დაჟიდუ-ლი უზარმაზარი ყვავილების კალათა, სამხრეთ საფარგეთის უღამაზეც ვიღად. სასახლს დაბაზში შემოტანილ მანეკენებში უნ-და ამოვიცნოთ მეჭლისზე მოსული ამაღა, ბარო-ნები, გრაფები, ბარონები. ნავის დეტლაო-და ორიოდ ნიჩბის მოძრაობით უნდა დავინ-ხოთ კვაკვი და მისი ამფსონები გემებზე ოდე-სისკენ მიმავალნი. ზანაღაქების ხმაურმა და ლაყლაყმა რუსული „ტროიკა“ უნდა წარმოკვა-დგინოს. გაშლიდა ქოლგებმა ფემენებელური პალის ილუზია უნდა შექმნას. სულ ბოლოს, მღებავის ჩვეულებრივმა ვახსოვებომა კიბე-ტიფელის კოშკის მაგივრობა უნდა გასწიოს. ძნელია წარმოადგინოთ უფრო უკიდურესი და გაბედული პირობითობანი. მავე დროს იცი, ძალიან კარგად იცი მიხედი ჯავნაშვილის რო-მანის მკაცრი რეალიზმი, მასალის ყოფითობა, დეტალების სიზუსტე და სიმრავლე. და რო-გორ გინდა ვეგლაფერი ამის მაგიერ ირწმუნო სცენიდან შემოთავაზებულ საგანთა ესოდენ უკადურესი სიმბოლოობა? მითუმეტეს, როცა თავიდან გეჩოთირება კიდევ გიმნაზისტები, გაუოფითებული სცენები, თითქოს შეგნებულად ვოდევითურ პლანში გააჩრებულა ეპიზოდები როილის გაყიდვისა და რამდენიმე მუიდელოს ერთბაშად გაბრყვებისა?

დანაქარებს თავიდანვე ვართ შეგუბულნი. მხოლოდ უმეცარს შეუძლია რომანის ყოველი პასუხის სცენაზე გადატანა მოითხოვოს. და მინც სუნთქვა გეკვრის, მოუთმენლად ელი რომანის უმთავრეს ეპიზოდთა სცენურ გარდაქმნას, რათა შეიქმნას მოთიანობის შთაბეჭდილება. დაიან, შთაბეჭდილება და არა ფრაგმენტულ კონსექ-ტი შინაარსისა ჩვენს წინაშე ცოცხალი ადამი-ნები იწყებენ მოქმედებას. ეს ცოტაა სრული



კომუნისტებისათვის. ამიტომ რა გზა იქნება კედელ არჩეული გარდაუვალი სქემატიზმის თავიდან ასაცილებლად? პირველსავე მოქმედებაში არის სცენები, რომლებიც პირდაპირ კპარებუ-ლია რომანიდან. აქ ინსცენირება ტრადიციულ გზას მიყვება, ირჩევს მომენტებს, რომლებიც თავისთავად შეიცავს დრამატულ ელემენტს. დასახლისის შანტაჟირება (ზ. ზაღარაძის მიერ) ოპანესას სივლილი, მისი მამად გამოცხადება და საკუთარი მამის ხელახლა მონათვლა ყალბი პასპორტით — რომანისეული ქმედითი მასალა. თითქოს დილოგსაც არ დასკირვებია აქ ხელის ხლები, იმდენად დინამიურია და კოლორ-ტული. ლიტერატურულ სიმკაცრეს ამ სკანდალ-მეტაფორულ ფრაზებში არ არაღვევს აქა იქ იმე-რულად მოქცეული „გავიმასქნათ“ ან „რეაზა, ბიშო“ და მისთანანი. რაღაც ორიოდე შტრიხით ჩვენს თვალწინ იხატება სილიბისტრო კვაპან-ტორაძე (ტ. საყვარელიძე), პუში (ნ. მიქელაძე), ნოტიო (ნ. ჩხეიძე) და პირველვე შთაბეჭდილ-ბა კვაპის ოჯახის ზნეობრივი ავლადობისა შემწარავია. აქ მკაცრია რომანის ავტორიც და სპექტაკლის დამდგემლებიც. წინააპრ აზნაურ-თავი განსხვავებით, რომლებიც ყოველ ტუთილ-ზე ყვეთლდობოდნენ და წითლდობოდნენ, სი-ლიბისტროს და მისიანებს დაუკარგავთ სინ-დისის ქენჭის ადამიანური უნარიც. ფულაა და ხევა ამქვეყნიურ სიამეთა მოსაპოვებლად გამართლებულია ყოველგვარი უმსგავსო საქ-ციელი. სანამდე მიუყვანია ადამიანები უკუ-მართ ცხოვრებას! ჯანდაბას, სილიბისტრო კვა-პანტორაძე იქცევა ვინმე შაბორიანცად, სამაგურ-როდ დაზღვევის სააგენტოდან წაშოვა ასენა-ციები. რა დიდა ფულის გამხრწნელი ძალა! ზა-ტანა მოქმედებს! ეს თავიდანვე ნავთობსემეცია კვაპის პირველი მახინციების რთულ ხლარაუ-ში. ნიჭიერი ავანტურისტი გიმნაზიელის ტანსაც-მელში, უწყინარი კეთილი ყმაწვილის ნიღბით იწყება თავის უცნაურ ცხოვრებას. ამ ეპიზოდებს (როიალის გაყიდვა, სახლის დაქირავება, მტერ სილიბისტროს მონათვლა) არ აქვთ ფართო სარბიელი. ჩვენმა ფანტაზიამ საოცარი სისწრა-ფით უნდა მისდიოს მოვლენათა სწრაფ ცვალე-ბადობას. არც სიტყვიერი მასალა და არც დე-ტალები საკმარისი არ იქნება სრულყოფილი ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის და სცენაზე ჩნდება სქემატიზმის აჩრდილი. თითქოს ყველა-ფერი ზედამართულად მოკრფვილს ჰგავს. ინე-ნერი სროკინი, სომეხი სოვდაგარი თავისი დამაზი მუღლით, მომავლადი ოპანესა თუ მი-დარი ქალბატონი რებეკა ედელსონი სიტყვიე-რი მასალის საოცარ სიმცირეს განიცდიან. მსა-ხიობებს უტირთ ასეთი „მტელ რომლებს“ თამა-ში. ასეთ დღეში არაან ეკვლის აფხოსნებაც (კი-პის-შე. ვაბილაია და ბესოს — გ. ხურცილავას გამოკლებით). აქ ბევრი რამ გაქვს მწერლის

სიტყვას, თუმცა, ეს სიტყვაც საოცრად გეგო-ტალება და ეს ყველაფერი დასაწყისია, წინ დევ-დევ შორი გზა გასავლელი.

კვაპი! ეს არის ცენტრალური ფიგურა, რომე-ლიც მაგნიტით იზიდავს გარშემო ყველაფერს. აფრქვევს კათინაურებს, ოსტატურად ხმარობს უმწეო, კეთილი სტუდენტის ნიდაბს. კოტე მახა-რახის კვაპი ზოგმა შეიძლება მთლიანად მიი-ღოს, ზოგმა სადალო მიიჩინოს, მაგრამ ექვ-გარეგნა ერთი რამ: ჩვენს წინაშეა თავადან ბოლომდე ზუსტად მოციქრებული და ადგი-ლებში ვირტუოზულად გათამაშებული სცენე-რი სახე. ის შემპარავად, უფექტოდ შე-მოღის თეატრალურ გარემოში უბრალო სტუ-დენტის ტანსაცმელში. შემდეგ თვალის უს-წრავლესად იცვლის ნიღბებს, მიწნებს, ხერხებს. ინტონაციებს და ტანსაცმელს. კოტე მახარაქმ შესძლო ამ უძნელესი ელასტიურობის მიღწე-ვა და მისმა კვაპიმ, მიუხედავად ერთგვარი ზღა-პრული ყოვლისშემძლეობისა, რეალურად დი-წეო არსებობა სცენაზე. მისი იმერული კოპრო-ბა შეეგუა არტისტულ თავდაქერლობას, გულ-წრფელობის ტონი გაიძვრულ ქლესობას. ადა-მიანური მოკრძალება გაღვიძებული მგლის მადას. ქვეშ-ქვეშა, გაიძვრა სტუდენტის უცებ იქცევა „ხორბლებში“ და ცისფერ ახალურში გამოწეპილ პროვინციულ დონუხანად. პროვინ-ციელი დონუხანი ასევე უცებ გარდაქმნება თეთრჩოხიან კავკასიულ პრინცად, კავკასიელ პრინცი დეტექტური რომანების მოაზრებ განგა-ტრება, რომელსაც თანამედროვე ტყვის კოს-ტუმი აცვია, შავი სათვალე უყეთია და ხელში რუბრი უტირავს. ეს უცვე ოსტაპ ბენდერს პირდაპირი წინაპარია, როგელსაც ბევრად მძაფრი ვენება ამოძრავებს ამა ქვეყნის ძლიერა მუქში მოსამწყვდევად. ზოგჯერ იგი რომანტიუ-ლი და პოეტურიც კია, როცა ხაზგასმული ელე-განტურებით, თავაზიანობით და ოქროპირობით ეარსიყება უმდიდრეს და ულამაზეს ქალბე-ბა რებეკა ედელსონს და ლედი პარკვის. და აქ, საოცარი, გულში ჩამწვდომი მელოდია უღერს ამ „უცოდველი“ რინდის მეტყველ ბაგებთან. ეს სიმღერა ქუთაისის ბულვარებიდან არას აფრენილი და მთელ მის ცხოვრებას ლიტერო-ტივად გასდევს (კომპოზიტორი ვ. კუხიანიძე). „იმერული ტრუბადური და ფრანგი დემომოდინი შეერთებული ამ საკვირველ ტიპში და ქვეყნად არ არის ქალი, რომელმაც გაუღლოს მის ცთუ-ნებას. ეს უცვე ჯავახიშვილისეული კვაპია, უტი-ფრობამდე თამამი და დამლომატიურად გამ-პრიახიც. კოტე მახარაქმ გამოკვეთს პროვინ-ციული დონუხანის ხასიათს, რომლის რომანულ ინტრიგებში შორს გამიწეული გეგმები იხატება. ერთი შენეღვით ვენბაწყადებული მოტრფია-ლის და „შეყვარებული ანთროპისის“ ზურგს უკან დგას ხარბი კომერსანტი, რომელსაც თავ-



ბრუს ახვევს სიმდიდრე და ფუფუნება. როცა ის თავის მეგობრების ან მეფის წინაშე მსჯელობს თანამავალ კონცესიებზე, კაპიტალის გონივრულ დაბანდებასა და ღიად მოგებაზე, თვალეზი ისე უბრწყინავს როგორც ავსუნებულ შეყვარებულს სათაყვანო ქალის წინაშე. ეს ნამდვილი კვაკია — საშიშიც და შემშპარავიც, რომანტიკულიც და ცინიზმამდე პრაქტიკულიც. ახლა უკვე ეპიზოდები აღარ თამაშდება დრამატურული პედანტურობით, პირობითობა თავის ნამდვილ სტიქიაში, იქცევა და სექტაკლის სტილიური სახე დამაჭერებლად იკვეთება. სექტაკლის ავტორელიც შევსებულად ანელებენ ხოლმე კვაკის მომხიბლაობას, დრო და დრო ამჟღავნებენ მის მგლურ სისასტიკეს და ცინიზმს, რათა მკაფიოდ გაორებული დამოკიდებულება წარმოეშინ ამ უცნაური კაცის მიმართ. ოდესღაც სტუდენტ ქალთან დამოკიდებულება, მისი დაუდევრად გადაგდება საოპერაციო მაგიდაზე და ცირკის ილუზიონისტივით იმავე მაგიდაზე პურმარლის გაშლა, რებეკა ედელსონის ბატკანივით მიგდება მგლის მადის მქონე გრიშა რასპუტინისთვის, ბოლოს ლედი მარვის (მ. ჭაფარიძე) რომანტიკული ტრფიალის დამცინივე ფინალი: „ჩასწერე, ბესო, შაბათი, ლედი მარვი“ საბოლოოდ ამჟღავნებს ამ „პროვინციელი კაზნაოვას“ დაუნდობელ მტუნებას. ყველაფერ ამას აძლიერებს კვაკის სოციალი გაშმაგება ფინალში, წინასწარობა — დაკარგული ბანკროტის ისტერიული ყვირილი, ყველა მთავრობასთან საერთოს გამოსანახავად მოწვევებულები ნიღბები. და სულ ბოლოს კანონწომიერ აღსასრულს შეგებული მწარე მონოლოგი, რასაც ახშობს წითელი არმიის შრისხანე კავალერიის ცხენების თქარაშქური. ამ ხაზებში ამოიცნობა კვაკის სოციალური ბუნება და მისი დაღუპვის გარდაუვალობა. ნაწარმოების აზრი მის სცენურ განსხეულებაში ზუსტად არის ამოტივტივებული და შინაგანად დასრულებული.

მერე ვის აღეკვება ან ვის შოლტავს კვაკის საბოლოოდ ცრუ და ცარიელი ცხოვრება? რა უნდა თეატრს უთხრას დღევანდელ მყურებულს? ეს შემთხვევითი კითხვა არ გახლავთ. პასუხი არსებობს. კვაკი სარკეა ყველა მედროვისთვის, ვინც საკუთარ ეგოისტურ ვნებებს აყვება და ქვეყნიერებას სათლელ ბეჭედ მიიჩნევს. მხოლოდ თავისი ქიის გახარებაზე იფიქრებს და ადამიანურ დანიშნულებებზე თუ მოვალეობაზე, მოქალაქეობასა თუ პატრიონებაზე ცინიკურად ხელს აიღებს. კვაკის ტრავედია მის სოციალურ უნიადგობაშია და ეს ყოველთვის დარჩება მწარე გაფრთხილებად იმათთვის, ვინც წუთისოფელში დევნიად გაიხადა — რა არგოს საკუთარ თავს. კვაკი ბუნებრივად უნდა მისუღიყო საღიშამდე და მკვლელის გაშმაგებამდე.

მივიდა კიდევ — რამდენი დაღუპა და დაღუპა ბრუა თავის ცაზე. ბოლოს დაღუპავად მოგულა ძალღივი: ერთგული ქიპიცი, რომელიც მტაცებლის სიხარბე გადავიდა ფულის თუ ქონების დაპატრონების უჩაღურმა სურვილმა. აქ საბოლოოდ გაშშვლდა ილაღურ მოგაზურთა და „მოშხილავ“ ავანტურისტთა ურთიერთობანი. დასასრული დროულად და ლოგიკურად დადგა. თავიდან უწყინარი ინტრიგანი და მოხერხებულ მატყუარა მკვლელი გახდა.

კვაკი დროის შვილია, მისი არსის გამოშხატველი და მისი ბრალმდებელიც. ეს ყველაფერი მოდის სცენიდან და ნაწარმოების მხატვრული არსის ზუსტად გაგებას ცხადყოფს.

რადგან არსი მიკვლეულია, მიტვეებულია ზოგიერთი სტილიური სიჭრტედ და არათანაბრობაც. ოპერეტული სიმსუბუქე ბანკის სცენაში, რომელიც პაროდული კოფოური ფილმისა პასუს მოგვაგონებს თავისი ყუყური ბანკის დირექტორით (მ. თაბუკაშვილი), ჩერჩეტი პოლიციებლით და გამოთაყვანებული მომსახურებებით, მკვეთრი მოულოდნელობის მიუხედავად მაინც ჭდება სექტაკლის ხასიათში. ასევე პლათის ეპიზოდით თუ პარიოზული პერიოდის ზოგიერთი პასაჟი, სადაც თხრობა მეტია კვაკის საქმეებზე, ვიდრე — მოქმედება. ყველაზე დიდ სირთულეს მაინც პეტერბურგის ეპიზოდები, მეფის კარზე აღწევებულ კვაკის ცხოვრება ჰქმნიდა თეატრალური გარემოს ზუსტად წარმოსახვის თვალსაზრისით. ჭერ მარტო გრიშა რასპუტინის იტრუსალიმს გამგზავრება ერთი სექტაკალია რომანში. ვერ ვიტყვი ამ მხრივ ყველაფერი მაქსიმალურად გაკეთებულიყო, მაგრამ მიხალღვებითი ექვივალენტი მაინც მოიწინა და წარმოდგენის მთლიანობა არ დაირღვა. თავისი ფუნქცია ზუსტად შეასრულა „მარიონეტების თეატრმა“ და სცენაზე შემოტანილმა მანეკენებმა გაააწყლა ტრადიციული მასობრივი სცენების მოთხოვნა. გამოვლინდა მეფისა (ლ. ცხვარიაშვილი) და დედოფლის (დ. ქიქნაძე) უნიათო სახეები. ძირმომპალი იმპერიის არსი, იმპერიის არსი, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებს ერთი ემპატი „მუჟიკი“ მღვდელმთავრის სამოსელში — რასპუტინი. ამ რამდენადმე სარისკო სცენებას გამართლება საგრძნობლად განსაზღვრა სულ რაღაც სამიოდ ეპიზოდში თენგივ არჩვადის თამაში. გაბედული აქტიორული მონასმებით დახატულმა ფსიქოლოგიურმა პორტრეტმა საქმალად რთული პიროვნებისა. თ. არჩვადის რასპუტინი ორგანულად იგუებს სატირულ ფერებს და შეკრულ, კოლორიტულ მძლავრ მხატვრულ სახედ წარმოვიდგება.

და ბოლოს მწერლის სიტყვა. ძლიერი და ზუსტი მწერლის სიტყვა, ფრაზა, ინტონაცია, კილო და ბოლოს კი არა — თავი და თავია, ნამდ:

ვილი ლიტერატურა. აწროვნების სისხარტე, გამოთქვამის ფრთხანობა და არტისტიკაში! თურმე რამდენს ნიშნავს ეს სარულფასოვანი ლიტერატურულიობა სპექტაკლის ზედისთვის, მისი მხატვრული ხარისხისათვის! „ახლა დამიდექ პეტრეს ქალაქი!“ დამეუქრება კვაკი პეტროვარადს, თითქოს რომის კართან მდგარი ჰანიაბლა იყოს; „აშორდია, გაგაფასე“ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკებს „სახელოვანი“ წინაპრის მისამართით. „ვენაცვალე პეტრე დიდს რომ გამოქრა სარკმელი ევროპაში. იმ საქმელში გავძვრე-

ბი და...“ ეს სულ სხვა ხარისხის გონებამახვილობა თუ სარკაზმი, ვიდრე ჩვენ შევხვედრავართ დღემდე თეატრის სცენაზე. დიას, ეს მწერლის სიტყვაა, რომელიც მძაფრად მოქმედებს და მიზანს აღწევს. ნოყიერი, სხარტი ქართული სატყვა, ის მარიაობა, რომელიც კვაკის ცხოვრების გრძელ გზაზე სიცოცხლით ავსებს დრამატურგიულ სქემებს. ამგვარი სიტყვა ეკადრება თანამედროვე თეატრს, რომელიც ეძიებს, ძნელად პოულობს და მიიღტვის აღამაინათართული ცხოვრების სიღრმეებისკენ...

## ნუ გაღათილავთ ყვაიკობს!

ალექსანდრე ჩხაიძე

ციმბირკლამ ჰაბუკმა ჟურნალისტობით დაიწყო, მაგრამ, როგორც სჩანს, საგაზეთო ნარკვევებსა და რეპორტაჟებში ვერ ჩატა საოქმელი და დაწერა რამდენიმე პიესა. მათ კითხულობდნენ, ავტორს აქებდნენ, გაბედულებას უწონებდნენ და აპით მთავრდებოდა უკვლავფერი, თუ მხედველობაში არ მივადებთ მშობლიური ირკუტკის სცენაზე დადგმულ ერთ პიესას. ახალგაზრდა კაცი ციმბირელის საჯაუტით განაგრძობდა წერას, მაგრამ კარგა ხანს აღექსანდრე ვამპილოვის სახელი მხოლოდ თეატრალთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი... დღეს კი მისი პიესები შეტანილია ჩვენი ქვეყნის ბევრი თეატრის რეპერტუარში. მართკ მოსკოვში თითქმის ერთდროულად დაიდგა ა. ვამპილოვის ოთხი პიესა. ახლა მას კარგად იცნობენ საზღვარგარეთაც. უკვე ლაპარაკობენ და წერენ „ვამპილოვის თეატრზე“, მისი ხელწერის ჩებოვისებურ მანერაზე. ერთი სიტყვით, აღექსანდრე ვამპილოვის დრამატურგია ბოლო დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად ითვლება.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის აფიშებზეც ა. ვამპილოვის ორ პიესას ვეცნობით. ესენია „გამოთხოვება იენისში“ და „წარსულ ზაფხულში“. ახლო მომავალში აქ კიდევ აპირებენ მისი პიესების დადგმას. გრიბოედოველთა ახლადდელ რეპერტუარში სხვა საინტერესო დადგმებიცაა, მაგრამ ჩემი არჩევანი ამ ორ პიესაზე იმიტომ შეჩერდა, რომ ვიცნობდი აღექსანდრე ვამპილოვს. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ამ ოთხი წლის წინათ, მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში. მაგრამ არა სპექტაკლზე, არამედ დღისით, სალიტერატურო ნაწილის გამგის ელენე იაკუშკინას კაბინეტში. საღამოს ამ თეატრში გველოდა გახმაურებული სპექტაკლის ნახვა. მაგრამ საშა ვამპილოვი უხასიათოდ იყო, ამჯერადაც უნაყოფოდ დამთავრდა მისი რომე-

ლიდაც პიესის დედაქალაქის სცენაზე გამოტანის ცდა. თუმცა იგი არ ჩიოდა, უხმოდ უსმენდა იაკუშკინას, რომელიც ამხნეებდა მას, მაგრამ საშა ვამპილოვს თვალბში ეტყობოდა, რომ არც პიესების წერის მიტოვებას აპირებდა და არც ბრძოლას მათი გამირების სცენაზე გასაცოცხლებლად.

შემდეგ ვამპილოვს აღარ შევხვედრივარ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენი პიესები მოსკოვის ერთსა და იმავე თეატრში დაიდგა, დრამატურგი პრემიერას ველარ მოესწრო, მან წლის აღექსანდრე ვამპილოვი ბრმა შემთხვევამ იმხვევრბლა ბაიკლზე.

აქვე მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ ა. ვამპილოვის „გამოთხოვება იენისში“ მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრშიც და გრიბოედოველთა სცენაზეც (ი. შევრსუთან ერთად) დადგა აღექსანდრე ტვსტონოვოვმა, დღეს უკვე თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მთავარმართეისორმა.

„გამოთხოვება იენისში“ ა. ვამპილოვის პირველი პიესაა, რომელშიც შეიძლება რამდენადმე ტრადიციულადაცაა ნაჩვენები სტუდენტური ცხოვრება, მაგრამ მასში უკვე ნათლად იგრძნობა დრამატურგიული ხელოვნების კანონების ღრმა ცოდნა და, რაც მთავარია, ცხოვრების თავისებური ხედვა. პიესის მთავარი გმირია, სტუდენტი კოლესოვი (მსახ. ი. კობჩენკო), რომელიც თავხედურად ეცნობოდა ავტობუსის გაჩერებასთან ტანიას (მსახიობი ლ. არტემოვა), შეიქრება სასტუმროს ნომერში საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობ გოლოშუბოვასთან მეგობრის ქორწილში დასაპატიჟებლად. საბოლოოდ კი, ქორწილას ნაცვლად, თხუთმეტი დღით მილიციაში აღმორჩნდება წვრილმანი ხულოვნობისათვის. ყველა ამ, ერთი შეხედვით, კანონსაწინააღმდეგო სიტუაციაში კოლესოვი მანაც მარ-

თალი და პატიოსანია, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ მის სულში.

პიესაში საქმად ბევრი იუმორი და კომედიური სიტუაციაა, რაც ერთგვარი ცდუნების, მაყურებელზე თამაშის საშუალებას ჰქმნის, მაგრამ რეჟისორი ისე წარმართავს ყოველ სცენას, რომ არ დადკარგოს მთავარი აზრი — ადამიანი რთული და საინტერესო არსებია. იგი მოითხოვს მეტ ყურადღებას. მაგრამ ამას ვერ მიხვდა სწორედ ის, ვისაც უშუალოდ ევალება ახალგაზრდა ადამიანის სულში ღრმად ჩახედვა, — რექტორი რენიკოვი (ამ როლს უსტადე, გემოვნებიან ასრულებს ვ. ბაიკუსეი), რომელიც სტუდენტ კოლესოვის დაახლოებას მის ქალიშვილთან მიიჩნევს ახალგაზრდა კაცის კარიერისტულ ზნად მეცნიერებაში. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით რენიკოვია ცრუმეცნიერი. ამას მას პირდაპირ ეუბნებიან არა კოლესოვი და არა რომელიმე მისი იდეური მოწინააღმდეგეთაგანი, არამედ საყუთარი მეუღლე. ეს როლი პიესაში რამდენადმე სქემატურად გვეჩვენება, მაგრამ მსახიობი თ. ბელოუსოვას შესრულებით ნათლად ვხედავთ რენიკოვას მთელ ბიოგრაფიას, რომ გარგნული კეთილდღეობის მიუხედავად, იგი არასოდეს ზედნიერი არ ყოფილა ამ ოჯახში, და უნდა ვივარაუდოთ, რომ რექტორი ასეთივე ბედს უშნადებს თავის ერთადერთ ქალიშვილს.

პიესის საერთო სიუჟეტური ქარგვიდან რამდენადმე ამოვარდნილია, მაგრამ თავისთავად საინტერესო სახეა ზოლოტუევი მ. პიასეცკის ოსტატური შესრულებით. საერთოდ სცენა სასაფლაოზე, სადაც თხოთმეტღლიან პატიმრობას იხდიან „ხსულოვები“ კოლესოვი და ზოლოტუევი, და ზოლოტუევის ავარაკზე, სადაც ინტიტუტიდან გარიცხული ნახტულენტარი თვეში 60 მანეთად ემსახურება მოყვარულ მეყვავილეს, საუკეთესოა სპექტაკლში. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით კოლესოვისა და ტარნაის ზოგიერთ სცენაზე, რაც სასიყვარულო ისტორიის ფარგლებს ვერ სცილდება, აკლია შინაგანი დატვირთვა, თუ გნებავთ, ვნებათა დლევა, რაც მოქმედებს სპექტაკლის საერთო უღრამობაზე.

კიდევ ერთი სასიყვარულო ხაზია პიესაში. ამჟამად საქმე გვაქვს სამკუთხედთან, რომელიც შეიძლება ტრადიციულად ჩავგეთვალა, რომ ისიც არ ემსახურებოდეს სპექტაკლის საერთო დელაჯარს. მაშა (ლ. კარლოვა) არჩევანის წინაშეა, ორი მეგობარი ვაჟიდან რომლის ცხოვრების თანამგზავრი გახდეს, ბუკინისა, რომლის პერსპექტივა ძალზე ბუნდოვანია, თუ ფროლოვისა, რომელსაც სამეცნიერო კარიერა ელოდება, (ამ როლებს ასრულებენ ვ. ხარუტჩენკო და ა. გარინი). აქაც იმარჩევენ ვამპილოვისეული პოზიცია, რომ ცხოვრებაში ადამიანს უფრო მე-

ტი მიზანი უნდა ჰქონდეს, ვიდრე პირადობის თილდღეობისათვის ზრუნვაა, მისი მიღწევა კი მხოლოდ თანამოაზრეებს შეუძლიათ.

რაც შეეხება მეორე პიესას, „წარსულ ზღახულში“ (ჩეჟისორი თ. ალექსიშვილი) აქ უკვე საქმე გვაქვს მომწიფებულ დამაბოლოთან, უფრო ფართოდ და მკაცრად მოაზროვნე დრამატურგთან.

..ეს დღევ ციმბირის მივარდნილ პატარა ქალაქ ჩულომსკში თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო: დღაოდრიან საჩაიის კარები გააღო მებუფეტე ანა ვასილევანა (მსახიობი თ. ბელოუსოვა); ტრაგიკულად ჩამოვიდა ჩულომსკელისათვის კარგად ნაცნობი მოხუცი ევენკი მონალირე ერთმევე (მსახიობი დ. სლავინი) და შეხვდა ძველ მეგობარს დერგაჩევს (მსახიობი ა. შმელიოვი); საჩაიის ზედა სართულიდან გამოვიდნენ მეფეთაქე კაშკინა (მსახიობი ლ. კრილოვა) და ადგილობრივი გამოძიებელი შამანოვი (მსახიობი ჯ. სიხარულიძე); მთელმა ჩულომსკმა იცის, რომ ისინი ერთად ცხოვრობენ, მაგრამ მინც ცალკე-ცალკე მიდიან საჩაიში სასაუზმოდ და ისე უხალმებიან, თითქოს ამ დღით შეხვდნენ ერთმანეთს. აქვე მოვლენ შემდეგ პიესის სხვა პერსონაჟებიც: სატყუო მურენოების მუშა პომიგალოვი (მსახ. მ. მინეევი), ადგილობრივი „ინტელიგენტი“ მეჩეტკი (მსახიობი ა. ლევინი), ანა ვასილევანას ვაჟიშვილი პავლე (მსახიობი ლ. პიარინი), მართალია, პირველსავე სცენებში არის კონფლიქტები, მაგრამ იგრძნობა, რომ აქ, ჩულომსკში კიდევ უნდა მოხდეს რაღაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი. ამას გვაფიქრბინებს პიესის კიდევ ერთი პერსონაჟი, ახალგაზრდა ოფიციანტი, ვალენტინა, რომელიც დღაოდრიანვე ტრაილეს საჩაიის გვერდით ერთი ცაიქნა მიწის ნაკვეთზე გაშენებულ ყვევილნარში და თავის ადგილზე ჰკიდებს მორყეულ პატარა ჭიშკარს. შემდეგ, სპექტაკლის მიმდინარეობის დროს, გამველიევი მოკლე გზით დააბოტებენ ამ ბაღში, თელავენ ყვევილეს და ვალენტინა ისევ და ისევ ჰკიდებს თავის ადგილზე ჭიშკარს. ეს სცენა უნდა მივიჩნიოთ სპექტაკლის ამოსავალ წერტილად, რომლის ფონზე უკვე მეტი სიმძაფრითა და მნიშვნელობით იმუშებთა პერსონაჟთა ურთიერთობა, თითქოს სასხვათაშორისოდ ნათქვამი ფრაზაც კი, როცა მაგალითად, პენსიის მისაღებად ერთი დაწესებულებიდან მეორეში გაუთავებელი, უნაყოფო წოწიალის შემდეგ მოხუცი ევენკი ჩივის, ყველამ იცის, მთელი ჩემი ცხოვრება შრომაში გავატარე, მეგზურობას ვუწევდი გეოლოგთა ექსპედიციებს, მაგრამ ამის დამამტკიცებელი ოფიციალური საბუთები არა მაქვს, ქაღალდებს უჭერებენ, ადამიანს კი — არა.

პენსიაზე ოცნებობს გამომიქვებელი შამანოვიც. მაგრამ წელთა სიმრავლემ კი არ გატეხა იგი. არამედ — ცხოვრებამ და ყველაფრისადმი გულგრილი გახდა. ეს კი დაიწყო მაშინ, როცა ახალგაზრდა, ნიჭიერი იურისტი დიდი ქალაქში ცხოვრობდა, ერთი საქმის გამოძიების დროს არ დაფარა ადგილობრივი „დიდი კაცის“ ნაძარაღი ნაშეიერის დანაშაული, თუმცა ამით ვერაფერს გახდა და პროტესტის ნიშნად დატოვა ის ქალაქი, ჩუღუთისკოში გადმოსახლდა. მაგრამ შამანოვიც ვერც აქ შპოვა მოსვენება, კაშინისთან არს რამანდრე მოყირქვა და აი სწორედ ამ თითქოსდა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მეხვივით დაეცა გასაოცარი ამბავი — იგი თურქმენუყვარს ვალენტინას, ამ უმწიკვლო გოგონას, რომლის თვალწინ შამანოვიც ყოველ დამე ადის აფთაქართან ღამის გასათევად. ვალენტინა კი გულში მაღულად ინახავს დიდ გრძნობას და კვლავ ელოდია ვევაილნარს, როგორც თავისი სიყვარულის სიმბოლოს. შამანოვისათვის ცხოვრებას თითქოს ისევ მიეცა ინტერესი, სულდღიერი ნათესაობის ჭერ კიდევ უფრო ღია გაიბა მასსა და ვალენტინას შორის, მაგრამ გულქვა ადამიანებმა იმ ყვავილივით ჩანასახშივე გათელეს ეს გრძნობა, ნაცვლად იმისა, რომ ვალენტინა თავის პირველ პაემანზე შეხვედროდა შამანოვს, იმავე საღამოს პავლის ადვირახსნილობის მსხვერპლი გახდა იგი. მაგრამ მოხდა საოცარი რამ, ვალენტინას ამით ღირსება კი არ დაუკარგავს, პირიქით, უფრო ამძლდა ჩვენს თვალში.

ფინალური სცენა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და რამდენადმე მოულოდნელიცაა პიესაში, მაგრამ სპექტაკლში იგი ვერ ავიდა გამოიღვის ჩანაფიქრის დონემდე, ალბათ, უპირველეს ყო-

ვლისა, იმიტომ რომ ვალენტინა მაინც ვერ გადაიქცა იმ პიროვნებად, რომელმაც სინდისი ქენჯნა უნდა აგრძნობინოს სხვებს, რომ ასეთ-ნაირად ცხოვრება არ შეიძლება, თვით ამ პიროვნებებში პატარა ქალაქშიც კი. რადგან აქაც ადამიანები ცხოვრობენ, თავიანთი ფიქრებით, გრძნობებითა და მოქალაქეობრივი მოვალეობით. ვალენტინას ბედმა უნდა შემატოს ძალა შამანოვს იმისათვის, რომ გამოვიდეს მის მიერ გაპროტესტებული საქმის პროცესზე და, საერთოდ, დაიბრუნოს სამართლიანობისათვის ბრძოლის უნარი. სიღუფრულენდელყოფის მესვეურებმაც მეტი გულსისყური უნდა გამოიჩინონ მოხუცი ევენკისადმი, რომელსაც ნამდვილად ეკუთვნის პენსია. ალბათ პავლემ ჩაუქრებდა თავისი უმიზნო ცხოვრების გამო და შეიძლება იმ კაცუნა მეჩეტეკისაც, თითქოს წესრიგს რომ ამყარებს ჩუღუთისკოში და ყველას ჭკუსა ასწავლის, როგორც ღამდამობით, ალბათ, ანონიმურ წერილებსაც თითხნის, მასაც კი გაუღვიძოს ადამიანური გრძნობა, სწორედ ამიტომაც აღექვანდრე ვამპილოვი მკაცრიც და კეთილიც, ნაღვლიანიც და ოპტიმისტურიც, რაც მთავარია, მართალი და მებრძოლი, რომელსაც, სამწუხაროდ, ნათქვამზე უფრო მეტი სათქმელი ღარჩა.

სტუდენტი კოლესოვი ალბათი ბალახის ბარში ჩამოტანაზე, უფრო სასარგებლოდ გამოყენებაზე ოცნებობს და გჭერა, რომ იგი მიაღწევს კიდევ ამას. ვალენტინაც ისევ და ისევ ჩამოკიდებს მორყეულ ჭიშკარს თავის ადგილზე მანამდე, სანამ ჩუღუთისკოში, ბოლოს და ბოლოს, არ შეიგებენ, რომ ადამიანის სავალად განუყოფნილი გზით იარნს და არ გადათლონ ყვავილნარი, რომლებიც ალამაზებენ და აქეთილშობილებენ ჩვენს ცხოვრებას.

## „ჯერ დიხოსენი, მერე იქორნიენს“

### პაატა ფანტულიაი

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასული სეზონის ბოლო პრემიერას რ. ერისთავის ვოდევილს „ჯერ დიხოსენი, მერე იქორნიენს“ საგულისსმო წარმატება ხვდა წილად... მასურებელმა პრემიერაზევე შეიყვარა სპექტაკლი და არა მარტო წარმოდგენის ბოლოს, თვით სპექტაკლის მსვლელობის დროსაც მონაწილენი ხშირად დააჩილოდა მქუხარე ტაშით. მიუხედავად იმისა, რომ პიესაში მოთხრობილი ამბავი საქმიად გულუბრყვილობა, სიუჟეტით ყოველგვარ დაძაბულობას მოკლებული, წარმოდგენა კი ორ საათ ნახევარზე მეტს გრძელდება-მანაც, მთელი ამ დროის მანძილზე არცერთხელ არ დარღვეულა კონტაქტი მასურებელთა დარბაზსა და სცენას შორის, წამითაც არ შესუსტებულა

ინტერესი იმის მიმართ, რაც სცენაზე იყო თამაშებული. სექტემბრის თვეში თეატრის დასმა სპექტაკლი კახეთის მრავალ კულტურის სახლის სცენებზეც უჩვენა და ამჭერადაც ყველა წარმოდგენა მასურებელთა აშკარა კმაყოფილებით დამთავრდა. წარმატებით გალადებულებს, სპექტაკლში მონაწილე მხანობებს უსაღვროდ უყვართ თავიანთი ეს ნამუშევარი, დიდის მონდომებითა და გატაცებით, ენერგიის დაუფოვავად თამაშობენ.

ყოველივე ამას თავისი მყარი საფუძველი და ობიექტური გამართლება გააჩნია; სპექტაკლი უდაოდ სასიამოვნო, აშკარად სიმამითურ შაბიეკილიებას სტოვებს; უფრო მეტიც, იგი უსურებელს ჭანხალ, საზეიმო გუნებაზე აყენებს

და უამრავ კარგ მოგონებასა და სიცილისმომგვარელ ასოციაციას უტოვებს.

სექტაკლის წარმატების საიდუმლოება ძირითადად მის ზაზგასმულ თეატრალურობაში უნდა ვეძიოთ. იგი უპირველეს ყოვლისა სანახაობაა — მრავალფეროვანი, კოლორიტული, ხალისიანი; უსაზღვრო ფანტაზიით, გასაცარი გამოგონებლობით შეთხზული და ნატიფი, დახვეწილი გემოვნებით განხორციელებული. რეჟისორ ნუგზარ ლორთქიფანიძის ნამუშევარი იუმორის უსაზღვრო გრძნობით და, რაც მთავარია, საოცარი ინდივიდუალობით გამოირჩევა. ახალგაზრდა რეჟისორი ამ სექტაკლში ჰარბად ავლენს თვითმყოფად რეჟისორულ „ფანდებს“, რაც სანახაობას სიხარლის სასამოვანო სურნელს მატებს.

უპირველეს ყოვლისა, ნ. ლორთქიფანიძეს დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია თვათ დრამატურგიულ მასალაზე: სექტაკლში ჩაურთავს რამდენიმე სცენა ამ ადგომის სხვა პიესებიდან, დაუმატებია ინფორმაციები და ხუმრობები იმდროინდელი გაზეთებიდან, მოუშველიებია რაფეელ ერისთავის მრავალი მშვენიერი და კეთილზმოვანი ლექსი, რომლებიც ზემოქვემოთ ორგანულად ერწყმიან პიესას. კოლორიტს მატებენ მას და მრავალი საინტერესო ფერით ამდიდრებენ გმირთა ხასიათებს. სცენები უაღრესად ლოგიკურად და ქვიანურად დაკნულაგებია. ყოველივე ეს სიმღერებოდა და ცაქვებით ჰარბად გაუზავებია; ყველაფერი ამისათვის შესანიშნავი კომპოზიციური ჩარჩო და ზუსტი სცენური ფორმა მოუძებნია.

მაგრამ ამ სექტაკლში რეჟისორის ნამუშევრის ძირითადი ღირსება მაინც, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ ფანრიის კანონების ზუსტი გათვალისწინებით და უტყუარი გემოვნებით მოფიქრებული და გადაწყვეტილი სცენებია. ყოველი სცენა სასიამოვნო მოულოდნელობითაა აღსავსე.

ვოდევლიში, მოგვსენებათ, მუსიკა ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მუსიკას ამ ფანრიის წარმოდგენაში კონკრეტული ფუნქცია გააჩნია, ამიტომაც ძალიან ძნელია ასეთ სექტაკლისათვის მუსიკის შერჩევა. როგორც წესი, ვოდევლიანთვის მუსიკა სტეკალურად იწერება ხოლმე... მაგრამ სექტაკლის მუსიკალური გამაგრებლის დიდი გურგენიძის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მის მიერ შერჩეული მუსიკა სავანგებოდ ამ სექტაკლისათვის შეთხზულის შთაბეჭდილებას სტოვებს.

და გურგენიძეს ძირითადად შ. აშმაფიარაშვილის, ვ. დოლიძისა და კ. მეღვინეთუხუცესის მუსიკა გაოლქუენებია, ისე ოსტატურად დაუმონტაჟებია რეჟისორთან ერთად ისე მიუხადავებია სექტაკლსათვის, რომ იგი წარმოდგენის

სრულფასოვან, შთაბეჭედავ და, რაც უმთავრესია, ორგანულ კომპონენტად ქცეულა.

საწყენია, რომ იგივე არ ითქმის სექტაკლის მხატვრობაზე (მხატვარი დავით ბალარჭიშვილი). სცენური მოედნის დაგეგმარება, კონსტრუქცია თითქმის ურიგო არ არის, იგი კარგ ასპირებს უქმნის მსახიობებს მოქმედებისათვის და რეჟისორისათვისაც ხელსაყრელია მიზანსცენების დასაწყობად, მაგრამ სცენის შვი ჩაცურებაში, შვი ფარდა სცენის სიღრმეში, დეკორაციების უდიდამო ფერი, ქუქუიანი სტენდები აფიშებისათვის ავანსცენაზე ერთგვარად უშლის ხელს სექტაკლის საზეიმო ატმოსფეროს შექმნას.

ამ ხარვეს ერთგვარად ავსებს გემოვნებით გააზრებული და ოსტატურად შეკერილი კოსტუმები.

სექტაკლში ქორეოგრაფებად რუსთავის თეატრის მსახიობი გურანდა გაბუნია, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი ნანული სარაჯიშვილი და თვით სექტაკლის რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე გვევლინებიან. მათ მიერ მსუბუქი იუმორით დადგმული „ბაღდადური“, „ქარაოლი“, „ჯედიანი“, „გამველიების ფლირტი“, „ელისაბედისა და ოსვენს“ კუმბეტები, „სერგოს ადაფიო“ მაყურებელთა მოწონებასა და გულიან სიცილს იწვევენ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს-მუსიკა, ქორეოგრაფია, მოხდენილი კოსტუმები, კარგი განაღდა უდაოდ დიდი ეხმარება რეჟისორს თავისი ჩანაფიქრის სრულყოფილად განხორციელებაში, მაგრამ ყველაზე სასიხარულო მაინც ისაა, რომ ახალგაზრდა რეჟისორმა თელავის თეატრის მსახიობების სახით უერთგულესი თანამაზრდნი იმოკა. ისინი ამ სექტაკლის სრულფასოვანი თანავტორები არიან, მათ სჭერათ და ესმით რეჟისორის, გასაცარი შემოქმედებითი ადლოტი მიზნებიან რეჟისორის ჩანაფიქრს და მის მიერ შეთავაზებულს თავიანთი საინტერესო ინდივიდუალობით ამდიდრებენ.

სექტაკლში ჭკრვ ელისაბედ ბუმბულაძის როლს რესპუბლიკის სახალხო არტისტი თინათინ ბურბუთაშვილი ასრულებს. ეს შემოქმედი მსახიობთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც სცენაზე ხილვაც ყოველთვის სიხარულისა და სიამოვნების მომტანია. თ. ბურბუთაშვილის შესანიშნავ სცენურ ფორმას, იუმორის სათუთ შეგრძნებას ზუსტ და მუდამ დასრულებულ ფიტს, მსუყე, უკიდურესად გამართლებულ ინტონაციებს, უტყუარ მუსიკალობას, დახვეწილ პლასტიკას ადრეც მოუხიბლივარო. ამ სექტაკლში ელისაბედის როლი ის მრავალმხრივი მასალა აღმოჩნდა, რომელმაც მსახიობს საშუალება მისცა კვლავ სცენად სასვლად, სრულყოფილად გამოემუღვენებინა თავისი მდი-



დარი მსახიობური პალიტრის ჭერ კიდევ დაუხარკავი ფერები.

ელისაბედი რეჟისორმა და მსახიობმა სრულიად ახლებურად წარმოგვიდგინეს. პიესაში იგი ძუნწი, ჭიუტი და პრაქტიკული ქალია, სპექტაკლის ავტორებმა კი იგი უამრავი ქალური თვისებებით გაამდიდრეს: მას უკანასკნელ მოღაწე აცვია. უსმენს გრამფონს, მღერის რომანსებს, ცეკვავს მოდურ ცეკვებს, კეკლუციობს, ხმამაღლა კითხულობს გაზეთებს, ცდილობს ილაპარაკოს რუსულად. იგი ხან მიმქარადა ნაწია, ხან კი, საქიოებისამებრ, გამომწვევად დარღაიანდული...

თ. ბურბუთაშვილის ხალასმა, მრავალმხრივმა ნიჭმა დიდ მიწვიდევლობა და ვანუშორებელი სურნელები შეხმინეს სახეს.

რუსპუბლიკის სახალხო სახალისი ვახტანგ ჩელიოსპირელი კი ოსეუ შატალუტოვის როლის განსახიერებისას ძირითადად იმ მდიდარ ტრადიციას ეყრდნობა, რაც ამ როლისა და ამაღვარის როლების შესრულებისას შეუქმნიათ ქართული სცენის დიდოსტატებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსახიობის თამაში მაინც აშკარა თავისთავადობით, უამრავი საინტერესო, თვითმყოფადი ნიუანსითა და მრავალი გონებაბახვილი დეტალით გამოირჩევა.

ქალაქური კოლორიტის ღრმა ცოდნა, დახვეწილი გამოვლება, ზომიერების ფაქიზი შეგრძენება, მსუბუქი, ძალდაუტანებელი იუმორი, სცენური მიმწვიდევლობა და, რაც მთავარია, ვოდევილისათვის ესოდენ აუცილებელი მიამიტური გულბრწყვილობა — აი ის ძირითადი თვისებები მსახიობის შემოქმედებითი ინდივიდუალობისა, რომლებიც ეხმარებიან გამოცდად ოსტატს ამ ესოდენ ნატიფი გამოვლებით გამაძიქრწილ. აკადემიურად დასრულებული სცენაური სახის შექმნაში.

კომედიებისა და ვოდევილების უმრავლესობაში შეყვარებული დადებითი გმირი არც თუ ისე სახარბიელო მასალაა ხოლმე შემსრულებელთათვის... იფიათად თუ რომელიმე მსახიობს მიუღწევია ამგვარ როლებში საგულისხმო წარმატებისათვის.

სერგო ამ ვოდევილში არ წარმოადგენს გამონაკლისს, ისიც ისეთივე უგერგილო სახეა, რა გორც მისი „თანამოქმენი“. და თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ მით უფრო მისასახლებელია მსახიობ თეატრ სუნაშვილის ის დიდი წარმატება, რაც მას სერგოს როლის შესრულებამ მოუტანა.

რეჟისორმა და მსახიობმა გმირი დახატეს მკვერის სახასიათო შტრიხებით, როლის ტექსტუალური მასალა გაამდიდრეს რ. ერისთავის სამიჯნურო ლექსებით, რომლებსაც სერგო ღრმა სევდის წუთებში საოცრად თეატრალურად

წარმოსთქვამს ხოლმე. მოუნახეს ზედმიწევნით დამახასიათებელი პლასტიკური ნახაზი.

თ. ხუნაშვილის სერგო ერთ-ერთი დასრულებული, მთლიანი, ელევანტური და ქემშარტიად ვოდევილური სახეა სპექტაკლში. მის მიერ აღრე ნათამაშები გმირული როლების შემდეგ ეს ექსცენტრული სახე უთუოდ სსსამოვნო სიურპრიაზი თელაველ მაყურებლისათვის.

სრულიად ახლებურად წარსდგა მაყურებლის წინაშე მსახიობი ვენერა ფეკირიშვილიც. იგი საინტერესო მონაცემებით მქონე მსახიობია. რომელსაც ყველაზე უფრო ძლიერი ნებისყოფა, მებრძოლი ბუნების მქონე ქალების გაცოცხლები ეხერხება სცენაზე მას სწორედ ამგვარმა როლებმა მოუტანეს მაყურებლის აღიარება. და უიკრად მაიმოკ! — უხერხემლო. მშინარა, ოსახვედროდ სენტიმენტალური, კრუსუნა, დედას კლთას გამობმული, პრანქია და მოფარფრტე სატრფო სერგო შატალუტოვისა.

აპოლონი სპექტაკლის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა, იგი არის ავტორი იმ გამოვლილი ისტორიისა, რომელზედაც აგებულია ამ ვოდევილის სიუჟეტი. ამ დარღიანდ, მხიარულ, დაუოკებელი ენერგიის მქონე ჭაბუკს თელავის თეატრში შესანიშნავი შემსრულებელი გამოუჩინდა ახალგაზრდა მსახიობ რამაზ ბუჭყურაშვილის სახით.

გრძნობს რა როლის სიუჟეტურ და აზრობრვ დატვირთვას და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ამ როლის განსახიერებით აკისრია, იგი სრული გატაცებით, ქემშარტი აქტიორული ტემპერამენტით, გონიერულად წარმართავს თავისი გმირის სცენურ ცხოვრებას.

ყველაზე სასიხარულო მაინც დებიუტანტ ციხანა გიგაურის გამარჯვებაა. მისმა წარმატებამ მოახლე გოგონას როლში ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. მართიუნას სახე შემსრულებლისაგან დიდ უშუალობას და ერთგვარ შემოქმედებით სითამამეს მოითხოვს. როლი მოცემულობით პატარა არაა — ყოველივე ეს ახალბედა მსახიობს რთული და ძნელად გადასალახავი წინააღმდეგობის წინაშე აყენებდა. მაგრამ მსახიობმა პრემიერაზე ისეთი ნამუშევარი გამოიტანა, რომელიც არავითარ შედავას არ თხოვლობს. უფრო მეტიც, მისი მართკუთხა სპექტაკლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩათვალოს, ც. გიგაურის მიერ იუმორით შესრულებული ივანიკასთან არწყობის, დეტექტივისა და „დახოცდითა“ მოთქმის სცენები წარმოდგენის ყველაზე ნათელი წერტილებია.

ივანიკას როლის შემსრულებელი კარლო ქართველიშვილი სხარტად და ლამაზად მოპარაობს, იგი მოქნილია და ოსტატურად ფლობს



უესტს. ამიტომაც სახის შექმნისას იგი ძირითადად პლასტიკას იშველიებს. მსახიობი კარგად გრძნობს მისი გმირისათვის დამახასიათებელ იმერულ კოლორიტს. მისი თამაში ხალხის იუმორითა და გემოვნებით გამოირჩევა. სასურველია სერიოზულად იზრუნოს სცენური მეტყველების დახვეწაზე, წარმოიქმნა უფრო მკაფიო გახადოს.

მანდილოსანი და გიმნაზისტები, რომელთაც წარმოდგენაში ფრიალ მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ, ბიესაში არ არიან, ისინი რეჟისორის ფანტაზიის პროდუქტია. ისინი მასპინძლობენ მაყურებლებს, იწყებენ და ამთავრებენ სპექტაკლს, ასრულებენ ინტერმედებს, მოქმედების მსვლელობის დროს ყველაზე დაძაბულ მომენტებში ჩნდებიან და თავიანთი ჩარევით კიდევ უფრო ამძაფრებენ მდგომარეობას. მათი ცეკვები ალამაზებენ, ლაზოს მატებენ სახანობას. მოხდენილი და პლასტიური იზა შუშანაშვილი თავის პარტნიორებთან ვ. ნიკოლაშვილთან და ლ. სეფიაშვილთან ერთად უდაოდ კარგად უძღვებიან დაქისრებულ ამოცანას და სპექტაკლის მთლიან საწვინო ელფერის თავისებურ ნიუანსს მატებენ. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ი. შუშანაშვილის თამაშს ზოგან მაინც აკლია ის ზეაწეულობა და ხალისი, რაც ასე ნათლად ხიანას მის ცეკვაში, დებიუტანტ ლ. სეფიაშვილს კი მეტ სიამაყესა და გამოუმსახველობას ვუსურვებდით.

ჩვეული ოსტატობითა და იუმორის უსაზღვრო გრძნობით თამაშობს თელაველთა უსაყვარლესი

მსახიობი დოდო სხირტლაძე კინტოს შემოღობულ რაოდენობაში. მას მაყურებელი ტაშით ხვდება და ტაშით აცილებს, მის სხარად მიწოდებულ რეპლიკებს დამსწრეთა გულიანი სიცილი მოხედვს. მაგრამ მაინც, ჩვენის აზრით, ეს სახე არ შეიძლება მსახიობის სრულყოფილ ნამუშევრად ჩათვალოს. ამ როლისათვის მსახიობს აშკარად დაუკლია ის მადლი, მარილი და შინაგანი ცეცხლი, რაც ესოდენ დამახასიათებელია ამ მრავალმხრივი მონაცემებით დაჭილდოვებული შემოქმედისათვის. ამ სცენის უფერულობაში რეჟისორსაც მიუძღვის საკმაო ბრალი, ვინაიდან ეს ენოზოდი თავისი გადაწყვეტათ აშკარად ჩამოუვარდება ყველა დანარჩენს... მას არ გააჩნია ის ზუსტი, კონკრეტული ნახაზი, აკლია ის გამომკონებლობა და ფანტაზიის შედეგი, რითაც ესოდენ „მაყობენ“ სხვა სცენები.

კიდევ ერთი შენიშვნა რეჟისორის მისამართით: მიუხედავად სპექტაკლის ზემოდ აღნიშნული მრავალი უცილობელი ღირსებისა, ზოგიერთ სცენას მაინც აკლია დახვეწა, სისხარტე და ლაკონურობა; შესაძლოა ერთი-ორი სცენა შემოკლებასაც მოითხოვდეს. ეს უფრო კომპაქტურის გაზღვიდა სპექტაკლს, სანახაობა კი კიდევ უფრო მოიგებდა.

დასასრულს უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს სპექტაკლი თეატრის კოლექტივმა ცნობილი ქართული პრეტის, დრამატურგისა და სასოლოლო მოღვაწის რაფელ ერისთავის დაბადებიდან 150 წლისთავს უძღვნა და, საბედნიეროდ, მიძღვნა ღირსებული აღმონდა.

## „გეგეჭკორი“ სხაქიას სახალხო თეატრი

ნათელა ლაშხია

2 ნოემბერს ქ. ცხაკაიას სახალხო თეატრში გაიმართა შალვა დადიანის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ცხაკაიას სახალხო თეატრმა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიუძღვნა სპექტაკლი „გეგეჭკორი“.

შალვა დადიანის ეს ბიესა შემთხვევით არ აღურჩევია თეატრს, ასევე შემთხვევით არ მოუწვევიათ სპექტაკლის დასადგმელად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი შალვა მყავანაძე, რომელიც ცხაკაიას პროფესიული თეატრის პირველი რეჟისორი და სამსახურის ხელმძღვანელი იყო თითქმის ათი წლის მანძილზე. მას შალვა დადიანთან შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა. 1940 წლის დეკემბერში ცხაკაიას თეატრში მან წარმატებით დად-

გა ბიესა „გეგეჭკორი“, რომლის პრემიერას ავტორიც ესწრებოდა.

სპექტაკლი ისლ რაღაც ერთ თვეში მომზადდა და გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რამდენადმე საეჭვოდ მიგვაჩნდა მისი წარმატება, მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა, მოხდა სასიამოვნო შეხვედრა მაყურებელსა და სპექტაკლის შემსრულებელ კოლექტივს შორის. გამოცდილი რეჟისორის ხელმა და მსახიობების მინდომებულმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო და 2 ნოემბერს ჩვენ ვიხილეო. როგორც რეჟისორულად, ისე მსახიობების შესრულების მხრივ საკმაოდ გამართული სპექტაკლი.

ამ წერილის მიზანია ერთი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება გავუზიარო მკითხველს: ბიესის მთავარი გმირის დეტალური გეგეჭკორის როლის შემსრულებლად



ჯ. პერტენავას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო საკმაოდ რთული როლის დაძლევა, ეყო ნიჭი და ძალა ეჩვენებინა ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი გმირის სახე. განსაკუთრებით კარგი იყო იგი სიცივის მოგონების სცენაში და ფინალში.

საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა სიდუს როლის შემსრულებელმა მსახიობმა გ. ჯავახიამ. დიდი სისადავი და უბრალოებით დაგვიხატა მან ამაყი, მებრძოლი სულის თავადის ასული, რუმელიც ვაჟაკურად იბრძვის მეუღლესთან ერთად ხალხის კეთილდღეობისათვის.

მშვენიერად შეასრულა შ. შარვაძემ გაიძვერა და ინტრიგან სახლთუხუცესის ჩიქოვანის როლი. არც ერთი ზედმეტი ექსტი და მოძრაობა. ყოველი მისი მოქმე-

დება მოფიქრებული და მოზომილი კარგი იყო ლ. ჯალაღონისა სამეგრელოს მთავრის როლში. სასიამოვნო გარეგნობით, სცენაზე თავდაპირით და გულწრფელი თამამით მოხიბლა მაყურებელი.

მოსდენილად წარმოგვიდგინა ნ. მაშავამ შედევას საკმაოდ რთული იერსახე. მან დამაჯერებლად გვიჩვენა გმირის სულეერი გარდატეხა: მკაცრი და ბოროტი ინტრიგანიდან ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ გმირად გადაქცევა.

დინჯი, მოვალეობის გრძობისადმი ერთგული მსაჯულის, ხეცის სახე კარგად დაგვიხატა მსახიობმა შ. ლომიამ.

განსაკუთრებით კარგი იყო სპექტაკლის მხატვრული გაფორმება. ცხაკაიას სახალხო თეატრის დ. ბაქრაძის სახით უდავოდ ნიჭიერი მხატვარი ჰყავს.

## მსახიობის სახლში

19 ნოემბერს სიღნაღში ჩატარდა მევენახის დღე. დიდი ზეიმი ჰქონდათ რაიონის მშრომელებს. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალური საზოგადოების აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა მოაწყო ვასელოთი ღონისძიება ანაგის კულტურის სახლში. აქ თავი მოიყარეს შრომაში გამარჯვებულმა მევენახეებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა.

ამ შერვაზე სიტყვა წარმოსთქვა მსახიობის სახლის საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დიმიტრი მქედლიძემ.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ ჯავიშის სახალხო არტისტმა აკაკუ ვასაძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თამარ ბაქრაძემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა თინა მერკვილაძემ, ევგენია გურაშვილმა და გიორგი კიკნაძემ, მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობმა ეშვარ ჩხენკელმა, სახელმწიფო ფილარმონიის მომღერლებმა მაყვალა და არჩილ ჩიხლაძეებმა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბადრი კობახიძემ.

\* \* \*

სამართმელოს თეატრალური საზოგადოების აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში დაშვებულა კარგი ტრადიცია — თეატრის დღე. 2 და 3 დეკემბერს ჩატარდა სოხუმის თეატრის დღე.

სოხუმის ს. ჭანავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური და ქართული დასების მსახიობებს მიესალმნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სა-

ქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტები დიმიტრი ალექსიძე, მსახიობის სახლის საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი მქედლიძე. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა თეატრის აფხაზური დასის მთავარმა რეჟისორმა, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დიმიტრი კორტავამ.

აფხაზურმა დასმა მაყურებელს უჩვენა ნ. დუმბაძის „ეთერი ბაირაღები“. სპექტაკლი დადგა დ. კორტავამ. სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები რ. აგრა, ი. კაუქუსკერია, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ს. აგუშა, ნ. კანკია, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ა. თანია, ჩ. ჭინია, ს. საქანია, მ. ზუზბა, ა. ერმოლოვი, ვ. მანია, მსახიობები ზ. კოვე, ს. ჩუაზი, ზ. ჭანა, ს. ვაზნია, დ. ავიშა.

ქართულმა დასმა უჩვენა ლომე დე ვეკას „ცეკვის მასწავლებელი“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ბ. ტორიწაძემ, ცეკვები — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. მაქვარიანმა მხატვრულად გააფორმა აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა მხატვარმა ე. კობლაროვამ, მუსიკალურად — აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ბერაკაშვილმა. სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტები თ. ბოლქვაძე, ნ. ყიფიანი, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ნ. წერეთლიანი, ნ. ქაროსანიძე, მსახიობები ნ. წერეთლიანი, ტ. ყენია, ვ. სირაძე, შ. ხუზაშვილი. მთავარი როლები (ფროკოლა, ალდემარო) შეასრულეს ახალგაზრდა მსახიობებმა ლ. მიქაშვიძემ და დ. ჭიანჭა.

# მიხაილ ჯავახიშვილი და 900-ანი წლების ქართული თეატრი

ვლადიმერ ჯიბუშტი

მიხაილ ჯავახიშვილი თეატრის ერთ-გული მეგობარი ვახლდათ, დიდად იყო დაინტერესებული მისი ბედით. სექტაკლის წარმატება უზომოდ ახარებდა, მარცხს კი საოცრად განიცდიდა. პირველი წერილი თეატრზე მან 1903 წელს გამოაქვეყნა გავზე „ცნობის ფურცელში“ (№ 2313). მასში იგი უმთავრესად რეპერტუარს ეხება და მის სიღარიბეს, ერთფეროვნებას გულისტკივილით აღნიშნავს.

— თეატრი თანდათანობით კარგავს მაცურებელს, ეს კი დიდი ეროვნული უბედურებაა — წერდა იგი. — რა არის ამის მიზეზი? პიესების სიძველე. მაცურებელს არ სურს ერთიდაიგივე წარმოდგენის მეთაბჯჯერ ნახვა, მითუმეტეს ისეთი პიესებისა, რომლებიც ისტორიას ცალმხრავად, ცრუდ და ყალბად ხსნიან, ისტორიას, მის განვითარებას და ამა თუ იმ მოვლენას აშენებენ მხოლოდ მიფეკების გულდაღობაზე. იმათ მტკიცე ქრახტიანობაზე, კეთილშობილ გულკეთილ ბაზზე და ყოველთვის ყველაფრის მიზეზი ისინი და მხოლოდ ისინი არიან. ჩვენ მათი გვირგვინებისა და ძვირფასი წამოსასხამის დაბატვა კი არ გვინდა, არამედ სული, კაცის ცოცხალი სული და ვინ იცის ვიპოვით თუ არა ამ სულს ძვირფას წამოსასხამ ქვეშ. ერთი სიტყვით, — განაგრძობს ჯავახიშვილი, — საზოგადოება თხოულობს ახალ ჰაერს, ახალ სიტყვას, ახალ გამაცოცხლებელ აზრებს, ნამდვილ, რეალურ ცხოვრებას, აღამაინებს, რომელნიც სცენაზედ ისე იტანჯებიან, დადიან, ლაპარაკობენ, უყვართ, სძულთ, ტირიან და იციინან, როგორც სცენის გარედ, როგორც თავიანთ სახლში.

1907 წელს ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იქნა პოტაპენკოს ოთხ მოქმედებისანი პიესა „ცოდვის გამოსყიდვა“. მ. ჯავახიშვილი მაშინვე გამოეხმაურა ამ სექტაკლს და საფუძვლიანად განიხილა

იგი. რეცენზენტი წერს: „იმ დროს, როცა ხალხისათვის საჭიროა ეპიკური სურათები დიდებული ბრძოლისა, გამამხივებელი სიტყვა, იმედი და მაგალითები გმირებისა. სიტყვაკაზმული ლიტერატურა ახ დაძველებულ თემებს დასტრიალებს ან უხიჭოდ, უფულოდ და მკრთალად მისდევს კულძი სწრაფის ნაბიჯით მიძვალ ცხოვრებას... საკვირველი უფრო ის არის, რომ რევოლუციას ჩამორჩებილმა ლიტერატურამ საავადმყოფოს შეაფარა თავი. სულით დატაკი, გრძნობით ღარიბი, უფერულხი, დავრდომილნი და ავადმყოფნი — აი ის კანვა, რომელზედაც იქარგება თანამედროვე დრამა და მოთირობა“.

პოტაპენკოც ამავე თემას ეხება. მის ბიესაში ლოთობის გარდა, დახატულია მთელი ოჯახი შთამომავლობით ავადმყოფებისა: ერთი ლოთია, მეორე უზნეო, მესამე ჭკუანაკლები, ყველაზე კი საერთოდ უზნისათონი, უფერულნი და ავადმყოფნი არიან. საზოგადოება კი, — წერს მ. ჯავახიშვილი, — სრულიად სხვა შინაარსის პიესებს მოითხოვს. თეატრმა სამასხურა უნდა გაუწიოს რევოლუციას, მაცურებელი უნდა აანთოს, გამსჭვალოს ახალი იდეებით და განაწყოს დრომოჭმულა წყობის საწინააღმდეგოდ. მ. ჯავახიშვილი იმ პიესებს ანიჭებდა უპირატესობას, რომლებშიც ნაჩვენებია სოციალური ურთიერთობა, ყოფითი სურათები, ცხოვრების წინააღმდეგობათა ყველა მხარე, მოქმედი პირის შინაგანი სამყარო და ფსიქოლოგიური განცდა.

მ. ჯავახიშვილი თეატრის ევროპეზაციას მოითხოვდა. ქართულ სცენაზე, — წერდა იგი, — უშეშველად კაბა-ქულაჯებით, ჩოხებით, ხშალ-ხანჯლებით, თეთრი წულებით, ან კინტორი ტანისამოსით უნდა გამოდიოდნენ. ქართულ პიესებში ყველამ არაჩვეულებრივი, ამაღლებული და ციურნი ენით უნდა ილაპარაკოს, წამდაუწყებ ხმალ-ხანჯალზე გაისვას ხელ. ბიესაში გმირად უშეშველად მეფე ან რი-

მელიმე მხედართმთავარი უნდა იყოს გამოყვანილი. უცხოელთა პიესები (იბსენი, ჰაუპტმანი, ჩეხოვი) კი ისეთივე ენით ლაპარაკობენ, როგორც ცხოვრებაშია, ხმაღბანჯღლებს არ აპირალებენ, არ ყვირიან და გმირებად უმეტეს შემთხვევაში ვიღებულ | და დიდი დროც V ან XII კი არა, უბრალო მომაკვდები — ვაჭრები, მოხელეები, მუშები, გლეხები, მემამულეები, როსკიებიც კი არიან ხოლმე. ერთი სიტყვით, მ. ჯავახიშვილს ქართული თეატრის დემოკრატიზაცია აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა.

მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა რომანის ან მოთხრობის გადაკეთება და გამოკეთება. იგი წერს „სასცენოდ გადაკეთებული „ოთარაანთ ქვრივი“ სუსტი გამოდგა. ეს ძლიერი და მშვენიერი მოთხრობა ვანსვენებულისა სცენაზე გადაიქცა სენტიმენტალურ ფრანგულ მელოდრამად. მოთხრობის მთავარი გმირი — მძლავრი, ტალისავით მაგარი და შეუღრეკელი ოთარაანთ ქვრივი სცენაზე გადაიქცა ყბედ და კაპას დედაკაცად. ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგან მოთხრობაში მისი ხასიათი გამოხატულია მოქმედებით, სცენაზე კი სიტყვებითა და მოკლე რეაქციებით. / სცენების ავტორი ამ ნაკლს ვერ ასცდა და ვერც ასცდებოდა, რადგან ოთარაანთ ქვრივის გადმოკეთება დრამად თითქმის შეუძლებელია. ვისაც მოთხრობა წაკითხული არა აქვს, ის სახტად დარჩება და გაოცდება, თუ ეს მშვენიერი ნაწარმოები დიდებული ნიჭისა გაიცნოს სცენაზე“. დრამატული ნაწარმოებ ან შექმნა დიდად ძნელი რამ არის (ილია), საჭიროა ამ სიძნელის დაძლევა და არა იოლი გზით სიარული.

როდესაც ეს წერილები („ჩვენ და ჩვენი თეატრი“, „ქართული წარმოდგენა“) იბეჭდებოდა, ქართული თეატრი მრავალი მსახიობის სახელით ბრწყინავდა. ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ვ. გუნია, ვ. აბაშიძე, ა. იმედაშვილი, კ. ყიფიანი უკვე სახელმწიფო უკული არტისტები იყვნენ. მ. ჯავახიშვილი დიდად აფასებდა მათ აქტივობას.

ტლანტს, მოხიბლული იყო მათი თამაშით, მანერით, ოსტატობით. მაგრამ ზოგჯერ საყვედურს გამოთქვამდა იმით მართ, ვინც სიფრთხილეს არ იჩინდა როლის არჩევაში.

„ქ-ნ დავითაშვილის ნიჭი, — წერს იგი, — თხოულობს ძლიერ დრამატულსა და უმეტესად გულწრფელად დასურათებულ როლს. ნაძალადევი, ყალბი და ცრუ გრძობით აწერილი ტიპი მისი საქმე არ არის. მარინა („ცოდვის გამოსყიდვა“) კი სწორედ ასეა დაწერილი“. ასე რომ მარინა არ იყო ქ-ნ დავითაშვილის ამბლუა, რის გამო მისმა თამაშმა მაყურებელზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „გენიოსი მსახიობიც კი ვერ შეჰმატებს პიესას იმას, რაც დააკლო მას ავტორმა“. კ. სტანისლავსკის სიტყვებით, რომ ვთქვათ, პიესის იდეის ნაკლს ვერაფრით ვერ დაუარავ, კარგი მსახიობიც კი ვერ მოერევა ხოლმე ცუდ როლს. ნ. დავითაშვილი კი სწორედ კარგი მსახიობების რიცხვს ეკუთვნოდა.

მსახიობის მარცხი, ამბობს მ. ჯავახიშვილი, ზოგჯერ გამოწვეულია რეჟისორის შეცდომით. ვ. გუნია ყოველთვის ოთარ ბეგის („ღალატი“) როლს თამაშობდა, ეხლა კი ეს როლი გამყრელიძეს მისცეს, რომელიც ვერ მოერია. ხოლო ვ. გუნია სულემანის როლში სუსტი აღმოჩნდა. მ. ჯავახიშვილი რეჟისორის ამ შეცდომას ხაზს უსვამს და საჯარო სხმომებში მხენებს აძლევს „ღალატის“ დამდგმელ კოლექტივს. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, ამბობს იგი რეჟისორის მისამართით, რომ წერილმანებისაგან შესდგება არსებითი, „უბრალო, უადგილო და უდროვო ხელის განძრევაც კი ძალიან ხშირად აქარწყლებს ნიუანსსა და შთაბეჭდილებას“.

მ. ჯავახიშვილის თეატრალურ რეცენზიებში ბევრი საყურადღებო აზრია გამოთქმული. ისინი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმდროინდელ თეატრალურ ცხოვრებაზე.

## მოგონებები და უიქრები

აპაპი მასაძე

რუსთაველის თეატრის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე რთული ამოცანა იდგა: შეენახა და განვიითარებია მისი გმირული, რომანტიკული სახე, უკუეგლო დრომოქმედი კორპორაციული კარნაქტილობა, ფართედ გაეღო კარები კრიტიკისა და თვითკრიტიკისათვის და შემოქმედებითი, საქმიანი კავშირი დაემყარებია ქართულ მწერლობასთან, დრამატურგიასთან.

სინამდვილე გვიკარნახებდა, რომ მცირერიცხოვანი ერის ერთ-ერთ წამყვან თეატრს უფლება არ აქვს მხოლოდ თავის გემოვნების დრამატული ნაწარმოებებით შემოიფარგლოს. მან ფსიქოლოგიურ, ყოფა-ცხოვრების ამსახველ დრამატულ ქმნილებებსაც უნდა დაუთმოს გარკვეული ადგილი თავის რეპერტუარში.

ეს ის პერიოდია საბჭოთა ხელოვნებაში და კერძოდ თეატრალურ ფრონტზე, როდესაც რეალიზმის ახალი კრიტერიუმები დამკვიდრდა, როდესაც თეატრისაგან გრძნობათა სიმართლეს, ვნებათა ბრძოლას — დრამატუზმს — მხატვრულ მთლიანობას მოითხოვდნენ.

ეს ის დროა, როდესაც „თეატრალური ოქტომბრის“ მამამთავრად წოდებულ ვსევოლოდ მიეიზხოლდს წინ გაუსწრეს მთელმა რიგმა რეჟისორებმა თავისი დადგმებით — კამერულ თეატრში ვინსენსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“ დაიდვა, ვახტანგოვის თეატრში — ეგორ ბუღიჩივი, რეჟოლუციის თეატრში ნ. პოკოდინის „ჩემი მეგობარი“, სამხატვრო თეატრში — „მკვდარი სულები“ — „პლატონ კრეჩეტი“ და სხვა...

თუ ადრე საბჭოთა პრესა აკრიტიკებდა იმას, ვინც კლასიკოსებს მიმართავდა, ახლა უტყვევდნენ იმათ, ვინც კლასიკოსების უჭკნობ სიღამაზეს ამახინჯებდა. ამ ეტაპზე თეატრალურ ხელოვნებას ერთ-

სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე წერს მოგონებებს. მოგონებების პირველი წიგნის გამოქვეყნება მან უკვე დაიწყო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“. ამ ვებუდავთ მეორე წიგნის ერთ-ერთ თავის ნაწყვეტს. რად.

ერთ ცენტრალურ იდეათ მოვევლინა კლასიკური მემკვიდრეობის ახლებური ათვისებაც.

სხვა დიდ ძვრებსაც რომ თავი დავენებოთ, მოძველებების თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაში ზემოთ დასახელებული მაგალითებიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ახალ ხელმძღვანელობას მკაფიოდ დაენახა თუ რა მძიმე მოვალეობა დააწვა მას მხრებზე.

ახალმა ხელმძღვანელობამ ძლივს მოახერხა, რომ სანდრო ახმეტელის „მოშენების“ დიდი ნაწილი თეატრში დაებრუნებია, სპექტაკლები, რომელთაც დიდი მოწონება ქონდათ მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში თუ ბაქოში, მოქმედ რეპერტუარში დაეტოვებინა, აფიშაზე დამდგმელის გამოუცხადებლათ.

ეს სპექტაკლები იყო: ზორის ლავრენივის „რდევვა“, სანდრო შანშიაშვილის „ახზორი“, ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღები“ და სხვა.

ახალ პიესებიდან ერთხმად იყო მიღებული ალექსანდრე კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“, სერგო კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“ და სანდრო შანშიაშვილის „არსენა“.

„პლატონ კრეჩეტის“ დადგმა სარეჟისორო კოლეჯიამ დაავალა შოთა ახსაბაძეს, მხატვრობა სერგო ქობულაძეს, მუსიკა იონა ტუსკიას. შოთა ახსაბაძის მიერ როლების განაწილება უცვლელად იქმნა დამტკიცებული. ხელმძღვანელობა დაუკავშირდა ალექსანდრე კორნეიჩუკს და სთხოვა ჩამოსულიყო და გასცნობოდა დამდგმელი ჯგუფის სარეჟისორო ჩანაფიქრს და პიესის ზოგიერთი თავისებურებაც განემარტა შემსრულებლებისათვის.

ამ პიესით, ჩვენ ვფიქრობდით, გარკვეული ნაბიჯი გადაგვედგა წინ რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში: შეგვენარჩუნებია სპექტაკლების ეროვნული თავისებურება, გადაგვიყვანა იგი სოციალისტური რეალიზმის ლიანდაგზე, რეალისტურ-გმირულ ოსტატობაზე. ჩვენ არ შეგვაშინა იმან, რომ პიესა დაწერილი

იყო ჩვენი თეატრისთვის უჩვეულო ჟანრში. ფსიქოლოგიური დრამის ჟანრში. ჩვენ ვფიქრობდით, ალექსანდრე კორნეიჩუკმა ეს ჟანრი ახლებურად გამოიყენა რათა სრულყოფილად გადმოეცა საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო მხარეები, დახმარებოდა მსახიობებს ჩასწავლოდნენ ცხოვრების სიღრმესა და დაუფლებოდნენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს. ჩვენ განვიზრახეთ ამ პუნქტით უფრო მნიშვნელოვანა შეინარსი ჩავედო პეროიკულის გაგებაში, რომ იგი კიდევ უფრო მჭიდრო კავშირში ყოფილიყო თანადროულობასთან და რეალიზმთან.

და რა გამამხნეველი იყო, როდესაც საშუალო კორნეიჩუკი ჩვენს რეპეტიციას დაესწრო და თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა — „ეს სპექტაკლი საეტაო აქნება რუსთაველის თეატრში. ხელმძღვანელობასა და რეჟისორ შოთა ახსაბაძეს სწორად გადაუწყვეტიათ პიესის დადგმა. რეჟისორი ცდილობს შექმნას მაღალი-იდეური, მრავალფეროვანი სპექტაკლი. მხატვარმა სერგო ქობულაძემ აქტიორს მოძრაობის ფართო საშუალება მისცა, მშვენივრად არის ორგანიზებული სცენური დაზვის სივრცე. სულსმეხსთველ პაიდიონის ნაცვლად, დიდი პერსპექტივა და პერსონა მოცემული. ხოლო პლატონისა და ბერესტის სახეები, როგორც აქვთ ჩაფიქრებული ორ აკაკის, არა თუ მაკმაყოფილებს მე, როგორც ავტორს, არამედ ღრმად მალეღვებსო“. — თითქმის ამავე სიტყვებით შეაქო მან, ჩვენი ნამუშევარი თბილისის პრესის ფურცლებზე!

მართლაც ჩემს ამხანაგთან, აკაკი ხორავასთან ერთად უდიდეს კმაყოფილებას განვიცდიდი „პლატონ კრეჩეტზე“ მუშაობის დროს. ბოლოს და ბოლოს, მოგვეცა საშუალება წარმოგვედგინა ისეთი ადამიანები თანამედროვე ცხოვრებიდან, რომელთაც ეპოქის საუკეთესო თვისებები ახასიათებდათ.

პლატონის სახეში აკაკი ხორავა თუ ცდილობდა გადმოეცა თავშეკავებული ვაჟკაცის დიდი ადამიანურობა, გამბედავი ნოვატორი და მაღალი-იდეური ერთუ-

ზიასტი, მე ბერესტის სახეში მიზნად დავისახე მეჩვენებია ნამდვილი კომუნისტი და გულისხმიერი ხელმძღვანელი; ამ სახეში მიზნად შემიერთებია დიდი მომთხონელობა და საქმიანობა ადამიანების ხასიათების დიდ ცოდნასთან.

კრეჩეტი და ბერესტი ახალი სახეები იყვნენ თავის შინაარსით ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში. ისინი გვეხმარებოდნენ სცენური სიმართლისაკენ ჩვენი სწრაფვა ქართული ხელოვნების ღრმა ტრადიციებისათვის შეგვებაშია. თან ეს სახეები უნდა გვეჩვენებოდა ყოველდღიურობაში, სინამდვილის გადაკეთებისათვის ბრძოლაში, მრავალმხრივ ადამიანურ ურთიერთობაში, გვეხმარებოდნენ მთელი ჩვენი ყურადღება მიგვეყრო სახეთა არსისადმი, რიტმი და მოქარაობა დაგვემორჩილებოდა სპექტაკლის იდეისათვის, რომელიც მშვენივრად ესმოდა დამდგმელ ჯგუფს შოთა ახსაბაძის მეთაურობით. და ამ მიმართულებით რეჟისორს გაბედულად მიყავდა მთელი ანსამბლი შემსრულებლისა: ლიდა — თამარ ბაქრაძე, კრეჩეტის დედა — ნინო დავითაშვილი, ბუბლიკი — ემანუელ აფხაიძე და სხვები.

განსაკუთრებით მიყვარდა ბერესტის სცენა, როცა თავის ალსარებას კრეჩეტთან დაასრულებდა, წამოვიწყებდი ცნობილ უკრაინულ სიმღერას: რევეტა ი სტოვანე, დნიპრ შიროკი და აკაკი თავის ბარიტონით ამყვებოდა: სერდითი ვიტერ ზავიგაააა“!

იონა ტუსკიამ ამ სპექტაკლის მუსიკა ააწყო უკრაინულ ხალხურ მოტივებზე რითაც მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ნიუანსებს სძაბავდა და ამაზილებდა.

მე მახარებდა ისიც, რომ ამ სპექტაკლში ჩვენ საბჭოთა ხალხის პეროიკული ოპტიმიზმი აფასებო.

შოთა ახსაბაძემ ამ სპექტაკლში, როგორც რეჟისორმა, საბჭოთა ადამიანების სასიხარულო, შეინარსიანი ცხოვრება დიდი მხატვრული დამაჯერებლობით უჩვენა; ფსიქოლოგიურად მართალი სახეები და გამომსახველი, მოხერხებული მიზანსცენები მის საგრძნობ დაოსტატებაზე მიგვითითებდნენ.

# რიხარდ ფოსი, ანუ პისია „პისი ბრალია“?

## ზოთა რემიზვილი

1895 წლის 11 იანვარს თბილისის თეატრში ქართველ მსახიობთა დასმა ლადო მესხიშვილის საბუნეფასოდ წარმოადგინა სამშოქმედებანი დრამა „ვისი ბრალია?“. განმეორებით იგი აიღება მომდევნო წლის 22 მაისს.

ეს სპექტაკლი ყურადსაღებია ბევრი თვალსაზრისით: საინტერესოა როგორც კულტურულ-ისტორიული მოვლენა, მნიშვნელოვანი ეპიზოდი ჩვენი თეატრის, საერთოდ, ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის ისტორიაში. ამ პიესასთან დაკავშირებით გიორგი წერეთელმა დაწერა რეცენზია მაჰკავლის ფსევდონიმით; დაბოლოს, სპექტაკლი საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში თავისი ერთი პირველი როლთაგანი ითამაშა ჩვენმა სასიქადულო რეჟისორმა კოტე მარჯანაშვილმა.

ქვეყნელივე ამას მიუხედავად, პიესა „ვისი ბრალია?“ უყურადღებოდა დატოვებული ლიტერატურისა თეატრის, თუ ჟურნალისტიკის ისტორიკოსების მიერ. მისით არც კოტე მარჯანაშვილზე დაწერილი სქელტანიანი მონოგრაფიების ავტორები დაინტერესებულან. ეკუთვნის ენაქონიკაჟილიდებიან იმისი განცხადებო, რომ „ვისი ბრალია?“ (ზოგჯერ: „ვის არის დამნაშავე?“ — თარგმანის სათაურსაც კი ამხინჩებენ) „ნემენსურიდან“ ვადმოაქართულაო ვასო აბაშიძემ და რომ, თითქოს, ეს ვადმოქართულება მოხდა 1877 წელს.

ყოველივე ამაში დამნაშავე პირადად მთარგმნელი, ვაურკვევებით მიზეზებით მან საპირიოდ არ ჩასთვალა პიესისათვის მიეწერა ავტორის გვარი და ამდენად სცნაური გაეხადა მისა სადაურობა. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ დრამატურგის ვინაჟო არ იხსენება სპექტაკლისადმი მიძღვნილ არც ერთ ინფორმაციასა და რეცენზიაში და არც თვითონ პიესა მოიხსენიება ქართულ სცენაზე დადგმულ გერმანულ პიესათა შორის.

ნამდვილად კი შემდეგი ვითარებაა:

პიესა „ვისი ბრალია?“ ავტორისეული სახელწოდება „დამნაშავეს“ ხოლო ავტორი არაა — რიხარდ ფოსი. ლიტერატურის ისტორიკოსებსა და ცნობარებში დღეს თითქმის აღარაფერსა წერენ ფოსის შესახებ, მაშინ, როდესაც თავის დროზე იგი მეტად ნაყოფიერ და განსვარებულ მწერლად ითვლებოდა. გერმანელი დრამატურგი, ნოველისტი და რომანისტი რიხარდ ფოსი (1851-1918) ბავშვობიდანვე მოგაურბოდა ბევრს, განსაკუთრებით იტალიაში. 1870 წელს

მან მოხალისედ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთ-პრუსიის ომში. კრილობის გამო დემობილიზებული, იენისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში სწავლობდა ფილოსოფიას. 1884 წელს მიიღო ვარტბურგის ბიბლიოთეკარის წოდება. მონაცვლობით ცხოვრობდა გერმანიასა და იტალიაში, რის გამოც მის შემოქმედებაში ფართოდ იჩინა თავი იტალიურმა თემამ. თავისი პიესებისათვის სიუჟეტებს ზოგჯერ იღებდა რუსეთის ცხოვრებიდან, პეტრე პირველის ისტორიიდან („მეფის ზანგა“, 1899) და ნაროდნიკული მოძრაობის ისტორიიდან („მომომგრენა ცირინველი“, 1893).

რიხარდ ფოსის დრამატურგულ შემოქმედებას უდავოდ ვაჩინა ვარკვეული სცენური ღირსებანი, მიმზიდველად დახლართული დრამატული კვანძები და მძაფრი ეფექტური მდგომარეობანი. ასეთი თვისებებით გამოირჩევიან მისი უკვე პირველივე დრამები, აგრეთვე „აღექსანდრა“ (1886); „ვიი დამარცხებულს“ (1888); „ევა“ (1889), „დამნაშავესი“ (1892) და სხვები, რომლებშიც დაყენებულია კლასობრივი საზოგადოებისათვის საპირბოროტო საკითხები, კერძოდ — მკვლელობის, ჩვილთმკვლელობის და თვითმკვლელობის პრობლემები.

თავისუფალი „დამნაშავესი“ რიხარდ ფოსი ავითარებს იმ აზრს, რომ კლასობრივ საზოგადოებაში შექმნილია მკვლელობის ჩადენისათვის ხელის შემწყობი ობიექტური ვითარება. ჩანოვნიკური ინტელექტულების, კერძოდ სასამართლო ორგანოების რუტინა, ძლიერთა ამორალური საქციელი, ბოროტების დღენიადაგი ზეიმი და უდასაშაულოთა დასჯა; ზოგიერთთა შეგნებულა თავნებობა, თუ სხვათათვის დიდი ოჯახური უბედურების მიზეზად იტყვილი უნებელი მკვლელობა — ყოველივე ეს, ავტორის აზრით, ჰქმნის ნიადაგს, რომელშიც ადვილად იდგამს ფესვებს ყველა სახის ბოროტება. თავისთავად უბრალო ადამიანი არაა შინაგანად მანკიერი და დამნაშავე. დანაშაულისაკენ, კერძოდ მკვლელობისაკენ, მას უბიძგებენ ვარეგანი, ობიექტური პირობები. ნერვლის ასეთი ჰუმანური მოსაზრებანი აქტუალურ ზასიასთ ატარებენ არა მხოლოდ გერმანულენოვან სახელმწიფოებში, არამედ მეფის რუსეთსა და მის იმპერიაში შემავალ საქართველოშიც. ცარისტული რეჟიმის მოსამართლეთა და მოხელეთა თაღლითური ხრიკები და ამორალური ოინები კიდევ უფრო პირქუშა ხდება ისედაც კლასობრივი და ეროვნულ

საგვით განაწიებდა უბრალო ადამიანების ყო-  
სის რიხარდ ფოსის პიესა „დამნაშავესა“ სწო-  
რედ ასეთ საკითხებს აყენებდა და სრულიად  
ბუნებრივია, რომ იგი შეიტანეს როგორც რუ-  
სული, ასევე ქართული თეატრის რეპერტუარში.

პიესის შინაარსი ერთი შეხედვით მარტივია.  
მშობე და სულის შემთავფთხებელი სცენებით  
ცვირებებს იგი სასამართლოს ერთი შეცდომას  
საბედისწერო შედეგებს. თომას ლეერს, — ვი-  
ცხეთ პიესაში, — კაცის მკვლელობა დაბარ-  
ლეს. იგი გასასმართლეს და, როგორც მშობე  
დანაშაულის ჩამდენი, კატორღის გაგზავნის.  
სასამართლომ შემდეგ სრულიად შემთხვევი-  
აღმოჩინა თავისი შეცდომა; გამოირკვა, რომ  
ბოროტმოქმედი ყოფილა სხვა და არა თომას  
ლეერი. შეცდომა იმდენად ღივი და საბედის-  
წერო იყო, რომ თვით უსულგულო მოსამართ-  
ლეს კი იტანჯება სინდისის ქენჯნით. უდანაშაუ-  
ლოდ დასჯილი თომას ლეერი კატორღიდან  
მთელი ოცნა წლის შემდეგ განათავისუფლეს.  
სამშობლოში დაბრუნებული და ნაადრევად  
ღრმად მოხუცებული, იგი ერთ ყვავახანაშა შეხ-  
ვედობა თავის ცოლს — მართას და შვილს —  
კარლს. სულიერად განადგურებული და ნივ-  
თურად ხელმოკლე ცოლი უკვე გასრესილია  
უღმობელი ცხოვრების მიერ. ყვავახანის მფლო-  
ბელობა აღმოუკრამბა მას დიდი ხანია ახად  
ნაშუსი. თომას ლეერი სწორედ იმ დროს შეხვ-  
დება ცოლ-შვილს, როცა კრემერი კიდევ ახალ  
შეურაცხყოფას აყენებს მის მეუღლეს. ამ ახალ  
დამცირებას კი თომას ლეერი ვეღარ მოითმენს,  
რის გამოც ნაჯახის დარტყმით შკლავს თავისი  
ოჯახის პატიოსნების შემბადავს.

რეცენზიებითა და ინფორმაციებით სექ-  
ტაკლს უმად გამოეხმაურა ქართული და რუ-  
სული პრესა „ივერიის“ რეცენზენტი ილია  
ზურაბიშვილი, მაგალითად „ინჟინის“ ფსევდო-  
ნიმით, დადებითად აფასებდა თვით პიესას.  
„იხი ბრალია?“, მისი აზრით, იმ დრამატულ  
ნაწარმოებათაგანია, რომელიც კაცს ათასწაირ  
ჭრს უჩენს, ღრმად აფიქრებს მასში აღძრუ-  
ლია საპირობორტო საგანი მართლმსაჯულების  
შეცდომის შესახებ; ნათლად და მოხერხებით  
არის დახატული ის გარემოება, თუ შეცდომით  
დადგენილ სასამართლო განაჩენს რა ზომამდის  
შეუძლიან გააუბედუროს უდანაშაულო კაცი და  
სულით ხორცამდე დაღუპოს მისი ოჯახობა.  
„ივერიის“ რეცენზენტს მოსწონს პიესაში ცო-  
ცხლად დახატული ხასიათები და ვითარებათა  
მოქმედებით გადმოცემის ავტორისეული ხერხი.  
ყოველი მოქმედი პირი, აღნიშნავს იგი, ისე  
ცოცხლად ჰყავს ავტორს დახატული, რომ მა-  
ყურებელს ჰგონია, — ვხედავ ნამდვილს და  
არა სცენაზედ ხელოვნებით გათვალისწინებულ  
ცხოვრებასო. რეცენზენტს მოსწონს აგრეთვე  
პიესის მოქმედების ლოგიკური განვითარება და

ერთმანეთთან ცალკეული სცენების მტკიცე  
მიზეზშედგომობივი ჯაჭვი.

„ერთი სცენა, — აღნიშნავს იგი, — მეო-  
რეს ზედღისედ მწყობრად მისდევს და შეუწყ-  
ვეტელი კავშირი აქვთ ერთმანეთში. ასხმულია  
პიესა ხელოვნურად, არსად ხინჯი არ შეგხვდუ-  
ნათ, არც ერთი მოქმედი პირი მეტი არ არის.  
ბევრი სცენაა ამ დრამაში სრულის დრამატიზ-  
მით სავსე. ამასთანავე მოქმედნი პირნი უფრო  
მოქმედობენ, ვიდრე დაპარაკობენ და ერთი  
უმთავრესი ღირსება ამ პიესისა სწორედ ეს  
არის. თვით უმთავრესი მოქმედს — დრამის  
სულის ჩამდგმელს — თომას ლეერს სულ ცო-  
ტა აქვს სალაპარაკო, მაგრამ სამაგიეროდ იგი  
ისეთი გარემოებებით არის მოწყობილი, რომ  
მაყურებელი უსიტყვოდაც ჰგრძნობს იმის ტან-  
ჯვა-ვაებას, თითქმის წინადვე იცნის, რა უნდა  
სთქვას ამ უდანაშაულოდ დასჯილი კაცმა“<sup>1</sup>.

პიესაში მოთხრობილ ფაქტზე ლაპარაკობს  
აგრეთვე „კვალის“ რეცენზენტი გიორგი წე-  
რეთელი. „ეს შემთხვევა, — აღნიშნავს იგი, —  
ნამდვილი ცხოვრებიდან არის აღებული და  
საკვირველ ხელოვნურად არის ტრადიციული  
მომენტები ერთი მეორეზე დაკავშირებული“<sup>2</sup>.

ერთგვარად გამსხვავებული შეხედულებისა  
გაზეთ „ნოვოე ობოზრენისი“ თანამშრომელი.  
მისი აზრით, პიესა მხოლოდ კრიმინალურ  
სარჩულზე აგებული შაბლონური დრამაა<sup>3</sup>.

მაგრამ პრესამ ერთხმად მოიწონა სექტაკლას  
მხატვრული გაფორმება და მსახიობების თა-  
მაში. „კვალის“ აღიარებდა, რომ ასეთი წარმო-  
დგენა ყოველ ევროპულ სცენას დაამსვენებდა.  
ხოლო „იტალიისკი ლისტოკი“ წერდა: „სამარ-  
თლიანობა მოითხოვს აღნიშნოს: პიესის ყველა  
მონაწილემ თავისი როლი უმწიკვლოდ გაითა-  
მაშა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სურ-  
ვილით, გულმოდგინებითა და პასუხისმგებლო-  
ბით მათ შეუღლიათ ყოველგვარი როლის და-  
ღევა“<sup>4</sup>.

თომას ლეერის როლს თამაშობდა ლადო მეს-  
ხიშვილი. რეცენზენტებმა იგი მოიხსენიეს ქე-  
ბა-ღიდებით; როგორც მოსალოდნელი იყო,  
წერდა „ივერიის“ რეცენზენტი მოხერხებულ  
ღირსეულად გაუძღვა თავის როლს და, თუმცა  
ხმა ნებას არ აძლევდა, მაგრამ მაინც სრულის  
სავსებით დაგვანახვა თომას ლეერის ტანჯული  
არსება. განსაკუთრებით კარგი ყოფილა ღ. მეს-  
ხიშვილი პირველი მოქმედების შუა ადგილას,  
როდესაც იგი, წარსულის მოგონებით აღელვე-  
ბული, ოთახში შეჰყავდათ. „წაიშალოს, წაიშა-  
ლოსო“, ამბობდა უბედური თავისი საპატიმრო;

1 „ივერია“, 1895, № 9, გვ. 3.  
2 „კვალი“, 1895, № 4, გვ. 8-9.  
3 „ნოვოე ობოზრენი“, 1895, № 3793, გვ. 3.  
4 „ტაულისკი ლისტოკი“, 1895, № 10, გვ. 2.



სენჯის ნომრის შესახებ და ამ სიტყვებში თურ-  
მე ინატროდა ვაება ცოცხლად დამარხული  
ადამიანი, რომელსაც სახელი ჰქონდა წართმე-  
ული და იყო ქვეული უსულო ნომრად.<sup>1</sup>

„ტიფლისკი ლისტოკი“ ფურცლებზე აღ-  
ნიშნული იყო, რომ ლ. მესხიშვილმა რაღაც  
გაითამაშა დიდი არტისტობით, რითაც მაყურებ-  
ებელზე მოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება; მსა-  
ხიობის ყოველ გამოსვლას თან ახლდაო მქუზარყ  
ოვაჯიები<sup>2</sup>.

აღიღწე კრამერის როლში კარგი ყოფილა  
კანდელოკი. მაყურებელს მან თურმე თვალ-ნა-  
რად დაუხატა კრამერის შვლახული ბუნება, იგი  
ოსტატობით იცვლიდა ლაპარაკის კილოს იმის-  
და მიხედვით, თუ ვის ელაპარაკებოდა. ზოგთან  
იყო თავაზიანი; სხვებს კი ელაპარაკებოდა მკვა-  
ხედ და უხეშად.

ახალგაზრდა იულიას როლში კარგი ყოფილა  
მ. საფაროვისა. იმის თამაშობას, მართალია,  
მხიარულება შეჰქონდა საზოგადოებაში, მაგრამ,  
ამასთანავე, კიდევ აწუხებდა იმით, რომ ეს  
„მშვენიერი ქმნილება დღე-ღღეზედ წნეობით  
უნდა დაცემულიყო“<sup>3</sup>.

მსახიობთა ოსტატობაზე გიორგი წერეთელი  
ლაპარაკობდა „კვალის“ ფურცლებზე. მან არ  
ოთავა კერძოდ თითოეული მსახიობის თამაშის  
დახასიათება, რადგანაც, მისი აზრით, ყველა  
მათგანი ცალ-ცალკე „ისინდისიანათ, ხელოვნ-  
ურათ და ნიჭიერათ ასრულებდა თავის როლს“.  
მაგრამ იგი ზაინც გამოყოფს ერთ აქტიორს და  
ლაპარაკობს სრულიად „ახალი ნიჭის შემატე-  
ბაზე“<sup>4</sup>. იგი სავანგებოდ არჩევს კოტე მარჯანი-  
შვილის თამაშს. აღნიშნავს, რომ მას „მაყუ-  
რებლათ... ეტყობა დრამატული ნიჭი. ამას ამ-  
ტიციებდა მისი უცებები გადასვლა-გადმოსვლა  
ორს სხვადასხვა ერთი მეორის წინააღმდეგობა  
სულისკვეთების მომენტებში. ამ ერთ წამს  
რომ ის იყო კატასავით მძლურულად და ზო-  
სიყვარულად, უცერათ მასში იფეთქებდა აფთრის  
გულისქამები“. შემდეგ რეცენზენტი საკიროდ  
მოიჩინებს შეახსენოს ახალგაზრდა მსახიობს, რომ  
საბოლოო „დამწიფებისათვის“ მეტი ვარჯიში და  
მეტო თვითმოქმედება სჭირდება წყრობედ ქლიე-  
რი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს. ამ ვაფრო-  
ზობლებას რეცენზენტი მით უფრო საკიროდ  
მიიჩინებს, რომ მსახიობისათვის მას შეუნიშნავს  
როლის მოუმზადებლობა და მეტყველებს  
დაუხვეწიაობა<sup>5</sup>.

კ. მარჯანიშვილის თამაშთან დაკავშირებით

1 „ვერიკა“, 1895, №9, გვ. 3.  
2 „ტიფლისკი ლისტოკი“, 1895, № 10, გვ. 2.  
3 „ვერიკა“, 1895, № 9.  
4 „კვალი“, 1895, № 4.  
5 „ტიფლისკი ლისტოკი“, 1895, № 10, გვ. 2.

კმაყოფილებას გამოსთქვამდა აგრეთვე ნაყოფ-  
რისი“ კორესპონდენტი. „პირველსავე შეხვედ-  
რაზედ, წერდა იგი, კაცი მიხვდება, რომ ამ  
არტიისტს უღვივის ის ნაპერწკალი ნიჭისა, რა-  
მელსაც ვერავითარი ცოდნა ვერ შეგძენთ, თუ  
იგი თითონ თვითვე არ მოეპოვება“. მხოლოდ  
ამ ნაპერწკალს გაღვივება აკლიაო და ეს კი  
მოაქვს ღრღას და გამოცდილებას.

კ. მარჯანიშვილმა კარლ ლეერის საკმაო  
რთული როლი, წერდა „ტიფლისკი ლისტოკის“  
მიმომხიდელო, წარჩინებით გაითამაშაო და  
იქვე გამოსთქვამდა იმედს, თუ მსახიობი ყუ-  
რადლებას მოაქცევს და იმუშავებს საკუთარ  
თავზე, მაშინ მისგან დადგება კარგი მსახიობი,  
რაც ეგოდენ სჭირდებაო ქართულ თეატრს.

ჩვენ ვერ დავადგინეთ, სად იხანება რიხარდ  
ფოსის პიესის ქართული თარგმანი და ანდუ-  
ხად, ვერც ის ვავარკვიეთ, როგორი რიტორა-  
ტურული ლირებულება გააჩნია მას; რამდენად  
შესძლო ვასო აბაშიძემ ორიგინალისათვის ნი-  
შანდობლივი მაღალოსტატური დიალოგების  
თარგმნა; სხარტ, ხატოვანი და, არაიშვიათად,  
ფიცი ურგონული მეტყველების გადმოცემა.  
მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ  
ცხადია: მტკიცეული სოციოლოგიური პრე-  
ლიმებით დატვირთულმა ფოსის პიესამ უდა-  
ვოდ ითამაშა გარკვეული როლი ქართული  
თეატრის ისტორიაში.

ამიერიდან უკვე დადგენილად უნდა ჩაითვა-  
ლოს შემდეგი:

ქართული თეატრის ისტორიაში ცნობილი  
პიესა „ვეის ბარლია?“ (და არა „ვიან არის  
დამნაშავე“) რამდენიღა გერმანულიადა და  
მას ნამდვილად ეწოდება „დამნაშავეა“ პიესის  
ავტორია დღეს უკვე მივიწყებული გერმანელი  
დრამატურგი და პროზაიკოსი რიხარდ ფოსი  
(1851-1918), გიორგი წერეთლის რეცენზიაში  
გარჩეული „ნემენცურიდან“ თარგმნილი პე-  
სა სწორედ რიხარდ ფოსის გასცენიურებულ  
„დამნაშავეა“ კოტე მარჯანიშვილმა ახალგაზრ-  
დობაში განსახიერა კარლ ლეერის როლი რი-  
ხარდ ფოსის პიესაში — „დამნაშავეა“.

ცნობა იმის შესახებ, თითქოს ფოსის პიესა  
ვასო აბაშიძემ თარგმნა 1877 წელს, უსაფუძვ-  
ლოა. „დამნაშავეა“ დაიწერა 1892 წელს  
(ედუარდ ენგელის ცნობით — 1890 წ.). რუსულ  
ენაზე არბენინმა თარგმნა 1893 წელს (დასად-  
გმელად ნება დაეროო 25 მარტს) და მისი ქარ-  
თული ვარიანტიც უნდა გაკეთებულიყო დაახ-  
ლოებით იმავე ხანებში, ე. ი. არა უადრეს  
1893 წლის მარტისა და არა უგვიანეს 1894  
წლის დეკემბრისა. მომდევნო წლის 11 იანვარს  
კი, როგორც აღინიშნა, იგი უკვე გასცენირებუ-  
ლი იხილა ქართველმა მაყურებელმა.



# რუსთავის თეატრის გასტროლები უნგრეთში

რუმორც ცნობილია, ოქტომბერში რუსთავს თეატრი უნგრეთს ეწვია, საგასტროლო რეპერტუარში იყო უნგრული ლიტერატურის კლასიკოსის იოჟეფ კაოლანს „ბანკ-ბანი“, პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“ და ვ. კოროსტილვის „ასი წლის შემდეგ“. აღსანიშნავია, რომ უნგრული პიესის დადგმა რუსთავის თეატრში თვით უნგრელმა რეჟისორმა განახორციელა, რითაც სათვე დაედო უნგრულ და ქართულ თეატრალურ ურთიერთობას. რუსთაველთა გასტროლები უნგრეთში კი ამ მიგობრობისა და ურთიერთობის ერთი ნათელი ფურცელი იყო. როგორც დეჟუშათა სააგენტოები და საკავშირო პრესა აღნიშნავდა, რუსთაველთა სპექტაკლებს უნგრელებმა მაღალი შეფასება მისცეს. ჩვენ ვინაშე ვასტროლების მონაწილეებს თავად მოეთხოროთ განცდილსა და ნანახსუ.

## გიბა ლორთქიფანიძე

ბასტროლებმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში შემოქმედებითი სიხარული მომიტანა. მაგონდება ჩვენი პირველი გამოცემა მოსკოვში. მაშინ ძალიან ვღელავდი, მაგრამ ამჟამინდელი გასტროლების ღელვა სხვა ბუნებისა იყო. ამჟამად სასწორზე არა მარტო ჩვენ, რუსთავის თეატრი, არამედ მთელი ქართული თეატრალური კულტურა უნდა შემდგარიყო. ჩვენს თეატრს კი, მისი პროპაგანდისტის მისია ეყისრებოდა. ეს იოლი საქმე როდია. ახლა, როცა ეს გასტროლები თეატრის ისტორიაა, უფრო ვიგრძნობ მთელი თუ პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ გვეყისრებოდა და მე იმ ომგადახდლის გრძნობა მიუფლდება, რომელიც შინ მშვიდობით დაბრუნდა, მასში პატრიოტული აღტკინება ჩაქრა, ჩვეულებრივი ადამიანის თვალთ შენდება მომხდარს და გაცივდა. ჩემს ნათქვამს პარადაპირ ნუ გაიგებთ — სრულიადაც არ მიპაჩნია, რომ ქართული თეატრალური კულტურა, გნებავთ ტრადიციების მიხედვით, გნებავთ თანადროულობით, თუნდაც იოტისოდენად ჩამოყვარდება რომელიმე ქვეყნის თეატრალურ კულტურას, მაგრამ ჩვენ პირველი წარმომადგენლები ვიყავით უნგრეთში და ქართული თეატრალური კულტურის წინაშე ვალდებული ვგრძნობდით თავს. სწორედ ეს იყო ჩვენი ღელვის მიზეზი. ჩემის აზრით, ვალდებულნი ვაგრძნობდით. ჩვენი უნგრეთში მოგზაურობის გამოქაზილი, რომელიც უნგრეთის თეატრალურ წრეებსა და მაყურებელში გვქონდა, ჩემი ღრმა რწმენით, გახდებდა მომავალში ჩვენი და უნგრელი ხალხების კულტურის კიდევ უფრო მეტი დაახლოების საწინდარი.

## ბაბაქი ვასაძე

მართლში თეატრის შემოქმედების გატანა საზღვარგარეთ ჩემი თაობის ოცნება იყო. მე

წილად მხვდა ბედნიერება რუსთავის თეატრის კოლექტივთან ერთად ჩვენი ეროვნული ხელოვნება გავგეტანა საზღვარგარეთ. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. მაყურებელი იმდენად გულისხმიერი აღმოჩნდა ბუდაპეშტა და დებრეცენში, ისეთი ყურადღებით ადევნებდა თვალს სპექტაკლის მსვლელობას, რომ ჩვეულება დაარღვიეს და ტაშს გვიკრავდნენ სპექტაკლის მსვლელობის დროს. ხოლო სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, როგორც მათ სჩვევათ, ათი, ოცი წუთი გვიკრავდნენ ტაშს.

სპექტაკლმა „ბანკ ბანი“ მოხიბლა უნგრელი მაყურებელი, რადგან ჩვენ არ ვცდილობდით გარეუწილი ეფექტების ხარჯზე მოგვხებინა ზეგავლენა მაყურებელზე. ამ შეხამებულობა მხატვრულმა ანსამბლმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა დღევანდელ ბუდაპეშტელ და დებრეცენელ მაყურებელზე. ალბათ, ეს იყო მიზეზი, იმ გაუთავებელი აღტკინების, რომლითაც უნგრელი მაყურებელი გავვიმასხინებდა. ასეთივე წარმატება ხვდა პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალს“ და ვ. კოროსტილვის „ასი წლის შემდეგ“. მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როგორც ქართული სცენის ძველი მოღვაწე, რომელიც ბევრჯერ წარმდგარვარ უცხო მაყურებლის წინაშე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, ბაქოში, რომ თუ ეროვნული სახე ან ნაწარმოები ადამიანური სიმართლით არის გახსნილი და მისი ნამდვილი ფორმა ნაპოვია, უცხო ენაზე დადგმული სპექტაკლა მშობლიურ სპექტაკლად აღიქმება. ამიტომ მე არაჩვეულებრივად ვგრძნობდი თავს ჩემს როლში, პეტურ ბანში და ერთი წუთითაც უხერხულობა არ მიგრძენია ენობრივი ბარიერის გამო. მე ვგრძნობდი, რომ ყოველი ჩემი უხერხე, საქციელი, დადიოდა უნგრელ მაყურებელამდე. მათგანაც საინტერესო რეაქციას ვღებულობდი, რაც შემოქმედებით სიხარულს მანიჭებდა.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მაღალკვალიფიციურ თეატრალურ მაყურებელთან გვექონდა საქმე, როგორც ბუდაპეშტში, ასევე დებრეცენში. აღუწყარია ჩემთვის პირველი გასვლა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩემს საყვარელ კოლექტივთან ერთად.

## ოთარ მელვინეთუხუცავი

სამტარო წარმატება მქონდა „ბანკ ბანს“. არ დარჩენილა გაზეთი, რომელსაც ამ სპექტაკლზე აღფრთოვანებული რეცენზია არ დაებეჭდოს, სპექტაკლების მსვლელობის დროს და დასასრულს გაუთავებელ ოვაციებს გვიმართავდნენ. ქუჩაში გვცნობდნენ და ერთმანეთს უთითებდნენ ჩვენზე. აქეთ გამოგზავრებისას ორ მეტრიანმა გოლიათმა, საბაქოს მოხელემ ჩემზე მიუ-



თითა — ეგ ჩვენს ბანკ ბანიაო. სიცილი ავციტყ-  
და, ვიცოდა, რომ ეს ნაწარმოები ეროვნული  
სიყვარულის საგანია.

სპეციალისტებმა დიდი შეფასება მისცეს სპექ-  
ტაკლებს „ასი წლის შემდეგ“ და „კახაბერის  
ხმალი“.

როგორც „ასი წლის შემდეგ“, ისე „კახაბე-  
რის ხმალი“ დიდი ხნის წინათ დადგმული  
სპექტაკლებია და იყო საშიშროება, რომ შუა  
ევროპაში, სადაც ყველაფერი საუკეთესო ჩააქვთ  
მსოფლიოს ქვეყნიებიდან, ერთი თენინათ გამო-  
სხვეული საშუალებების მეტოვარ სიძველეზე,  
მაგრამ ჩემთვის მოულოდნელად და სასიხარუ-  
ლოდ არც პრესაში და არც პირად საუბარში  
ამის შესახებ არაფერი თქმულა. უმთავრესი,  
რითაც უნგრელები მოიხიბლნენ, იყო ის, რომ  
თეატრს ჰყავს ნიჭიერი დასი. უნგრელებმა  
განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ქართვე-  
ლი აქტიორის ეროვნულ ტემპერამენტს, აღნიშ-  
ნავენ, რომ ეს ტემპერამენტი დიდ სიპართ-  
ლეზე ნაშენი და აჭრიდან მოდის.

უნგრეთის ცენტრალური გაზეთი „ბანკ ბანი-  
სადმი“ მიძღვნილ რეცენზიას ასე ამთავრებდა:  
რუსთავს თეატრმა გავავსებენ ერთი ქვეშარი-  
ტება, რომ თეატრში მთავარი მსახიობია. რაც  
შეეხება ჩვენს რევისურას: გიგა ლორთქიფანი-  
ძესთან უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება უნგ-  
რეთში მიწვევაზე. დარწმუნებული ვარ ყველაფ-  
რის გათვალისწინებით, რა დასკვნებაც ამ გასტ-  
როლების შემდეგ გამოვიტანეთ (რეპერტუარის  
ვგაულისწმობთ), მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანა-  
ში შეიძლება გამაზავრება ისე, რომ არ შეარ-  
ცხვინო შენი ქვეყანა.

### თენგიზ მაისურაძე

პიღევე ერთხელ დავრწმუნდი, რომ კომიკური  
ისევე როგორც ტრაგიკული, ისეთი თეატრა-  
ლური განცდაა, რომელსაც არცერთ ენაზე  
თარგმნა არ სჭირდება. იგი ისედაც ყველასათ-  
ვის გასაგებია. დაიწყო თუ არა „კახაბერის  
ხმალი“ მეორე მოქმედება, გამოვიცი თუ არა  
სცენაზე, ჩემი პირველივე რეპლიკის შემდეგ  
დარბაზის კონტაქტი ვიკრძენი. ამან გამაშხნევა  
და მთელი მოქმედება მაჯალ რიტმში და იმპ-  
როვიზაციულ მანერაში ჩავატარე. ბახტანგ ხანს,  
აგრ უკვე მერვე წელია ვანსახიერებ. მიუხე-  
დავად ამისა, ყველა სპექტაკლში ცვდილობ  
ვიპოვნო რაიმე ახალი. ამ მხრივ არც ბუღა-  
პეშტა და დებრეტცენში ნათამაშევი სპექტაკლი  
წარმოადგენდა გამონაკლისს. გარდა ამისა, ცვდი-  
ლობდა მეგრძობებია უნგრელი მსაუბრეობის-  
თვის, რომ ამ სახეს ჩვეულებრივი ვარდსახავის  
მეთოდით კი არ ვთამაშობ, არამედ გარკვეული  
დისტანციით მის მიმართ. ეს საქმიად ეფექტუ-  
რი იყო და აქაც ყოველთვის ვგრძნობდი მა-  
ყურებლის რეაქციას. ცხადია, ამან შემოქმედე-

ბითი სიხარული მომიტანა. რაც შეეხება  
ბრეტენში ჩემს მიერ ბახტანგ-ხანის  
რეზას, უნდა ვთქვა, რომ თავს ისე ვგრძნობდი,  
თითქოს შინ ვთამაშობდი.

### ლიკო ასთაძე

მოგახსენებთ — მხოლოდ ერთ სპექტაკლში  
„კახაბერის ხმალი“ ვმონაწილეობდი. ლიპარი-  
ტე კაკოტა, რომელსაც „კახაბერის ხმალი“  
ვანსახიერებ, ალბათ, ხასიათის სირთულეთ,  
სიღრმითა და მრავალფეროვნებით, არა მარტო  
ქართულ, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ დრ-  
მატურგიაში შექმნილ მსგავს სახეებს გაუწიეს  
მეტოქეობას. ამიტომ არ ვიცოდი რა ბედი  
ენერდა ჩემს ლიპარიტეს. სპექტაკლის მსვლე-  
ლობის დროს შევეცადე მაქსიმალურად გავი-  
მეკეთა როლის პლასტიკური ნახაზი, წინ  
პლანზე წამომეწეა გარეგნული თუ შინაგანი გა-  
მოსახველობა, მაგრამ ეს როლი იმდენად მიუ-  
ვარს, რომ რამდენიმე ადგილას მაყურებელი  
დამავიწყდა და ჩემი გულის კარნახს გავყევი.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, ერთ-ერთმა უნგ-  
რელმა კრიტიკოსმა შემქო და მიიხრა — ალბათ,  
ამ როლას უტეთსად თამაში შეუძლებელიაო  
მე ბოდიში მოვხადე მის წინაშე და ვუთხარი,  
რომ ყველა დიდებულ როლს მხოლოდ დაბადე-  
ბა და დასაწყისი აქვს თეატრში, მერე კი უსა-  
რულოა, ლიპარიტეც ასეა მეთქი. მან გაიცინა და  
მიიხრა: ბუნებამ პასუხსა დამაფიქრა და ამ ნა-  
წარმოებს შეუძლებლად კიდეც უფრო ახლის  
გავეცნობო.

### თამარ სსირტლაძე

მიუხედავად იმისა, რომ ჰერტრუდას როლს  
„ბანკ-ბანში“ აგრ უკვე სამი წელია ვთამაშობ,  
მინც ცნობისმოყვარეობა მიპყრობდა — მან-  
ტერესებდა როგორ აღიქვამდა მას უნგრელი მა-  
ყურებელი. სპექტაკლის მსვლელობის დროს  
როგორც ბუღაპეშტში, ასევე დებრეტცენში,  
მღელვარება უკვალოდ გამიქრა, რადგან ვიგრ-  
ძენი, მაყურებელი უადრესი ყურადღებით  
უყურებდა სპექტაკლს და მთლიანად დაივიწყ-  
და. ძალზე თბილად, სიყვარულით მიგვიღო  
უნგრელმა მაყურებელმა. ჰერტრუდას როლის  
შესრულების გამო მრავალი მილოცვადა. მე-  
სიამოვნა პრესაში ჰერტრუდას მისამართით გა-  
მოთქმული ქებანი, მაგრამ ყველა მილოცვაზე,  
პრესაში გამოთქმულ დაღებით შეფასებზე  
ჭვირვასია იმის შევნება, რომ შენ მაყურებელი  
მოგყვება და შენთან ერთად განიცდის შენი  
გმირის ცხოვრებას.

ძალიან მომეწონა ქალაქი ბუღაპეშტი. მის  
ცხოვრებაში თეატრს დიდი ადგილი უკავია.  
მიუხედავად იმისა, რომ იგი მუსიკალური თეატ-  
რის საშობლოდ ითვლება, მიმანია, რომ არა-  
ნაკლები სიყვარულითაა გარემოცული დრამატუ-  
ლი თეატრიც. არ შემოძლია არ აღვნიშნო მა-



ყურებელთა მაღალი კულტურა, თავდაპირველ-  
ბა, ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენი თეატრის  
წარმატებაში ჩემი წვლილიც შევიტანე.

**გივი ბერიკაშვილი**

ბასტრუშაში მსახიობთვის ძალზე დიდი მოვლენაა. შენი თავი უცხო თვალს მოაწონო ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე იმით, ვინაც კარ-  
გა ხანია გიცნობს და საშუალება ჰქონდა აახს-  
ჯერ დაგვირველობდა და შეესწავლე. მხოლოდ ერთ სპექტაკლში „კახაბერის ხმალი“ ვმონაწი-  
ლეობდი, მაგრამ საქმიანად პასუხსაგები რომი  
ქმონდა დაკისრებული. გოსტაშაბი პიესის ერთ-  
ერთი ცენტრალური ფიგურაა. ველეკადი, მაგ-  
რამ მონდომება არ დამიკადა, რათა მაყურებ-  
ლისათვის მომწიფონება ჩემი ვიძირა. ამ სპექ-  
ტაკლში მე გამოხატვის წარმოვადგინე იმ თვალ-  
საზრისით, რომ სხვა მონაწილეებს უკვე დიდი ხნის „სტაჟი“ აქვთ, მე კი გოსტაშაბი ახლახანს ვითამაშე. მაგონია, რომ ბუდაპეშტა და დებრე-  
ცში ჩემს მიერ განსახიერებული გოსტაშაბი უკვე მომწიფებული იყო ჩემთვის. ვცდილობდა მრავალწახანგოვანი პერსონაჟის რეალისტურად დახატვას. შევეცადე შემეძქმნა კონტრასტი შევიდ, მეოცნებე, მოლაყებ და შემდგომში მებრძოდ გოსტაშაბს შორის, რასაც თუ არ ვცდები, მავალწე კიდეც. ლირიულ სცენებში. სადაც გოსტაშაბი ოცნებობს ან გულქანას სი-  
ყვარულს უმტკიცებს, ვიგრძენი რომ დარბაზს სულგანდებული მისმენდა და ჩემთან ერთად განიცდიდა გმირის ტკივლებს. ხოლო კომიკურ სცენებში კი გულწრფელად იცინოდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ უნგრელების სახით ნამდვილად კარგი მაყურებელი გვეყავდა.

**ნათიელ მუხუღიანი**

უდიდესი მღელვარებით ველოდი ნ ოქტომ-  
ბერს, დღეს, როდესაც მეღინდა უნდა მეთამაშ-  
ნა ბუდაპეშტში. ამ როლს თავისებური ტრადი-  
ცია აქვს უნგრეთში. მას ყოველთვის თეატრის წამყვანი მსახიობები თამაშობენ. შევძლებდი თუ არა იმ იმედებს გამართლებას, რაც უნგრელმა კრიტიკოსებმა სამწლიანხვედრის წინათ, სპექტა-  
კლის პრემიერის შემდეგ გამოთქვეს რუსთაველი! მაგრამ უნგრეთში ყველაფერმა მოლოდინს გადააჭარბა. სპექტაკლის შემდეგ არ წყდებოდა მოლოცვები. აი პირველი რეცენზია: „გაგვაო-  
ცა შესანიშნავმა ახალგაზრდა ლამაზმა მსახიობ-  
მა, რომელიც უდიდესი გულწრფელობით თამა-  
შობს მეღინდას“ („საკვირაო ცნობარი“).

მეორე სპექტაკლი ქალაქ დებრეცენში ვითა-  
მაშეთ. სპექტაკლის შემდეგ მსახიობის კლუბში თეატრის მუშაკებმა შეხვედრა მოვიწყვეს. ერთ დარბაზში სტუმრები და თეატრის ხელმძღვანე-  
ლები ვიჯექით. მეორეში მასპინძლები. ადრე წახვალა გადავწყვიტე. როდესაც პალატოს ასადე-  
ბდა ვაგედი, მასპინძლების ოთახში ვილაცამ დაიძახა ბრავო მეღინდას, დარბაზი ტაშს უკრავ-

და. გოგნებუმი ვიდექი და მადლობას ვუხდი-  
დი იმ ხალხს, რომელმაც ასე დააფასა ჩემი  
პატარა წვლილი ამ საერთო, დიდ გამარჯვებაში.

**მირაზ ბაგია:**

რუსთაშინის თეატრს საგანგებო მოვალეო-  
ბისას პირველად ვახლდი. გასტროლებისათვის  
თვალყურის დევნება, ჩემს სასიამოვნო მოვა-  
ლეობას წარმოადგენდა. უნდა შემესწავლა,  
უნგრელი მაყურებელი, გაცნობილი მათი თეატ-  
რალური კულტურის დონე. მათს დრამატურ-  
გაის.

ბუდაპეშტელი მაყურებელი მეტად თავისე-  
ბურია, იგი ინდივიდუალისტია და უკიდურესად  
თვალყურილი. როცა რაიმე განცდა ელფლებდა,  
ცდილობს დაფაროს იგი, რათა სხვის ხელი არ  
შეუშალოს. მაყურებელი იშვიათად ნებთანდ-  
ბა, ხოლო თუ გაერთიანდა, ამას აუცილებლად  
ტაშით აღნიშნავს. მისთვის თავდაუწყება იშ-  
ვითი გამოწყობისა და შესაძლოა ამის გამო  
ამ ფსიქოლოგიურ ამონტს განსაკუთრებთა  
აფასებს. საამაყოდ მიმაჩნია ტაშის სიხშირე.  
რომელაც ჩვენს გასტროლებს თან სდევდა.

მიღწევების მხრივ უნგრული თეატრი გამო-  
ნაკლისს არ წარმოადგენს. მაგრამ საშუალო  
თეატრალური დონე ძალზე მაღალია და უტოლ-  
დება საერთაშორისო სტანდარტებს. სპექტა-  
კლებს ახსიათებთ კონცეფციურობა. მსახიობის  
ხელოვნებაში ქარბობს ინტელექტი. ხშირია  
ტრადიციული ხასიათების მოულოდნელი ინ-  
ტერპრეტაციები (მაგ. იაგო „მადახის“ თეატრ-  
ში), კლასიკის გათანამედროვეება (მაგ. გოგოლის  
„შეშლილის ჩანაწერები“ შესრულებული მხო-  
ლოდ ერთი მსახიობის იგანე დარვაშის მიერ).

ჩვენი თეატრის მთავარ წარმატებდ ის მი-  
მაჩნია, რომ უნგრულ კრიტიკაში პრობლემათა  
ახალი ნაკადი წარმოშვა. ერთ-ერთმა კრიტი-  
კოსმა სპექტაკლის „ასი წლის შემდეგ“ შეფა-  
სების დროს, განაწოგადა რა თავისი შეხედუ-  
ლებანი, გამოიტანა დასკვნა, რომ ვნება თეატრ-  
ში თეატრის მარადიული სახეა, ჩვენ კი რატომ-  
დაც მსახიობებს მუდამაშმს თავდაპირილობას  
ვუქადაგებთო. დაახლოებით იგივე გაიმეორა  
„ბანკ-ბანის“ რეცენზენტმა, როდესაც „ბანკ-ბა-  
ნის“ თანამედროვე უნგრული დადგმების წარუ-  
მატებლობის მიზეზს ეძებდა.

უნგრულ დრამატურგიაში მრავალი რამ კეთ-  
დება ისეთი, რაც ჩვენს მიერ ჯერ კიდევ აუ-  
თვისებულთა. როგორც ვიცით, თემატიკის მრავ-  
ალფეროვნება უმრავლეს შემთხვევაში დრ-  
მატურგის გამოგონებლობას ეყრდნობა. ქარ-  
თულ დრამატურგიას ამის გააზრება მართებს.  
ვფიქრობ, გასტროლები შემოქმედებით ურ-  
თიერთგამიღიერების წყაროდ იქცა.



ამ პრობლემის განხილვას მიეძღვნა საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების საერთაშორისო ასოციაციის (ასიტეის) მიმდინარე წლის კონფერენციის, რაც ამ ასოციაციის საბჭოთა ცენტრის ინიციატივით ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩატარდა. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, — იგი მეტყველებს ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის მაღალ დონეზე, რადგან ასიტეის კონფერენცია არ გულისხმობს. მხოლოდდამხოლოდ თათბირებით შემოსაზღვრას. იგი გულისხმობს იმ ქვეყნის თეატრალური ცხოვრების გაცნობასაც, რომელიც ეს კონფერენცია ტარდება.

სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდა კონფერენციის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოსული ასოციაციის საბჭოთა ცენტრის საპატიო პრეზიდენტი პ. შხახნიძე.

— რასაკვირველია, ძნელია რაღაც ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში საბჭოთა თუ უცხოელმა სტუმრებმა სრულყოფილად გაიცნონ ქართული თეატრალური კულტურა, მაგრამ ზომ გაგიგონათ — ზღვა წვეთშიც შეიცნობათ. მეც იმეტი მაქვს, რომ იმ რამდენიმე სექტაკლით, რომელსაც სტუმრებს ვაჩვენებ, მათთვის ცხადი გახდება ქართული თეატრალური კულტურის დონე. მე კარგად ვიცნობ ქართულ თეატრს და დარწმუნებული ვარ წარმატებაში.

ხოლო თუ რაოდენ წარმომადგენლობითი იყო თბილისში ჩატარებული კონფერენცია, ეს გასაგები გახდება თუ გადავხედავთ სტუმართა სიას. ამ დღეებში თბილისს ეწვივნენ ასიტეის ვიცე-პრეზიდენტები ილზა როდენბერგი, შანს დიტერშილტი და კრისტა ფრიდრიში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), უან ივ გორდო და ჯოის დულიტი (კანადა), იან რიბრიკი, ვლადიმერ ადამეკი, კარლ რიხტერი და სტანისლავ მიჩინევი (ჩეხოსლოვაკია), უან პიერ ნერკამი და მარის იენდტი (საფრანგეთი), მეტელიკ ვიბის (ინგლისი), რებეკა ხენგი (აშშ), ეუი სოკოლოვსკი (პოლონეთი), ასიტეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრკ სახალხო არტისტი ი. ვორონოვი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი მარია კნებელი, სსრკ სახალხო არტისტი, მოსკოვის საბავშვო მუსიკალური თეატრის ხელმძღვანელი ნატალია საცი, ლენინგრადის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის ხელმძღვანელი ზინოვი კარაგოდსკი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვერა მაქსიმოვა, ვიქტორ კალიში (მოსკოვი), ანატოლი ალშუშლერი (გორკი), ადალია ალიევა (ბაქო), სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები მარია

პუკშანსკაია, გალინა არლევინი, ნატალია კოვალევა. საბავშვო თეატრის მსახიობები ნიკოლოზ ივანოვი (ლენინგრადი), ახარან სალმათი (ბაქო), რომანის სიგიტასი (ესტონეთი), ზორის პლოტნიკოვი (სვერდლოვსკი).

მეტად დატვირთული იყო კონფერენციის პირველი დღე. კონფერენციის მონაწილეთ შეხალმონენ და წარმატებული მუშაობა უსტურებს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, სსრკ სახალხო არტისტმა ი. თაქთაიშვილმა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ.

თავიანთ სიტყვებში მათ ზაზი გაუსვეს იმ რთულსა და საპასუხისმგებლო მახიას, რაც საბავშვო თეატრებს აკისრიათ, აღნიშნეს საბჭოთა საბავშვო თეატრების როლი მოზარდი თაობის აღზარდის საქმეში.

შემდეგ დაიწყო კონფერენციის საქმიანი ნაწილი, რომელსაც წინ უძღვოდა კ. შხახნიძის გამოსვლა. კ. შხახნიძემ ილაპარაკა თბილისის კონფერენციის ამოცანებზე და აღნიშნა რომ ახალგაზრდა მსახიობის პრობლემა მოზარდმუსურებელთა თეატრში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. როგორ იზრდება თეატრში ინსტიტუტიდან მისული მსახიობი, აქვს თუ არა მას შემოქმედებითი წინსვლის სრული საშუალება.

კონფერენციის პირველ დღეს მსმენელთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნათელა ურუშაძე. ხოლო მეორე დღეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი, თეატრალური კრიტიკოსი ეთერ გალუსტოვა. მოხსენებლებმა განალაგეს რესპუბლიკის მოზარდმუსურებელთა თეატრების მუშაობა, სტუმრების მოუთხრეს იმ უმთავრეს პროცესებზე, რაც თბილისის საბავშვო თეატრებში მიმდინარეობს.

სიტყვებით გამოხსულმა რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ნიკოლოზ ამინოვმა, ლენინგრადის მოზარდმუსურებელთა თეატრის მსახიობმა ნიკოლოზ ივანოვმა, ტალინელმა რომანის სიგიტასმა, ნოვოროსისიკელმა მსახიობმა ანდრეი ნერაევმა, მოსკოველმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ვერა მაქსიმოვამ და სხვ. ილაპარაკეს კონფერენციის უმთავრეს პრობლემაზე. ამასთანავე გამოაყენეს ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელთა შესწავლა და დამუშავება მიმდინარე თეატრალური პროცესებისთვის საკაროდ მიიჩნევა.



ჩვენ ვთხოვეთ კონფერენციის რამდენიმე მონაწილეს „თეატრალური მოამბის“ მეთხველიანობისთვის გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებანი კონფერენციაზე აღძრულ საკითხებზე.

**ნიკოლოზ ივანოვი**

ჩემი გამოსვლა კონფერენციაზე, ცხადია, მოზარდმაყურებელთა თეატრის ახლაგზრდა მსახიობის პროფესიას შეეძვნა. ამ თეატრის მსახიობი კარგად უნდა იცნობდეს ბავშვებს, აინტერესდეს ბავშვის სამყარო, ბავშვის ყოველგვარი გამოვლინებანი. ამ თეატრის მსახიობმა მთელი სიცხადით უნდა აღიდგინოს თავისი ბავშვობა, განიცადოს ის, რაც წლების წინათ განიცადა. ეს არც ისე იოლი ამოცანაა... ამ ამოცანის გადასაწყვეტად, ჩემი აზრით, მთავარია პროფესიული გაწვრთნილება და გულმოდგინე შრომა.

კიდევ ერთი საკითხი. ეს არის მაყურებლის საკითხი.

მოგეხსენებათ, მოზარდთა თეატრში სამი სხვადასხვა ასაკის მაყურებელი მოდის. უმცროსი, საშუალო და უფროსი. ყოველი ამ ასაკის ბავშვებისთვის სხვადასხვა სტილის თამაშია საჭირო. ახლა მოზარდთა თეატრში ახალი ტენდენცია შეიმჩნევა — ეს არის ე. წ. შერეული დარბაზის ტენდენცია, როცა დარბაზში სამივე ასაკის ბავშვები იყრიან თავს. ეს სიახლე მსახიობებს გვეხმარება. ბავშვებიც თავთავისებურად აღიქვამენ სპექტაკლს.

**შპრო მაქსიმოვა**

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

კონფერენციაზე მე, თუ შეიძლება ითქვას, სტუმარი ვიყავი რადგან ჩემი თავი სრულებითაც არ მიმჩნია საბავშვო თეატრის სპეციალისტად. კონფერენციის მონაწილეებს მე ვესაუბრე რუსული თეატრის ახალი თაობის მსახიობებზე, ვესაუბრე იმ შემოქმედებით პოზიციებზე, რომელმაც გააერთიანა, მაგალითად, „სოვრემენიკის“ მსახიობები. ხომ ფაქტია, რომ „სოვრემენიკის“ თანამაზრებობამ გარკვეული გავლენა მოახდინა საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაზე.

სრულიადც არ მინდა იმ სტუმართა შორის ვიყუე, რომლებიც ჩავლენ თუ არა რომელიმე ქვეყანაში, უმალ გადმოალაგებენ მშაშვარეულ ენითობებს ამ ქვეყნის სტუმართმოყვარეობასა და სილამაზეზე, მაგრამ არ მინდა გვერდი ავუარო ერთ მნიშვნელოვან ფაქტს — მე მოვისმინე ქართული ხალხური სიმღერები, რომელსაც „ხალხისი“ ასრულებდა. ეს მართლაც, დიდი ხელოვნებაა ერისა. ამ სიმღერების მოსმენა უდიდესი სიამოვნება იყო ჩემთვის. ამ სიმღერებს რომ ვუსმენდი თითქოს თვალწინ დამიგდა ყოველი ოცნება—ანდენილიც და აუხდენილიც. რაოდენი ზემოქმედების ძალა აქვს ამ სიმღერებს.

მე საქმია ხანია საბავშვო თეატრის პრობლებზე ვმუშაობ. დღეს საბავშვო თეატრის ირგვლივ პრობლემათა მთელი ჭაჭვია, რომლებიც თავის გადაქრას ელიან. აქედან უმთავრესია ორი პრობლემა რეჟისურისა და მსახიობის პრობლემა. მე მიმჩნია რომ, იყო საბავშვო თეატრის რეჟისორი და მსახიობი — ეს ნიშნავს ფლობდნე საუკეთესო პედაგოგის, აღწვრდელის თვისებებს. ამ თეატრში ჩვენ ჩვენს მომავალს ვვლდ, აქ ისახება კაცობრიობის ზვალინდელი დღე. ამიტომ განსაკუთრებულად, მე ხაზს ვუსვამ, განსაკუთრებულად ყურადღება გვმართებს. ამ თეატრისადმი ზრუნვა მომავალზე ზრუნვას ნაშნავს.

თბილისში რამდენიმე სპექტაკლი ვნახე. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა „ქამუშაძის გაქირავებამ“. მე მომიწონა პირველი მოქმედება, აქ რამდენიმე ჩინებული მოხანსცენა იყო, მაგრამ მეორე მოქმედებაში რაღომღაც სიტუაციებს და სათქმელს იმდენათ დეკავლდენ, რომ მიდებულ კარგ შთაბეჭდილებას ერთგვარად ანეიტრალეზდენ.

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა სპექტაკლ „ბუმბარაშზე“, რომელიც მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში ვნახე. სპექტაკლის დამდემელი ადლოფ შპაირო ჩემი მეგობარია, ბევრი მისი კარგი სპექტაკლი მინახავს, ამიტომ სიამოვნებით ველოდი „ბუმბარაშს“. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეგობარი რეჟისორისაგან მეტს ველოდი, სპექტაკლმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, მესიამოვნა ამ ნიჭიერი, შთაგონებული კოლექტივის გაცნობა. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ამ ჩინებულ თეატრს მივულოცო ახალი, შესანიშნავი ნაგებობა. ამგვარი ნაგებობა ბევრ თეატრს შეუზრდებოდა.

ერთი გადახვევა.

კონფერენციის მონაწილეებისთვის მოზარდმაყურებელთა ქართულმა თეატრმა წარმოადგინა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაქირავება“ (რეჟისორი შ. გაწერელია, ინსცენირება გ. სანადირაძისა). სპექტაკლის შემდეგ თეატრის დირექტორის ვახტანგ ლოლაძის სამუშაო ოთახში რამდენიმე ქართველი თეატრალი საუბარს შეჰქვა, შეკრებილთ ნელ-ნელა სტუმრების შეუერთდნენ და ეს მხიარული, მეგობრული საუბარი ისე შეუმჩნევლად გადაიქცა ერთგვარ ინტერნაციონალურ შეკრებად, რომ ვერც ვერავინ იგრძნო. შეკრებილთ ყველაზე გვიან შეუერთდა ასიბერის ვაცე პრეზიდენტი, პროფესორი ვლადიმერ ადამეკი (პრეზიდენტობა ეკლადიბერ ადამეკი აღრეც ყოფილა თბილისში, იგი ახლაც მეგობარია ვახტანგ ლოლაძისა და თენგიზ მა-



ღალაშვილისა. იცნობს ჩვენი მოზარდთა თეატრის სექტორებს, სიამოვნებით ღაპარაკობს ხოლმე მასზე, ახლაც თამაშად, შინაურულად შემოუერთდა შეკრებილთ. ყველა საუბარში იყო გართული, ზოგი რას ყვებოდა და ზოგი რას. მოულოდნელად ვ. ადამეკმა გაიხსენა, თუ როგორ ჩამოვიდა საქართველოში პირველად ნი-იანი წლების დამდეგს, მაშინ ჭერ კიდევ მოსკოვის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტი ვიყავო. და ამ დროს მე შევამჩნიე თუ როგორ აღიძაბა კვიკვილი ლორთქიფანიძე, ადამეკს მიაჩერდა, მერე მშვერა განარიდა, კვლავ მიაჩერდა და რაღაც მღელვარებით ჰკითხა: — მოსკოვში სწავლისას მეუღლითურთ ხომ არ იყავით? დიხაო, უპასუხა აღამეკმა და მაშინ უნდა გენახათ სიხარული ორი მეგობრის შეხვედრისა, რომლებსაც დრომ დაავიწყა ერთმანეთის სახე, გამომეტყველება, მაგრამ არ დავიწყუნიათ ერთიმეორის არსებობა.

ეს ნამდვილად სასიხარულო წუთები იყო. ვლადიმერ ადამეკი თურმე ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლია ფუჩიკისა, ფუჩიკიანს ერთად შეიპურეს გესტაპოელებმა, აწამებდნენ, მაგრამ ვერ გატეხეს. შემდეგ მოსკოვში დაამთავრეს უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი. იგი ყოფილა კონსულტანტი გ. ლორთქიფანიძის და ან. ფეროსისა, როცა ეს ორი დიპლომანტი იულიუს ფუჩიკის „ადამიანებო, იუდათ ფაზულად“ დგამდნენ. ადამეკზე უკეთ ვის უნდა ცოდნოდა ფუჩიკის ცხოვრება, მისი გზა, რვი ხომ ერთ-ერთი მონაწილეა ამ ცხოვრებისა და ამისხენიებელიცაა ფუჩიკის წიგნში.

ყოველი ჩვენგანი ახლა სულ სხვა თვალათ, განსაკუთრებული მოწიწებითა და პატივისცემით შესცქეროდა ამ საშუალო სიმაღლის, ერთობ ჩვეულებრივი გამომეტყველების კაცს, რომელსაც ასეთი ბიოგრაფია ჰქონდა თურმე. გვიან აღამეკმა იგონებდნენ თავიანთი სიჭაბუკის წლებს ქართველი და ჩეხი რეჟისორი.



**კონფერენციის** მეორე დღეს გრძელდებოდა საუბარი საბავშვო თეატრების აქტუალურ საკითხებზე. ამ დღეს გამოხვლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. კნებელის გონივრული, გააზრებული სიტყვა, რომელსაც მადლიერების გამომატველი ტაშითა და ფეხზე წამოდგომით შეხვდა ბევრი მისი მოწაფე და აღზრდელი. ისინი ხომ ახლა საბჭოეთის თეატრებში მიმოფანტულან. საინტერესო იყო აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერის ნ. ამინოვის გამოსვლა, რომელიც დაკვირვებას აწარმოებს მოზარდთა თეატრის მსახიობის ფსიქოფიზიოლოგიურ რეგულირებაზე. ამ მხრივ მისთვის თავად კონფერენციაც ბევრსმეტყველი იყო, რადგან იგი სწავლობდა მსახიობთა მოსაზრებებს თავიანთ პროფესიაზე.

სსრკ სახალხო არტისტი ნ. საცი ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორდ სათუთია ბავშვის ბუნება და როგორი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ ახალი თაობის მსახიობები თავთავიანთ მოვალეობას. ნ. საცი არ დაეთანხმა კონფერენციამე გამოტყმულ ნ. ივანოვის მოსაზრებას თათისა აუცილებელი არ იყოს გიყვარდეს ბავშვები. თუ ეს სიყვარული არ იქნა, აღნიშნავს ნ. საცი, ჩვენ ბევრს ვერაფერს გავაკეთებთო.

სარტოვის მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობმა იური ოშეროვმა აღნიშნა მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობს არა მარტო როლის თამაშისას, არამედ პირად ცხოვრებაშიც კი არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ იგი არის მსახიობი და ამავე დროს პედაგოგი, რომელმაც გარკვეული მიმართულებით უნდა აღზარდოს ბავშვი — რაღაც დაუშალოს, რაღაც ახსწავლოს. ი. ოშეროვმა წამოაყენა წინადადება, რომ თეატრალურ ინსტიტუტში გაიხსნას საგანგებო ჯგუფები მოზარდთა თეატრისათვის, რომელიც მხოლოდ ჩვენი თეატრებისათვის აღზრდის მსახიობებს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის საქირბოროტო პრობლემებზე ილაპარაკეს თავიანთ კამოსვლებში ლატვიულა საგდულაეკმა (ტაშკენტი), დ. უოლაკინოვმა (აღმა-ათა), ვ. ხორიშოლოვმა (გორკი) ბ. პლოტნიკოვმა (სვერდლოვსკი), ვ. ციმაბლა (კირივი), ვლ. დოლგო-რუკმა (მოსკოვი).

ამ უკანასკნელმა გაილაშქრა საბავშვო თეატრებში მუშაულების დადგმის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ მუშაული არავითარ გონებრივ საზრდის არ აძლევს მოზარდ თაობას. ვ. დოლგო-რუკის მიერ დასმულ საკითხს ეხმიანებოდა კანადელი გოის დულიტლის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედივ საბავშვო თეატრში თანდელი იკიდებს ფეხს და ეს არც თუ მისასაღმებელი საქმეაო.

თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის მთავარმა რეჟისორმა თენგიზ მადლაშვილმა ილაპარაკა ქართული მოზარდთა თეატრის წინაშე მდგარ მნიშვნელოვან პრობლემებზე და აღნიშნა, თუ როგორდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსახიობთა და რეჟისორთა ასეთი სისტემატური შეხვედრება.

კონფერენციამე შემაგაბებელი სიტყვა წარმოთქვა ლენინგრადის ლენინური კომკავშირისა სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რსფსრ ხელოვნების დამს. მოღვაწემ, პროფესორმა ზ. კარაგოდსკიმ.

კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ ასიტეუოს მორიგი კონფერენცია მოწვეულ იქნას ბერლინში, 1975 წელს.

ასიტეუოს საბჭოთა და უცხოელ სტუმარბათ ერთი ჯგუფი მიიღო საქართველოს კ კენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირბამმა.

## „გაზერი მუხრანაჲის“ გრიუფი უკავანში

ნამდვილი თეატრალური ზეიმი იყო 29 დეკემბერს ერევანში. სწორედ ამ დღეს შესაძება ქართველი მწერლის მერან ელიოზიძის მიერ „ბებერი მუხრანელები“ პრემიერა გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტის დ. ალექსიძის მიერ დადგმული სპექტაკლი (მხატვარი — სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნ. ივანოვი, კომპოზიტორი ხელ. დამს. მოღვაწე გიანაჩილი) ქართული და სომხური თეატრალური ურთიერთობის ნათელ ზეიმიად იქცა.

ჩვენ არ ვაპირებთ სპექტაკლზე რეცენზიის დაწერას, უმჯობესია სხვებმა — სპექტაკლის მონაწილეებმა და სომეხმა მსახურებლებმა ილაპარაკონ ქართველი დრამატურგის, რეჟისორის, მხატვრისა და კომპოზიტორის ნახევრავზე, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის კვლამართად შემოქმედებითი და მეგობრული ატმოსფერო, რაც იმ საღამოს სუნდუკიანის სახელობის თეატრის მსახურებელთა დარბაზში და სცენაზე სუფევდა.

დამთავრდა სპექტაკლი, მსახურებელმა ნახა მოხუცი მეზურნეების ნაღველით აღსავსე ყოფის ჩინებულად წარმოთსახული სურათები. ნახა და თანაგრძნობით გაწეწო ამ ადამიანებისადმი, რადგან ყველაფერი ის, რაც სპექტაკლშია, უაღრესად ადამიანური, უადრესად მახლობელია დარბაზში მოსული ყოველი მსახურებლისათვის.

დიდხანს არ ცხრებოდა ოვალიები, რომელიც ასე რიგად დამახასიათებელია ყოველი კარგი სპექტაკლის დასასრულს. სწორედ ამ დროს დაიწყო საღამოს ე. წ. მღორე განყოფილება, რომელიც არავის არ დაუდგამს, რომლის შებენაზე საგანგებოდ არვის უზრუნვია — მას რეჟისორს უწევია მეგობრული განწყობილება. შემოქმედებითი სიხარული. ის ფაქტორები კი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ დიდებულად წარმართა მეორე განყოფილება.

სცენაზე გამოდიან ქართული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლები, რომლებიც საგანგებოდ პრემიერისთვის ჩამოსულან საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პარტული მოადგილე ბადრი კობახიძე მისწავლეს სომეხ მსახიობებზე და აღინიშნეს, თუ რაოდენ დიდია აეთი შემოქმედებითი ურთიერთობების როლი. ერთა მეგობრობა ადამიანთა, პიროვნებათა მეგობრობაში იღებს სათავეს და ჩვენც ყოველი დღე უხედა ვისმართ, რომ გავადრმავოთ ჩვენი ურთიერთობანი. როგორც ჩანს, ბ. კობახიძემ მრავალთა სათქმელი თქვა, რადგან მის სატყვეებს მხოლოდ ტანსაცმით შეეგებენ. შემდეგ სუნდუკიანელთა მეზურნეებს მისალმნენ რუსთაველის თეატრის მეზურნეები — სცენაზე შემოდიან რესპუბლიკის სახალხო არტისტები რამაზ ჩიკვაძე და კარლო საკანდელიძე, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ხიზლავდნენ ქართველ (და არა მარტო ქართველ) მსახურებელს თედოსა და ბუთხუზის როლის შესრულებით რუსთაველის თეატრში. სომეხი მსახურებელი აღფრთოვანებით მისალმა ქართველ მსახიობებს, ხოლო როცა რამაზ ჩიკვაძემ იმდროს თავისი სკენური პერსონაჟის ერთი სიმღერა, დარბაზი დიდხანს უკრავდა ტანს ქართველ მსახიობს.

და აი კიდევ ერთი ფაქტი იმისა, რომ მეგობრული განწყობილება უმაღლესი სიხარულს წარმოშობს — კარგად ადამიანებს კი სჩვევია სიხარულს გზა არ დაუხშონ. — სსრკ სახალხო არტისტები, სოსან როლის შემსრულებელი, სომხური თეატრალური ალტაჟორის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გურაგენ ჯანაბეკიანი ლაპარაკობს იმ კმაყოფილებაზე, რაც მას მოკვდავ ქართველ რეჟისორთან, მხატვართან და კომპოზიტორთან შეხვედრამ. სომეხი კოლეგებისადმი მადლიერებით გასაშკაფოლი სიტყვა თქვა სპექტაკლის დამთავრებამდე. აღუქმობა.

ზოგიერთ მსახურებელს, სპექტაკლის მონაწილეს ეთხოვით გამოთქვით თავიანთი მოსაზრება სპექტაკლზე.

### შურბან ჯანიბეკიანი

ძალიან მომხიბლა მერან ელიოზიძის ბიუსამ. მომხიბლა იმით, რომ მასში ადამიანური, კეთილი აზრებია, ამ ბიუსის ღირსება ისიცა, რომ სოსან, თედოსა და ბუთხუზის სატყვეები მახლობელია ყოველი ერის ადამიანისათვის. ამიტომაცაა იგი ესოდენ ემოციური, ხომ ნახეთ როგორ მიიღო სპექტაკლი სომეხმა მსახურებელმა.

რებელმა. მე პირადად შემეყვარდა სოსას სახე. რომელსაც ვთამაშობ  
დალზე მოხარული ვარ, რომ შემოქმედებითად შეცხვდი და ალექსიძის  
ელმაც ჩინებულად გახსნა პიესისგული სახეები. მასთან მუშაობამ ბევრი რამ შეს-  
ინა ჩემს აქტიორულ გამოცდილებას, და ალექსიძის მუშაობა ერევანში ამ სპექ-  
ტაკლზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში.  
ჩვენ ხშირად უნდა მივმართოთ ხოლმე ამგვარ პრაქტიკას, რადგან იგი ზრდის  
ჩვენს შესაძლებლობებს. ამაში დამეთანხმება ჩვენი თეატრის ყოველი მსახიობი,  
რომელსაც და ალექსიძისთან მოუწია მუშაობა.

### ბეჭობრდ ზუკაბიანი

#### მუშა-მშენებელი

მე ხშირად დაედვიარ სუნდლუქიანის თეატრში, იმიტომ რომ მიყვარს ეს თე-  
ატრი, განსაკუთრებული სიხარულით მოვდიოდი დღეს, რადგან გავიგე, რომ  
ქართული პიესა ქართველებმა დადგესო, ჩემი ცხოვრების მეტი წილი თბილისში  
გამიტარებია და, ალბათ, გამივებთ კიდევ რატომ მომიხაროდა. ძალიან მომეწონა  
ჩემი საყვარელი მსახიობი გურგენ ჯანაბეიკიანი, იგი შესანიშნავად თამაშობს. მე-  
რეწონა ნინოს როლის შემსრულებელი ვ. ასრიანი, აგრეთვე ბაბაღეს როლის მომ-  
სრულებელი ვ. სტეფანიანი, რა კარვია სპექტაკლის მხატვრობა. თვალწინ დამიდგა  
მთელი თბილისი, ხოლო ამ მუსიკას რომ ვისმენდი, თავი ისევ თბილისში მეგონა.

მე მაღლობელი ვარ ქართველების, რომ ასეთი კარგი სპექტაკლი დადგეს ჩვენს  
თეატრში. აი, ნახეთ რამდენი ხალხი მოვა ამ სპექტაკლზე. იმიტომ რომ მასში  
ძალიან ხალასი და ნაღდი ადამიანები მოქმედებენ. დიდი მაღლობა!

### მარბანი

#### სომხეთის სახალხო არტისტი

როგორც ნახეთ, ამ სპექტაკლში, ბუთხუზის როლს ვთამაშობ: და ალექსიძის  
რეჟისურას ადრევეც ვიცნობდი. მინახავს მის მიერ დადგმული სპექტაკლები „ოი-  
დიოს მიფე“ და „პეპო“. ეს სპექტაკლები ჩემი წარუშლელი თეატრალური შთა-  
ბეჭდილებებია. ამიტომაც უნდა დღესი სიამოვნებით ვიმუშავე ახლა და ალექსიძეს-  
თან. ჩინებულად ვითანამშრომლეთ. იგი მუდამ შთაგვაგონებდა, და ალექსიძის  
რეპეტიციები ერთ რამედ ღირს. იგი იმდენად არის შთაგონებული, რომ შემოქმე-  
დებით თავდავიწყებამდეც კი მაიღოდა ხოლმე და ეს აღვავრთოვანებდა ჩვენ,  
ამიტომ იყო, რომ ასე გულითდად მიყვებოდი. ერთი საყურადღებო დეტალიც —  
და ალექსიძე ყოველ რეპეტიციაზე იმდენად ხვეწდა, აწუშავებდა სქენურ დეტა-  
ლებს, რომ ჩვენ წინასწარ ვგრძნობდით უტყუარ წარმატებას. წინათგრძნობამ  
გავგიმართლა კიდევ — ჩვენმა მაყურებელმა კარგად მიიღო სპექტაკლი. სპექ-  
ტაკლის ეს წარმატება განაპირობა ჩინებული მხატვრის ნ. ივანტოვის ძალზე კო-  
ლორიტულმა მხატვრობამ და ჩვენ მაღლიერი ვართ მისი, ისე როგორც კომპო-  
ზიტორ გია ყანჩელია. მოკლედ რომ ვთქვა „ქართულმა ბრიგადამ“ შემოქმედე-  
ბითი სიხარული მოგვიტანა.

### ვლადიმერ რომანი

სომხეთთან ბევრი რამ მაკავშირებს. ხშირად ჩამოვდივარ აქ, ვთარგმნი სომ-  
ხური პოეზიის ნიმუშებს, დამიწერია თეატრალური პორტრეტები სომეხ თეატრა-  
ლურ მოღვაწეებზე. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა სპექტაკლი  
„ბებერი მეზურნეები“, რომელიც აქ ახალი სათაურით — „მზის ქვეშ“ — შე-  
მოგვთავაზეს, საინტერესოა, რადგან სომხური თეატრის ამდენ გამოჩენილ მოღვა-  
წეს ერთ სპექტაკლში იშვიათად თუ ნახავ, ჩინებულად გამოიყურებიან მსახი-  
ობები. მე გამოვირდება რომელიმე მათგანის თამაშს დაგო წუთი, ყველა ზედ-  
მიწევნით კარგად ასრულებს თავის მისიას, აი, თუნდაც ჯანაბეიკიანი გავიხსენოთ,  
ან გუნებათ არუთინიანი. ყველაფერ ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის რეჟი-  
სორს. ადრე მინახავს და ალექსიძის სპექტაკლი „ოდიოს მიფე“, რომელმაც წა-  
რუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. ამ სპექტაკლმა კი დამარწმუნა თუ  
რაოდენ მრავალფეროვანია მისი შემოქმედებითი პალიტრა. მერაბ ელიოზაშვი-  
ლის ეს პიესა ისეთი ნაწარმოებია ან ძალიან კარგად უნდა ითამაშო, ან სულაც  
უნდა დამარცხდე. სპექტაკლში კარგად ვიგრძენით მსუბუქი პოეტური იუმორ-  
ი, კოლორიტი და ნაღველი სიციცხლის დაღმართზე დაშვებული ადამიანებისა.  
სპექტაკლი ყოფითია, მაგრამ არ გადადის ნატურალიზმში. მინდა გულითადად  
მივულოცო სომეხ და ქართველ მეგობრებს ეს წარმატება.

მიხეილ ჭიაურელი



ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ მიმ-  
 მე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა  
 გამოჩენილი კინოხელოვანი, საბჭოთა  
 კავშირის კომუნისტური პარტიის წევ-  
 რი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი  
 მიხეილ ედიშერის-ძე **ჭიაურელი**.

შეწოდა ნიჭიერი შემოქმედის გულის-  
 ცემა. იგი ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან.  
 მიხეილ ჭიაურელი იყო მრავალმხრივი  
 ხელოვანი — მხატვარი, მოქანდაკე, მომ-  
 ღერალი, სცენისა და ეკრანის მსახიობი,  
 თეატრისა და კინოს რეჟისორი.

კინემატოგრაფიაში მოსვლამდე 60-ზე

მეტი როლი შეასრულა ქართულ დრამა-  
 ტულ თუ საოპერეტო სცენაზე, დადგა  
 ბევრი სპექტაკლი, ხშირად თვითონ ქმნი-  
 და სცენურ გმირთა სახეებსა და დეკორა-  
 ციების ესკიზებს. მან დიდი ღვაწლი დას-  
 ღო ქართული მუსიკალური კომედიის  
 თეატრის შექმნას.

1922 წელს საბჭოთა საქართველოა  
 მთავრობის გადაწყვეტილებით იგი, რო-  
 გორც ნიჭიერი მოქანდაკე, გერმანიაში  
 მიაგლინეს დახელოვნებისათვის. მ. ჭიაუ-  
 რელმა ერთ-ერთმა პირველმა შექმნა  
 ვ. ი. ლენინის საკულტურული ფიგურა,



დაგვიტოვა ქართული კულტურის თვალ-  
საჩინო მოღვაწეთა მაღალი ოსტატობით  
შესრულებული პორტრეტები.

როგორც კინოხელოვანი მ. ჭიაურელი  
ქართულ საბჭოთა კინოსთან ერთად დაი-  
ბადა. იგი ასრულებდა მთავარ როლს  
1921 წელს შექმნილ ქართულ საბჭოთა  
მაატერულ ფილმ „არსენა ჯორჯია-  
შვილში“.

მ. ჭიაურელის მიერ დამოუკიდებლად  
დადგმულ პირველ ფილმივე — „უკა-  
ნასკნელ საათს“, საგრძნობი იყო ხელო-  
ვანის მისწრაფება დროის პოლიტიკურ  
მოვლენათა არსში წვდომისა და კინო-  
ხელოვნების საშუალებებით მათი გამო-  
ხატვისადმი. შემდეგ ეს ტენდენცია მთე-  
ლი ძალით გამოვლინდა მის ფილმებში  
„ხაბარდასა“ და „უკანასკნელ მასკარად-  
ში“. ფილმ „არსენაში“ მ. ჭიაურელი  
წარმოგვიდგა როგორც ღრმად ეროვნუ-  
ლი ხასიათის ნოვატორი, მახვილი პოლი-  
ტიკური სმენის ხელოვანი. მის შემოქმე-  
დებამი მკვიდრდება დროის მაგისტრა-  
ლური თემები. იგი ქმნის მასშტაბურ  
და ფართო ეპიკურ ფილმებს: „დიად გან-  
თიადს“, „გიორგი სააკაძეს“, „ფიცს“,  
„ბერლინის დაქვემდებარებას“, „დაუფიწყარ 1919  
წელს“. ამ ფილმებმა ხელოვანს სა-  
ყოველთაო აღიარება მოუტოვა.

მ. ჭიაურელის ფილმებში მუდამ ძა-  
ლუმად იგრძნობა ეროვნული ლიტერა-  
ტურისა და მხატვრობის რეალისტური  
ტრადიციები, ხალხურ თქმულებათა სამ-  
ყაროში შეღწევის წყაღილი, ფოლკლო-  
რული სახეებით გატაცება. ეს თვისებები  
კიდევ ერთხელ გამოვლინდა მის ფილ-  
მებში: „ოთარანთ ქვრივი“, „რაც გი-  
ნახავს, ვიღარ ნახავ“, მულტიპლიკაციურ  
სურათებში, რომლებსაც უკანასკნელ ხანა  
გატაცებით ქმნიდა ხელოვანი.

მ. ჭიაურელი — მებრძოლი, მა-  
ღალი კლასობრივი შეგნების ხელოვანი

აზრი მუდამ თანამედროვეობას ესაყრდენ-  
ვოდა. იგი მრავალმხრივი საზოგადო მო-  
ღვაწე იყო. საკავშირო კინემატოგრაფიის  
სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორს  
ბევრი კინოხელოვანი აღუზრდა, რომ-  
ლებიც ამჟამად ნაყოფიერად მუშაობენ  
როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის  
ფარგულს გარეთაც.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა  
მთავრობამ, მადლიერმა ხალხმა დიდად  
დააფასეს მიხილლ ჭიაურელის ღვაწლი  
და დამსახურება. მას მინიჭებული ჰქონ-  
და სსრ კავშირის სახალხო არტიტის  
საპატიო წოდება, იყო სსრ კავშირის სა-  
ხელმწიფო პრემიების ხუთჯობის ლაურეა-  
ტი, დაჯილდოებული იყო ლენინის ორი  
ორდენით, შრომის წითელი დროშისა და  
წითელი ვარსკვლავის, ჩეხოსლოვაკიის  
„თეთრი ღობის“ ორდენებითა და მრავა-  
ლი მედალით, არჩეული იყო სსრ კავში-  
რის ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს  
დეპუტატად.

წელს ჩვენმა საზოგადოებრიობამ დი-  
დი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით  
აღნიშნა მიხილლ ჭიაურელის დაბადების  
მომწილისთავი. მას ბევრი შემოქმედებითი  
გეგმა დარჩა განუხორციელებელი. სურ-  
და ეკრანზე დაეხატა სამოქალაქო ომის  
გმირის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის  
თავდადებული მეთორის ვ. კიკვიძის სა-  
ხე, აესახა პარტიისა და ხალხის ბრძოლა  
სოციალისტური სამშობლოს უკეთესი  
მერმისისათვის, ჩვენი დღევანდელი ობი-  
სათვის, რომლის გულმხურვალე პატ-  
რიოტიკ თვითონ იყო. იგი მაღალი პარ-  
ტიული შეგნების ხელოვანი დარჩა უკა-  
ნასკნელ ამოსუნთქვამდე.

მიხილლ ჭიაურელს — პარტიის ერთ-  
გული შვილის, მგზნებარე ხელოვანის,  
ვალმოხდელი ადამიანის ნათელი ხსოვნა  
მარად დარჩება მადლიერ შთამომავლო-  
ბაში, ჩვენს ხალხში.

- პ. ბ. გილაშვილი, ა. ნ. ინაშვილი, შ. დ. კიკნაძე, პ. ვ. მელნიკოვი,  
ზ. ა. პატარიაძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შივაჩიძე, ა. ნ. ჩუბინი,  
ბ. ს. ძოწანიძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარ-  
ყარაშვილი, თ. ა. ჩარაშვილი, ბ. ბ. ავაშიანი, თ. ე. აბულაძე,  
დ. ა. ალექსიძე, კ. კ. გარდაშვილი, შ. დ. გომიშვილი, ლ. დ. გუ-  
ლიაშვილი, ა. ა. დვალისხილი, ს. ბ. დოლიძე, ა. ა. ვასაძე, ი. ნ.  
ვეკუა, თ. ვ. თაქთაქიშვილი, შ. ი. მანაგაძე, ნ. ი. მუსხელიშვი-  
ლი, დ. ე. რონდელი, ნ. კ. სანიშვილი, ე. ნ. შინგალია, ნ. ბ. ჩი-  
ჩიანიშვილი, ა. ა. ჩხატარიაშვილი, რ. დ. ჩხეიძე.



ბრინან ადამიანები, რომლებიც პირად კეთილდღეობას ივიწყებენ და მთელ თავის შესაძლებლობას სასოგადო საქმეს სწირავენ. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გრიგოლ მიქლაძე.

თეატრალური ხელოვნებით ვატყობულობა, ჭერ კიდევ სიყრმეში მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ბაქოს ქართულ თეატრს. 1922 წ. გრ. მიქლაძემ დიდი აქტიურობა გამოიჩინა თბილისის დრამატული სტუდიის დაარსებაში. ხოლო 1924 წელს ცხოველი მონაწილეობა მიიღო ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაარსებაში. აქ იგი დატვირთული იყო ადმინისტრაციული და შემოქმედებითი საქმიანობით, მაგრამ ვრიგოლ მიქლაძე მიღწევებით არასდროს კმაყოფილდებოდა, თავისი საქმიანობისათვის სულ ახალ ახალ სარბიელს ეძებდა და პოულობდა კიდევ. ამჟერად მან მეტად რთული და მძიმე საქმე განიჭრა — გადაწყვიტა თბილისში დარსებია თოჯინების თეატრი.

გ. მიქლაძემ შემოიკრიბა თოჯინების თეატრით დაინტერესებული პირები და შეუდგა საქმეს. გზადაგზა ბევრი დაბრკოლება ხვდებოდა, უველაზე მწვევე მაინც თეატრის უსახლკარობა გამოდგა. გ. მიქლაძე იძულებული გახდა დასი თავის პატარა ბინაში მოეთავსებინა. მაყურებლის დაინტერესებამ კი თეატრი ისე გაზარდა, რომ მისი კერძო ბინაში მოთავსება შეუძლებელი

ლი გახდა. ის მცირე თანხა, რომელსაც პირველ ხანებში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის კომპერაცია აძლევდა, საქმეს ვერ შეელოდა. ამის გამო გ. მიქლაძემ გადაწყვიტა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენახა და მისთვის უკუვარდები დაწვრილებით მოეთხოვა, მდივანი იმ დღეს მეტად გადატვირთული იყო და მას მხოლოდ ღამის 12 საათის შემდეგ შეეძლო მისი მიღება. იმ დღეს გ. მიქლაძე ისე ელოდა, რომ მე და მსახიობმა ა. კირკიტაძემ გადაწყვიტეთ თან გავყოლოდით. თერთმეტ საათზე უკვე მდივნის მისაღებ ოთახში ვიყავით. გ. მიქლაძე ვერაფრით დავამშვიდეთ, იგი ძალიან განიცდიდა, მიღების მოლოდინი მოთმინებასა და იმედს უკარგავდა...

მდივანმა მხოლოდ დღის 4 საათზე შეძლო გ. მიქლაძის მიღება. ახლა უკვე ჩვენ ვდღეავდით, გვეწინოდა მდივანს უარი არ ეთქვა. ეს კი საბედისწერო იქნებოდა მისთვის. გ. მიქლაძე მდივნის კაბინეტიდან გასხვივსნებული სახათ, მთლიანად გაახლგაზრდავებული გამოვიდა. საუბრის შედეგი ჩვენთვის უთქმელად ნათელი იყო.

ლოცავიამ საგრძნობლად გააუმჯობესა თეატრის მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ თეატრის უსახლკარობა თეატრის შემოქმედებით მუშაობას ყოველ ნაბიჯზე მაინც ხელს უშლიდა. მიუხედავად ამისა, თავისი და თანამაზარე კოლექტივის თავდადებით ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა და შექმნა მთელი რიგი ბრწყინვალე სპექტაკლებისა: „წიკია“, „კაცია ადამიანი“ (ილ. ჭავჭავაძის მიხედვით), „დიდი ივანე“, „ალადინი“, „სვანეთის მთებში“, „სიცოცხლის ყვავილი“ და მრავალი სხვა.

ხელოვნების მოღვაწეებმა, მასწავლებლებმა და პედაგოგიური მეცნიერების წარმომადგენლებმა თოჯინების თეატრის ამ სპექტაკლების გარჩევის დროს რეჟისორისა და მსახიობების ნამუშევარს ხოტბა შეასხეს.

თოჯინების ქართული თეატრი თავის სპექტაკლებს ხშირად უჩვენებდა საკუთარო შეტყობებს, დეკადებს, ფესტივალებს და მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ. სწორედ ამ წარმატებების გამო გ. მიქლაძემ 1958 წელს აჩრჩივ თოჯინების თეატრების საერთაშორისო გაერთიანების („უნიმას“) სამკოთა სექციის ბიუროს წევრად, ხოლო შემდეგ იმავე გაერთიანების გამგეობის საპატიო წევრად.

გრიგოლ მიქლაძე მუდამ გამოირჩეოდა თავისი თავდადებული და უანგარო შრომით, ხელოვნების დიდი სიყვარულით, თავისი საქმის ღრმა პროფესიული ცოდნით,

ელენე კვიციანი



### ამგობრობის თეატრი

მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეგობრობის თეატრის მოწვევით თბილისს შეორედ (პირველად 1958 წ.) ესტუმრა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მოსკოვის საბჭოს სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და სამი წარმოდგენა გამართა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდ და მცირე დარბაზში.

მოსკოვის საბჭოს სახ. თეატრმა თავისი არსებობა ოცანა წლებში დაიწყო, ახლად დაარსებულმა თეატრმა ფართოდ გაუღო კარი მუშა-მაყურებელს. ამიტომაც არსებობის პირველ დღეებიდან მას „მოსკოვის პროლეტარიატის თეატრი“ შეარქვეს.

ამ თეატრის ხელოვნება თავიდანვე მკიდროდ იყო დეკავშირებული ახალ ცხოვრებასთან და ახალ აღმავანებთან, რამაც განსაზღვრა მისი ხელოვნების რევოლუციური პათოსი. მისი პირველი სპექტაკლია ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის პეისა „შტორნი“, რომელიც გმირულ-რევოლუციურ თემას ამკვიდრებდა საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაში. პირველად გამოჩნდა თეატრის სცენაზე ახალი გმირი, რევოლუციის გმირი, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე.

მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის ნოვატრობა, მისი მოქალაქეობრივი პათოსი სწორედ მის რევოლუციურ კრებოში გამომდგინდა. ამრიგად, ამ თეატრის სასცენო ხელოვნებაში მკვიდრდება გმირულ-რევოლუციური ბრძოლის თემა.

მოსკოვის საბჭოს სახ. თეატრის პირველი ხელმძღვანელი ე. ლიუბიმოვ-ლანსკი ოცნებობდა ენახა „პოლიტიკური თეატრი, თეატრი პროლეტარული, ქეშპირიკთა სახალხო თეატრი, რომელიც ისწრაფვის მხატვრულ ფორმაში გამოხატოს თავისი დროის არსებითი მოთხოვნილებები, მისი ძირითადი პრობლემები“. მართლაც ეს თეატრი მყარად დგას სოციალისტური რეალიზმის, ხალხურობისა და პარტიულობის პოზიციებზე. მისი შემოქმედება რევოლუციურია და სახალხო იდებობა და თანამედროვე ცხოვრების ინტერესებით ცხოვრობს. მას ხელმძღვანელობს საბჭოთა რეჟისურის გამოჩენილი ოსტატი სსრკ სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი იური ალექსანდრე ზე ზავდსკი.

მოსკოველმა სტუმრებმა 22 ნოემბერს თბილისელ მაყურებელს უჩვენეს ალექსანდრე ტვარდოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკ-

ლი „ვასილ ტიორკინი“ კ. ვორონოვის კომპოზიციით. რეჟისორია ბ. შჩედრინი, მხატვარი — რუსესრ სახალხო მხატვარი ა. ვასილევ.

სპექტაკლის დაწყებამდე მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს და უკრაინის სახალხო არტისტი, პროფესორი დიმიტრი ალექსიძე, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრებისა დალ. გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო თეატრის მსახიობები. სტუმრების სახელით მიესალმა დამადლობა გადაუხადა საქართველოს თეატრალურ-საზოგადოებას და ქართველ მაყურებელს თეატრისა და კინოს პოპულარულმა მსახიობმა, რუსესრ სახალხო არტისტმა გ. ყენოვმა, თავისი სიტყვის დასასრულს მან წაიკითხა ი. ზავდსკის წერილი მიმართული ქართველი მაყურებლისა და ქართველი მეგობრებისადმი:

ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

მე არ ვასხეულვ გვიარებს იმიტომ, რომ მწამს, მე თქვენს რესპუბლიკაში ისინი ძალიან ბევრი მყავს. დადავ ვწუხვარ, რომ იქულებული გავხდი უარი მეთქვა თქვენთან პამოსვლაზე, მაგრამ რას იზამ — ექიმებთან, ისევე როგორც მოსამართლეებთან — არ დაობენ. ისე კი, როგორ მინდოდა შეგვედროდოთ, სპორტსმენები რომ ამბობენ, „თქვენს მოედანზე“. „თქვენს მოედანზე“ კი შეუდარებელი დამიუწვდომელი ხართ: ქართველი ხალხის სტუმართოვყვარებობა ლეგენდად იქცა!

როდესაც მე საქართველოზე ვეუქრობ, პირველ რიგში, ბუნებრივია, მახსენდება, რომ თქვენ გყავდით და გვათ თეატრის გასაცარი ოსტატები. საემარისა დაესახელოთ ვერიკო ანჯაფარიძე, რომელსაც მე ვთვლი თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად. მძლავრად შევიდა საბჭოთა თეატრის ისტორიაში კოტე მარჯანიშვილი. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვუფილვართ ახლო ნაცნობები, მაგრამ მე მას სოვს მისი სპექტაკლები. რასაკვირველია, მისმა შემოქმედებამ ძლიერი გავლენა მოახდინა რუსულ, საბჭოთა თეატრზე.

ჩვენი თეატრი თქვენთან მოდის თქვენი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, ნაქიერი რეჟისორის დ. ალექსიძის მოწვევით, რომელთანაც დეკავშირებული ვართ ხანგრძლივი, დრმა და ჩემთვის ძვირფასი მეგობრობით.

ჩვენ მოგვკავს ძალიან მცირე ნაწილი ჩვენი



თეატრის რეპერტუარისა და გაჩვენებთ თქვენ, ძირითადად ჩვენს ახალგაზრდობას. იმედი გვაქვს, რომ ეს ჩვენი ჩამოსვლა გადაიქცევა თავდებად მომავალი მნიშვნელოვანი შეხვედრებისა.

დაბლა ეუბნები თავს ყველას, ვინც დღეს აქ მოვიდა!

თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ა. ზავადსკი.

**22 ნოემბერს დილას და საღამოს მცირე დარბაზში გაიმართა მ. ბაიჯიევის „დუელი“ და დიდ დარბაზში ალ. შტეინის „მომღერალი ქვია“ (ბ. ლავრენევის მიხედვით).**

„დუელი“ საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი შესანიშნავი პიესაა, რომელიც მოვითხრობს ამალღებულ სიყვარულზე, დიდ გრძნობაზე, რომელსაც დაკარგვის შემდეგ შეიგრძნობს ადამიანი.

სექტაკლის რეჟისორია ბ. შჩედრინი, მხატვარი — ა. ვასილვი. მაყურებლის მოწონება დაიმსახურა ნაზის როლის შემსრულებელმა მსახიობმა გ. დაშვეცკაიამ, რომელმაც დიდი ექსპრესიითა და ტემპერამენტით ვაიჩვენა ნაზის ხულიერი ძვრები, მისი ფსიქოლოგიური განც-

დები, მისი მორალური განწყობა და ამალღებულ სექტაკლში მონაწილეობენ მსახიობებმა ვ. შურუპოვა-აზიზი, ლ. ეტოფევი-ესკანდერი, ნ. ბოგუნოვა-გოგონა.

მესამე სექტაკლი — ალ. შტეინის „მომღერალი ქვია“ (ბ. ლავრენევის მიხედვით) სამოქალაქო ომის თემაზეა შექმნილი. სექტაკლის ავტორები გვიამბობენ თეთრგვარდიელი ოფიცერისა და ახალგაზრდა წითელ არმიელი გოგონას სიყვარულსა და რევოლუციურ მოვალეობაზე.

ინსცენირებაში შტეინს შემოაყვანა მწერალი — ლავრენევი, რომელიც ხსნის თავს გმირებოსადმი დამოკიდებულებას და ამით ნათელს ხდის ავტორის პოზიციას. მწერლის როლს ანსახიერებს საბჭოთა მაყურებლის საყვარელი მსახიობი გ. ტენოვი.

სექტაკლში სულ სამი მომქმედი პირია. მწერალი, მარიუტა — რხსტრ დამსახურებული არტისტი ი. სავინა და თეთრგვარდიელი ოფიცერი იტროვა — ი. სტარიცინი.

მარიუტკას უბეში, უბრალო გოგონას ცოცხალი, რომანტიკული სახე შექმნა ი. სავინამ, რომელიც ვაიჩვენა გაუნათლებელი, უბეში გოგონას არსებაში აღმოცენებული სიყვარულის პოეტური გრძნობა და რევოლუციური რწმენის ერთგულება.

## შხხეარა უაბრიკაჟი

**22 ნოემბერს** საქართველოს მწერალთა კავშირმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწვეს მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების მუშა-მოსამსახურებთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ და უკრაინის სახალხო არტისტმა, პროფესორმა დიმიტრი ალექსიძემ.

მწერალთა კავშირის მდივანმა ბესარიონ უღრესტმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „მუშათა კლასი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში.“ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა თემას: „მუშათა კლასი თანამედროვე ქართულ სცენაზე“.

თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების მიღწევებსა და ამოცანებზე ილაპარაკა დირექტორის მოადგილემ ს. კობახიძემ. სტუმრებს მიესალმნენ ფაბრიკის მოწინავე მუშები: გოგი ხუბერაშვილი, მქსოველი მარგო ქუხაშვილი და კონტროლიორი ნუნუ ჩუბინიძე. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ ქართველი მწერლები და ხელოვნების ოსტატები ახლოს გაეცნონ ფაბრიკის მუშათა ცხოვრებას და მუშაობას, რომ ქართულ

მხატვრულ ლიტერატურაში და სცენაზე უფრო სრულყოფილად აისახოს მათი საქმიანობა. ამასთან ერთად აღნიშნეს, რომ ასეთი შეხვედრები მუშებისა და ხელოვნების მუშაკებისა უნდა იყოს სისტემატური, უფრო ხშირი და მას ებიზოლუური ხასიათი არ უნდა ექნეს.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა ინჟინერმა ლალი ჭავჭავაძემ სტუმრებთან მისალმების შემდეგ წაიკითხა საკუთარი ლექსები.

შეხვედრაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ვახტანგ გორგანელმა და მორის ფოცხიშვილმა. საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ელენე საყვარელიძემ და მსახიობმა ელენე ქუკვაძემ წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები.

ფაბრიკის მუშებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მწერალ სიმონ წვერაძეს მიერ წაიკითხულ ნაწევები ნარკვევიდან ფაბრიკის ყოფილი მწერალ ელენე მუშის მაგდა ბურჯანაძის ამ ფაბრიკაში გატარებული შრომითი საქმიანობის გარშემო.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომუნიის თეატრის სოლისტებმა ევგენია გურაშვილმა, ემზარ ჩხეჩქელმა და ბაადურ ყიფანიმა შეასრულეს ნაწევრები ოპერეტივიდან —



უ. აჭიბევოვის „არშინ მალ აღან“, ო. თაქთაქი- შვილის „მინდია“, გ. ცაბაძის „ჩემი შეშლილი ძმა“ და სხვ. როიალის პარტიას ასრულებდა ინგა ასათიანი.

შეხვედრის დასასრულს სიტყვით გამოვიდა ფაბრიკის დირექტორი ჯ. მამუჩაშვილი, რომელმაც ილაპარაკა ფაბრიკის დიდ პერსპექტიულ გეგმებზე. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დედაენაში აღარ არის ლექსი აბრეშუმის ფაბრიკაზე და თხოვნით მიმართა მწერალთა წარმომადგენლებს, შექმნან ახალი ნაწარმოებები ფეიქარ ქაღებზე, რომლებიც მოგუხუნ დაზგებთან თვინათი გამრჯე მარჯვენით შექმნან სახალხო დოვლათს.

მან მაღლობა გადაუხადა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას და მწერალთა კავშირს ამ შეხვედრისათვის და თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანს ლეილა ვიბლიანს, რომელმაც ხელი შეუწყო ამ შეხვედრის მოწყობას.



18 ნოემბერს საქ. თეატრალურ საზოგადოებაში ჩატარდა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თემას: „მხატვრო-სადაღვამო კულტურა რესპუბლიკის თეატრების სექტაკლებში“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბ. კობახიძემ. მოხსენებები წაიკითხეს საქ. სსრ სახალხო მხატვარმა პროფესორმა

ფ. ლაპიაშვილმა, საქ. სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ვ. ცერაძემ და მხატვარმა გ. მესხი-ვილიამ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ მხატვარი მ. მურვანიძე, მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორი, თეატრმცოდნე ა. ტრაპაძე, საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე უ. კვასხვაძე, სოხუმის ს. ჭამბას სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე ს. კალანდაძე და თბილისის თოჯინების ქართული თეატრის სადადგმო ნაწილის გამგე ნ. მღვინიშვილი.



მიმდინარე წლის 19 ნოემბერს საქართველოს თეატრალური საზოგადოების საგამოყენო დასრუბაში (კიროვის ქ. № 11-ა) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მხატვართა კავშირმა, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლმა მოაწვეეს მხატვარ-დეროგორის, საქ. სსრ ხელ. დამსახურებული მოღვაწის ვლერიან ვლადიმერის ძე სიღამონ-ერისთავის ნამუშევართა გამოყენა.

გამოყენა შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. კობახიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ: მხატვართა კავშირის - თავმჯდომარე ხელოვნებამცოდნეობის დოქტორი ნ. ჭანბერიძე, სსრკ სახალხო მხატვარი უჩა ჭაფარიძე, სსრკ სახ. არტისტები აკ. ვასაძე, დ. ანთაძე და ს. დოლიძე.

## ღ ვ ა წ ლ ი ს დ ა ფ ა ს ე ბ ა

25 ნოემბერს ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო ამ თეატრის კოლექტივის ერთ-ერთი აქტიური წევრის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნათელა წერეთლის შემოქმედებითი საღამო.

ნათელა წერეთელმა თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ბათუმის თეატრს მიაშურა. აქ აიღვა ფეხი როგორც ნამდვილმა მსახიობმა, აქ გამოიწეროთ, აქ დაოსტატდა. აქ ატარებს მთელ თავის შემოქმედებითს ცხოვრებას. მართალია, პედაგოგთა დაჟინებული თხოვნით ერთხანობას რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა, მაგრამ ეს იყო ძალიან ცოტა ხანს, ორიოდღე სეზონის შემდეგ კვლავ ბათუმის თეატრს მიაშურა.

ბათუმის თეატრში მას შესრულებული აქვს მრავალი როლი, მათი აქ უბრალო ჩამოთვლაც საკმაოდ დიდ ადგილს დაი-

ჭერს. მსახიობის ოსტატობა, გარდასახვის მკაფიო უნარი საკმაოდ გამოჩნდა შემოქმედებით საღამოზეც, როცა იგი ხან კინტოს როლში მოველინებოდა ხოლმე მის საპატივცემოდ შეკრებილ მაყურებელს და ხანაც ქუთრი მეგობვე გოგონას.

ეს არ იყო მხოლოდ მსახიობის ზეიმი, ზეიმობდა მთელი თეატრი, ზეიმობდნენ ნ. წერეთლის კოლეგები, ვის გვერდითაც მას უხდებოდა შემოქმედებითი ცხოვრება, შრომა, რაც მთავარია, საყვარელ მსახიობს მაღლობას ეუბნებოდა მადლიერი მაყურებელი. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მეგობრებმა მსახიობს გულითადად მიულოცეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავი, ხოლო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცეს საპატიო სიგელი.



ბრინჯ ადამიანები, რომლებიც უხმაურად იღწვიან და თავიანთი შრომის ნაყოფს არც ვისმეს აუკედრიან და არც არავისადმი შურით იმსჯელებიან. თავიანთი თავდადებული. პატრიარქის მოღვაწეობით იხიან დიდ საზვილიშვილო, პატრიოტულ საქმეს აკეთებენ. ასეთი ადამიანები, საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში საქმიან არიან.

ერთი ასეთი ადამიანია პაპუნა (პავლე) წერეთელი, რომელსაც მიმდინარე წელს დაბადების 70 წელი და ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

პ. წერეთლის საზოგადოებრივი მოღვაწეობა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმის დაარსებიდან იწყება. იგი არის ამ მუზეუმის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მთელი რიგი წლების მანძილზე იგი დაუღალავად ზრუნავდა იმასათვის, რომ ეს მუზეუმი გადაქცეულიყო თეატრის უძვირფასეს საგანძურად მისი დაცულია დიდი ქართველი რეჟისორების კ მარჯანიშვილისა და ალ. აბშეტელის მიერ დადგმული სპექტაკლების კოსტიუმები, ესკიზება, მკაეტები, ფოტოსურათები და ქართული თეატრის სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები და მასალები.

1945-1947 წლებში პ. წერეთელი მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმი“-ს უფროსი რედაქტორის თანამდებობაზე. იგი იყო კონსულ-

ტანტი ისეთი ფილმისა, რომელიც არის „დავით გურამიშვილი“. მისი სცენარების მიხედვით შექმნილია მულტფილმები „მწევაბუკი“, „უქნარა“, „წავი ქუკა“, და სხვ. ქართულ ენაზე გამოვანებული მრავალი ფილმის ქართული ტექსტებიც პ. წერეთელს ეკუთვნის. პ. წერეთლის კალამს ეკუთვნის რუსული. მოძვე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთელი მრავალი ავტორის პიესების თარგმანი. ნათარგმნი აქვს 40 პიესა, რომელთაგან 18 პიესა სისტემატურად იღვმეპა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისა და პერიფერიულ თეატრების სცენაზე. მან თარგმნა ლეონოვის „შემოსევა“, გოლდონის „ქორიკანა ქალები“, გაბრიელა ზაპოლსკაიას „პანი დულსკაიას მორალი“, ნუშინის „ფილოსოფიის დოქტორი“, გუდრიჩისა და შაკტის „ანა ფრანკის დღიურები“, დელმარის — „დაუთმე ადგილზე ხვალისდღე დღეს“ და სხვა.

პ. წერეთელმა ქართულ ენაზე აამტყველა რუსი კლასიკური მწერლების ა. ჩეხოვის მოთხრობები, ი. გონჩაროვის „ხრამი“, ა. კუპრანის „ღამა“, მ. პრიშინის „ოქროს კორდი“, ნოსოვის „ვითა მალევეი შინ და სკოლაში“, აფრუშური ზღაპრები და სხვ.

დიდი მუშაობა ჩაატარა პ. წერეთელმა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ანდაზების პარალელურ კრებულის შედგენაზე და მის გამოცემაზე, რომელიც დღეისათვის იზვიათობას წარმოადგენს. მას არა ერთი საინტერესო სტატია და მოკონება აქვს გამოქვეყნებული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მებად საინტერესოა უფრანდ „ციხის“ 1971 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებული მისი მემუარული ხასიათის ჩანაწერები.

მდიდარი და მრავალფეროვანია პ. წერეთლის „სახლმუზეუმი“. დახა, ასე დავარქმევდით მის ბინას, რომელშიაც თავმოყრილია ქართული და უცხოური სახვითი ხელოვნების მრავალი ნიმუში. რას არ ნახავს ადამიანი მის ბინაში, დაწყებული კერამიკული და ფაიფურის ნაკეთობიდან, სხვადასხვა ლარნაკებიდან, სიგელ-გურგებიდან, დამთავრებული ფიროსმანის უცნობ ტილოებამდე.

სამოცდაათი წლის პ. წერეთელი დღესაც მხნეთ გრძნობს თავს. იგი კვლავინდებურად განაგრძობს თავის უმწიკვლო მოღვაწეობას — აგროვებს ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს და თარგმნის პიესებს, რომლებიც ამდიდრებენ ქართული თეატრის რეპერტუარს. ვუსურვებო ხანგრძლივ განმრთელ სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს.

## პლენარული მოხსენიება კომპანიის წევრის



პლენარული მოხსენიება 1935 წელს მოვალე მარქანიშვილის თეატრში და ამ დღიდან ამ თეატრის პირვარამის და შემოქმედებითი გამარჯვების მონაწილე გახდა. ა. კომპანიის დიდი მსახიობების გვერდით მოღვაწეობდა და იქვე დგოდა საკუთარ გზას. ქვემოთადაც ეროვნული ბუნების მსახიობი თითქმის შლიდა ზღვარს წინამძღოლესა და სცენურ ცხოვრებას შორის.

ა. კომპანიის მარქანიშვილის თეატრში თავის საკუთარი აქტიური თემა დაიკვიდრა. ერთგვარად შეზღუდული რეპერტუარი ჰქონდა, არასოდეს უთამაშებია ურთიერთ საწინააღმდეგო, კონტრასტული როლები, მაგრამ ერთდეროვნადაც არასოდეს ყოფილა. ყველა სცენურ სახეს თავის ინდივიდუალურ ნიშნებს უძებნიდა, შეიძლება ვეფექტური შტრიხების გამოძებნა არ უხერხებოდა, მაგრამ სადა, უბრალო, ხალხის შესრულების მანერით შთაბეჭდავს ხდილა

გმირს სცენაზე და ეკრანზე. განსაკუთრებით უბადლო, ძლიერი იყო ქართველი გლეხკაცის სახის გამოძერწვისას. აქ აღწევდა დიდ განვითარებას. ასეთებია მისი ბერუჩა („მეფე ერეკლე“), პაპა თორნიკე („ხარატიანთ კერა“), ანანია („ლალი“), პეპია და ტარიელი (კანო ფილმები „გლახის ნამბობი“ და „ტარიელ გოლია“). ყველაზე ღირსშესანიშნავი მის შემოქმედებაში გიორგი კობაიძე („მკვდრის მზე“) იყო. ამ სახეში აყიფდა ა. კომპანიის აქტიური შესაძლებლობის საუკეთესო საღებავები, აქ გაიხსნა დაგროვილი ემოციური საწყისი და გულწრფელი ვანცდა.

ცხოვრებაში ა. კომპანიის მოკრძალებული, უანგარო და თვდადებული ადამიანი იყო. უცნაურია, მაგრამ რაღაც მომხიბვლელი სიჭიუტე ახასიათებდა. მკერმეტყველი არ იყო, არ უყვარდა საჯარო პატივობაში მონაწილეობა, მაგრამ აფორაქებული, აღელვებული და მრისხანე ხდებოდა, როცა საყვარელი თეატრის აუგს მოყვარულად უყვარდა თავისი თეატრი.

ენერგიული ნაბიჯით. თითქმის სირბილით იცოდა რეპეტიციას ერთი საათით ადრე მოხვლა, ასე მოდიოდა ყოველდღე. მამინაც კი, როცა რეპეტიციებში თვითონ არ იყო დაკავებული, მოვიდოდა, მსახიობთა ფორმები ჩამოკიდებოდა და ისე შინაურულად გაუბამდა საუბარს რომელიმე ახალ ტექნიკურ მუშავს, თითქმის მისი ტოლი იყო. ყოველ საღამოს თეატრში იყო, იმას არ დაგვივადოთ, თამაშობდა თუ არა სპექტაკლში.

ა. კომპანიის ახალგაზრდობის დიდი ქომაგი იყო, ახარებდა მათი წარმატება. როცა რომელიმე მათგანის ნახელავი მოეწონებოდა, სახეზე სიხარულის აღმური მოედებოდა, სიტყვაძუნწი იყო, ღამაზე ეპიტეტებს არ დააბნედა, მაგრამ თავისი გრძნობების გამოხატავდა ხელს მაგრად. ენერგიულად მოუქვრდა, მხოლოდ ერთ სიტყვას „ყოჩაღ“ — ეტყოდა და სიამოვნებით ჩაიღიმებდა.

ღიმილით გამოგვეთხოვა 1972 წელს მოსკოვში სავსტროლოდ ყოფნისას. მ დეკემბერს მარქანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ა. კომპანიის სკოლისადმი მიძღვნილ საღამოზეც სწორედ ამ სვედანარევი ღიმილით მისჩერებოდა მსახიობი მისი სკოლის პატივსაცემად მოსულთ.

ტელევიზიის ვაჟთა ეკოლოგიური ანსამბლის



მიერ შესრულებული დიდებული ქორალი მიწე-  
და და სცენის სიღრმიდან გამოანათა ალღე ომი-  
აძის სახემ ამაღლებულ, თეთრ საფეხურებზე  
მხოლოდ წითელი მიხაკების ერთი კალათი იდგა.  
„ადაშიანი არ ეცდებო...“ ფრთხილად მოკრძა-  
ლებით, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მსახი-  
ობმა გ. მონიავამ და ძია ალეს ფერხებით მოკრ-  
ძალებით დაღო ერთი წითელი მიხაკი.

— „ალექსანდრე ომიამე ღირსეულად ატა-  
რებად ყველა ეპოქის შესაფერ კოსტუმს, ყვე-  
ლაფერი უხდებოდა — მანტიაც, მუნდირიაც,  
ფრაკიცა და სერთუკიც, მაგრამ ქართულ სა-  
მოსხა და კახურსა თუ თუშურ ქუდს სხვა პე-  
წითა და ლაზაით იშვენიებდა. ნამდვილი ქარ-  
თული მადლი ჰქონდა მის სმასაც და ინტონა-  
ციასაც, მიხვრა-მოხვრასა და სულის ღაღადისს.  
ჩვენებური ნამუსის ქული ამშვენიებდა არა მარ-  
ტო სცენაზე, ცხოვრებაშიც...“ თქვა რესპ.  
დამს. არტისტმა გ. ტატიშვილმა და მიხაკს  
კვლავ ერთი მიხაკი მიემატა... თითო მიხაკი  
ყველას მიჰქონდა ძია ალესთან.

საპატივცემლოდ რესპ. დამს. არტისტმა პ.  
თომამძემ შესარულა დ. არაქიშვილის „ოროვე-  
ლა“. ა. ომიადის უკანასკნელი დღეები გაიხ-  
სენა საქართველოს სსრ სსხ. არტისტმა მ. და-  
ვითაშვილმა და დახსინა — „მე მინდა, ჩვენს  
ახალგაზრდა თაობას მაგალითად დაურჩეს შე-  
ნი ამგვარი უზარმაზარი და უანგარო სიყვარუ-  
ლი შენი თეატრისა და მოლიანად ქართული  
ეროვნული კულტურისი“. ა. ომიადის თანამე-  
მამულე მსაუფრედან ი. ფთაძემ მადლობა გა-  
დაუხანდა მარჩაინიშვილის თეატრის კოლექტივს  
მსახიობის ღირსეული დაფასებისათვის.

სცენის სიღრმეში გაცოცხლდა ა. ომიადის  
მიერ ეკრანზე შესრულებული სახეები, ნაჩვენე-  
ბები იქნა ფრაგმენტები კინოფილმიდან: „აბე-  
სალომ და ეთერი“, „დაკარგული სამოთხე“,  
„გლახის ნაამბობი“, „ტარიელ გოლუა“, „გი-  
ორგი სააკაძე“. „მაგდანას ლურჯა“.

შემდეგ გაისმა ღირვე ჩაწერილი ა. ომიადის  
ხმა-სცენა სექტაკლიდან „მკვდრის მზე“. სცე-  
ნაზე თვდაბრლი იდგა რესპ. დამს. არტისტი  
თ. თეთრამე, რომელიც ა. ომიადის პარტნორი  
იყო ამ სექტაკლში. ჩანაწერი შესცვალა რესპ.  
დამს. არტისტების მ. მახვილძისა და გ. ციცი-  
ქიშვილის გამოხვლამ, რომელთაც გაითამაშეს  
სცენა სექტაკლიდან „მკვდრის მზე“.

მოგონებით გამოვიდა საქართველოს სსრ  
სსხ. არტისტი ვ. ტაბლაიშვილი — ის იყო სიტ-  
ვეა დაასრულა, რომ ცხრა საათი შესრულდა.  
ძილისპირული დაიწყო და ჩვეული წესისამებრ  
სცენაზე გვეწვია კეთილი მეზღაპრე, თბილ.,  
ალერსიანი ხმით გვიამბო ზღაპარი. ამ დროს

პარტირიდან სცენაზე თეთრი მიხაკებით ავიდ-  
ნენ ბავშვები აპაა ალეს მოსასმენად. იქვე მსა-  
მოუჭდნენ და გაუაცვიცებთ მიუგდეს ყური.

— „...განა სიმბოლური არ იყო ისიც, რომ  
შენ იყავი ჩვენი პატარა ყვავილების მეზღა-  
პრე. შენს ტკბილ ძილისპირულზე იძინებდნენ  
ჩვენი პატარები, შენი სიწმინდით, მომხიბლა-  
ობით. სათნოებით მხოლოდ შენ გქონდა უფლე-  
ბა ძილის პირს ჩვენი პატარების გულებთან  
მისვლისა...? — თქვა ა. ომიადის ახლო მეგუ-  
ბარმა, საქართველოს სსრ სსხ. არტისტმა  
გ. კოსტავამ.

მოგონებით გამოვიდა საქართველოს სსრ  
სსხ. არტისტი ი. ტრიპოლსკი, შემდეგ კი  
ი. ტრიპოლსკის, საქართველოს სსრ სსხ. არ-  
ტისტ მ. ჯავარიძესა და რესპ. დამს. არტისტ  
მ. თაბუკაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა  
სცენა სექტაკლიდან „ოქრო კაცი ბეწვის ხად-  
ზე“, სლავა ა. ომიამე პროფესორის როლს ას-  
რულედა.

მოგონებით გამოვიდა დრამატურგი რ. თა-  
ბუკაშვილი. — მარჩაინიშვილის თეატრის ახალ-  
გაზრდა მსახიობებმა ა. ომიადის სსოვნას მიუძ-  
ღვნეს სტეციალური კედლის ვაზეთი „სსოვნა  
გულისა“ — ეს სახელწოდება განსაკუთრებუ-  
ლად ესაზრდა ა. ომიადეს. რაღაც სიმბოლურად  
დაუკავშირდა ეს სახელი მას... თქვა საქარო-  
ველოს სსრ და უკრაინის სსრ სსხ. არტისტმა  
დ. ალექსიმემ და ა. ომიადის უკანასკნელი დღე-  
ები გაიხსენა...

ა. ომიამე უკანასკნელად სცენაზე გამოვიდა  
1972 წელს 19 ივნისს, მცირე თეატრში, მარჯა-  
ნიშვილის თეატრის მოსკოვში გასტროლებას  
დროს, სექტაკლში „სსოვნა გულისა“ მასთან  
საგარმიორო ოთახში მხოლოდ საქართველოს  
სსრ სსხ. არტისტი კ. მახარაძე იყობდა გარშ.  
მან შესანიშნავად აღადგინა ა. ომიადის ის სა-  
ღამო, ყველას თვალწინ დაგვიდგა ძია ალეს  
ნათელი, მომღიბარი სახე.

კ. მახარაძემ და მ. მახვილძემ ა. ომიადის  
სსოვნას მიუძღვნეს სცენა სექტაკლიდან „სსო-  
ვნა გულისა“. სსოვნის საღამო მსახიობის საი-  
უბილეო საღამოს დაემსგავსა. თეთრი საფეხუ-  
რები მიხაკებით დაიფარა. — აქ ხომ ყველა სა-  
იუბილეო სავარძელს გულისხმობდა. ვაჟთა ვო-  
კალურმა გუნდმა დააგუგუნა „მრავალქამე-  
რი“. თეატრის მსაუფრებელთა ფოეში კი საგანგე-  
ზოდ მოწყობილი გამოფენიდან იმზერებოდნენ  
ა. ომიადის სცენური გმირები. დამთავრდა სა-  
ღამო. ცარიელდებოდა თეატრი და მსაუფრებელს  
თან მიჰყვებოდა პატვისცემისა და სინანულს  
სვედანარევი გრძნობა.

## მწერლის მშობლიურ რაიონში

დიდი ქართველი მწერლისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის შალვა ნიკოლოზის ძე დადიანის დაბადების 100 წლისთავს პირველი გამოცხადება მისი მშობლიური რაიონი.

მწერლის იუბილე ცხაკაიელმა მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ჩავიდნენ მწერლები — ბესარიონ ყლენტი, კარლო კალაძე, რევაზ მარგანიანი, ალექო შენგელია, ერეკლე ქარელიშვილი, ვლადიმერ ჯიბუტი, ილია რურუა, ჯანსუღ ნიჭაბაძე, სილოვან ნარიშკინი, ნოდარ ჯალაღონია, თეატრალური მოღვაწეებ — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი საღარაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბადრი კობახიძე, თეატრალური მუზეუმის სწავლული მდივანი ნათელა ლაშხია, ზეიმში მონაწილეობდნენ აგრეთვე მეზობელი რაიონების — აბაშისა და გვედუკორის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები პარტიკომის პირველი მდივნების გურამ მეთაუძისა და ვლადიმერ გვარჯალაძის მეტაურობით.

სტუმრები ეწვივნენ შ. დადიანის მშობლიურ სოფელ ბერთემს, სადაც გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საშუალო სკოლის დირექტორმა გ. სართანიამ. სიტყვებით გამოვიდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ოდიშარია, კოლმეურნი ვ. ბარკალაია, მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა სახელით გამოვიდა ერეკლე ქარელიშვილი. მოსწავლე გ. ჯოჯუამ წაიკითხა შალვა დადიანის მინიატურა.

შემდეგ სტუმრები შეხვდნენ ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. აქ მწერლის ცხოვრებაზე, ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული კულტურის მიღწევებზე და ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის ამოცანებზე ისაუბრეს ბესარიონ ყლენტმა, რევაზ მარგანიამ, ალექო შენგელიამ, ბადრი კობახიძემ, გიორგი საღ-

არაძემ, ერეკლე ქარელიშვილმა, ვლადიმერ ჯიბუტმა, ილია რურუამ.

იმვე დღეს ცხაკაიას სახალხო თეატრში გაიმართა შალვა დადიანის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. თეატრის ფოიეში გაიხსნა იუბილარისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც დიდი გემოვნებით იყო შესრულებული და წარმოდგენილი ფოტო-ექსპოზიციები თითქმის ამომწურავად აცნობენ მნახველს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიერ გავრცელებულ სახელოვან შემოქმედებით ვხვას.

საზეიმო საღამო ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ ესევანჯიამ, მოხსენება შალვა დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა რაიონული განუთის „კოლხეთის“ რედაქტორმა ბ. შენგელიამ. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ყლენტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. კობახიძე, ახალგაზრდა კოლმეურნი ი. ლაშქარაძე, ჩაის ფაბრიკის მუშა ლ. ჯიჭიძე, ნოსიარის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. თორდა, ლექსები წაიკითხეს პოეტებმა კ. კალაძემ, რ. მარგანიამ, ა. შენგელიამ, ნ. ჯალაღონიამ. მოგონებით გამოვიდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი შ. მყავანაძე.

დასასრულს ცხაკაიას სახალხო თეატრმა წარმოადგინა შალვა დადიანის დრამა „გვედუკორი“.

ცხაკაიაში ყოფნისას სტუმრებმა დაათვალიერეს ცხაკაიას ხალხიერის კომპინატი, ტიხურის დაფნის საბჭოთა მეურნეობა, ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრები. ამ გათხრებმა, რომლის ირგვლივაც ახსნა-განმარტებას იძლეოდა პარტიკომის პირველი მდივანი ვ. ესევანჯია, სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

## СО Д Е Р Ж А Н И Е

14 января — день грузинского театра . . . . .	3
Надежда Шалугташвили — Московский Малый театр и Грузия . . . . .	7
На юбилейном вечере Малого театра . . . . .	10

### У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

Георгий Хухашвили — На сцене Квачи Квачантирадзе . . . . .	11
Александр Чхаидзе — Не топчите цветы . . . . .	15
Паата Панцулая — «Сперва погибли, потом поженились» . . . . .	17
Натела Лашиа — «Гегечкори» в Народном театре Цхакая . . . . .	20
В доме актера . . . . .	21
Владимир Джибути, — Михаил Джавахишвили и грузинский театр 900-х годов . . . . .	22
Акакий Васадзе — Воспоминания и думы . . . . .	24
Шота Ревишвили — Рихард фос, или кому принадлежишь «Чья вина?» . . . . .	26
Гастроли Руставского театра в Венгрии . . . . .	29
Молодой актер в театре Юного Зрителя . . . . .	32
Триумф «Старых Журначей» в Ереване . . . . .	35

### ПРОЩАНИЕ.

Михаил Чнаурели. (некролог) . . . . .	37
Елене Квиркелиа — Григол Микеладзе . . . . .	39
В Театральном обществе <i>30/11/80</i> . . . . .	40

### НАШИ ЮБИЛЯРЫ.

Нико Кевлишвили — Папуна Церетели . . . . .	43
---	----

### ВСПОМНИМ ЗАСЛУЖЕННЫХ

Котэ Ниникашвили — Александр Омидзе . . . . .	44
В родном районе писателя . . . . .	46

**ВЕСТНИК**  
**ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ**  
**(на грузинском языке)**

**Тбилиси — 1974**

№ 6 (82)

ლარი 25 კპ.  
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 8/XII-74 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XII-74 წ.  
სასტამბო თაბახი 3

შეკვეთა 3811

უე-11463

ტირაჟი 1.000

---

საქართველოს თეატრალური საზღვის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии, ул. Горького № 3